პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებათათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48.

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 234 (1779)

დღიური

- ტოკიოში გაიხსნება საერთა მეცნიერების დღესასწაული.
- ჩეხო-სლოვაკიაში შედგა ახალი მთავრობა.
- პოლონეთს განზრახვა აქვს მოიწვიოს ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია.
- ინგლისის ექსპორტი შარშანდელთან შედარებით 100.000.000 მანეთით შემცირდა.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატა 4 ნოემბერს განაახლებს მუშაობას.
- სირიაში ჩავიდა საფრანგეთის ახალი უმაღლესი კომისარი.
- ამხ. კარახანი ჩავიდა მოსკოვში.
- კომუნალურ არჩევნებში ლიეჟში (ბელგია) კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში

მოწვეულია

**საქართველოს კომპარტიის
ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკონტროლო კომისიის
გაერთიანებული პლენუმი**

საოლქო და სამაზრო კომიტეტების და თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნებთან ერთად

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ლ. ქართველიშვილი
ს. კ. პ. ც. ს. კ. თავმჯდომარე ა. დოლიძე

„მუშათა პარტიის“ კონფერენცია

ამჟამად მიმდინარეობს ინგლისის მუშათა პარტიის მორიგი წლიური კონფერენცია. დღეს ეს პარტია ხელმძღვანელ როლს თამაშობს მეორე ინტერნაციონალში, რომლის აღმასკომის რეზიდენცია ამიტომაც გადატანილ იქნა ლონდონში. ერთ დროს მეორე ინტერნაციონალიც კი ინგლისის მუშათა პარტიას უარს ეუბნებოდა თავის რიგებში მიღებაზე, სთვლიდა რა მას არასოციალისტურ ორგანიზაციათ. შემდეგ, დროთა მსვლელობაში, მეორე ინტერნაციონალი საბოლოოდ გამოშველდა, როგორც აშკარა რეფორმისტული და მუშათა კლასის მოღალატე პარტიების გაერთიანება, როგორც ბურჟუაზიულ წყობილების დასაყრდენი ძალა, და მან ინგლისის მუშათა პარტიაც თავის სასურველ წევრად მიიჩნია. და როგორც ვსთქვით, დღეს ის ხელმძღვანელ როლს თამაშობს მეორე ინტერნაციონალში. და ამ, ისედაც მემარჯვენე ორგანიზაციაში მას მემარჯვენე ფრთა უჭირავს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან ერთად.

ინგლისის მუშათა პარტია ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენს და თავის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში არსებითად ინგლისის კაპიტალიზმის მოსამსახურედ გამოდის. როცა ის 1924 წ. ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში (მაკდონალდის მთავრობა), გულმოდგინედ შეუდგა თავის წინამოადგილის, კონსერვატორული კაბინეტის პოლიტიკის გაგრძელებას. ახალი სამხედრო გემების აშენება, ეგვიპტის დამონება, მესოპოტამიაში ინგლისურ ჰაეროპლანების მიერ მშვიდობიან მოსახლეობის დახვრეტა, კომინტერნის ყალბი წერილის გამო მკაცრი პროტესტის გამოგზავნა საბჭოთა ხელისუფლების სახელზე და სხვა მრავალი, — აი რით აღინიშნა თავისი ათი თვის „მოღვაწეობა“ მაკდონალდის მთავრობამ საგარეო ურთიერთობათა დარგში. რაც შეეხება შინაურ პოლიტიკას, მუშათა პარტია იცავს შრომისა და კაპიტალის „თანამშრომლობის“ პრინციპს, შესაძლებლად მიაჩნია მათი მშვიდობიანი თანაარსებობა. მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კერძოდ მაკდონალდის მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია.

მუშათა პარტია თანდათან უფრო და უფრო აშკარად ხდება ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთ პარტიად. მისკენ [illegible] მოედინებიან წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ელემენტები და მოხელეობა, მუშათა პარტიაში გადმოდიან ლიბერალურ პარტიის წევრები. მუშათა პარტიის ლიდერები სცდილობენ წვრილ ბურჟუაზიის მიმხრობას, რათა მისი ხმებით გაძლიერდენ საპარლამენტო არჩევნების დროს. ყველაფერი ეს სულ უფრო მარჯვნივ მიაქანებს მას.

ეს გარემოება, თავის თავად ცხადია, უკმაყოფილებას ზრდის ლიდერებისადმი მუშათა მასსებს შორის, რომელთა გამემარცხენება თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ხდება. ამ პროცესმა, სხვათა შორის, თავი იჩინა შარშან, ტრედიუნიონების სკარბოროს ყრილობაზე, რომელმაც ძირითად საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საკმაოდ რადიკალური რეზოლიუციები გამოიტანა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისებური დამოკიდებულება არსებობს მუშათა პარტიასა და პროფკავშირებს შორის. ინგლისის მუშათა კლასის ორგანიზაციული წყობა განირჩევა დანარჩენ პარტიების სტრუქტურისაგან. მასში უმთავრესად შედიან წევრები არა ცალკე პირების სახით, არამედ მეტ წილად მთელი ორგანიზაციები, კერძოდ პროფკავშირები. მუშათა პარტიაში ამჟამად ითვლება 106 პროფკავშირი 3 მილიონზე მეტი წევრით, გარდა ამისა სოციალისტური და სხვა ორგანიზაციები ორას ათასამდე კაცის შემადგენლობით. პროფკავშირები, ამგვარად, მუშათა პარტიის ძირითად და უდიდეს ძალას წარმოადგენენ. რაკი ეს ასეა, სკარბოროს ყრილობას თითქო თავისი გავლენა უნდა მოეხდინა მუშათა პარტიის პოლიტიკაზე, მისი გამემარცხენების აზრით. ნამდვილად ეს არ მოხდა. საქმე ის არის, რომ თუმცა სკარბოროს ყრილობაზე შარშან გამოტანილ იქნა, როგორც ვსთქვით, საერთოდ რევოლიუციონურ ხასიათის დადგენილებები, მაგრამ ისინი ქაღალდზე დარჩენ. და ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არავინ იყო მათი გამტარებელი: სხვადასხვა კომბინაციების წყალობით სკარბოროს ყრილობაზე არჩეულ იქნენ გენსაბჭოს ძველი ხელმძღვანელები, რომელთაც, რასაკვირველია, ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი დაასამარეს და ყოველი ზომა მიიღეს გამემარცხენების გზაზე შემდგარ მუშათა მოძრაობის უკან დასაწევად. სკარბოროს კონგრესის შემდეგ შესდგა მუშათა პარტიის ლივერპულის კონფერენცია, რომელმაც სკარბოროს წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. ყველაზე უფრო აღსანიშნავია, რომ ლივერპულმა დაადგინა კომუნისტების განდევნა მუშათა პარტიიდან და უკანასკნელის ორგანიზაციების დასჯა, თვით პარტიიდან გამორიცხვამდე, თუ ისინი ამ დადგენილებას არ გაატარებდენ. ეს გადაწყვეტილება უხეში დარღვევა იყო სკარბოროს ყრილობის დადგენილებისა, რომ კომუნისტები უნდა ყოფილიყვენ დატოვებული მუშათა პარტიის რიგებში. მაგრამ ეს მოხდა გენსაბჭოს მეთაურების კარნახით, რომელნიც მეტ წილად მუშათა პარტიის ლიდერებიც არიან.

მუშათა პარტიის ეხლანდელ კონფერენციასაც წინ უძღოდა ტრედიუნიონების კონგრესი. ამ კონგრესმა, როგორც ვიცით, ზურგში ლახვარი ჩასცა ინგლისის მუშათა კლასის მოძრაობას, რაც გამოიხატა გაფიცვისადმი მის აშკარად უარყოფით დამოკიდებულებაში, მისთვის დახმარების გაუწევლობაში. გაფიცვის საკითხი ძალაუნებურად მუშათა პარტიის კონფერენციაზედაც წამოიჭრა. მკითხველი უკვე იცნობს ამის შესახებ კონფერენციის თავმჯდომარის, რობერტ უილიამსის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. რობერტ უილიამსი „ცნობილი“ პირია. ის მუშათა კლასის გამცემელია, ყოფილი წევრია კომპარტიის, საიდანაც გამორიცხულ იქნა იმ სამარცხვინო როლის გამო, რომელიც მან ითამაშა „შავ პარასკევს“, 1921 წ.; მან, პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერებთან ერთად გაილაშქრა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების წინააღმდეგ და გაფიცულ მემაღაროების დახმარებაზე უარი განაცხადა, რის გამო ისინი სასტიკად დამარცხდენ.

უილიამსი დღეს იმავე პოზიციას ადგას. ის მომხრეა მხოლოდ „მშვიდობიან“ მეთოდებისა კონფლიქტის მოსაგვარებლად; მას შეუძლებლად მიაჩნია მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენა როგორც ფულით, ისე ნახშირის გადაზიდვის აკრძალვით. უილიამსი ვერ ინელებს საყოველთაო გაფიცვის იდეას; ის აცხადებს: თუ მუშები კვლავ იტყვიან: ემზადეთ გაფიცვისათვის, მაშინ იგი, უილიამსი, ურჩევს მათ წაიკითხონ ის არახელსაყრელი ხელშეკრულებანი, რომელთა ნიადაგზე რკინისგზელები და ტრანსპორტელები დაუბრუნდენ მუშაობას საყოველთაო გაფიცვის შემდეგ. მისი აზრით გაფიცვას საერთოთ შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ მდგომარეობის უფრო გაუარესება მუშებისათვის. ამნაირად, უილიამსი სცდილობს გატეხოს მემაღაროეთა ნებისყოფა და მათ გამარჯვების რწმენა დაუკარგოს. ამაზე უკეთეს სამსახურს ბურჟუაზიას მოღალატე ლიდერები ვერ გაუწევენ.

უილიამსი აგრეთვე ილაშქრებს საბჭოთა პროფკავშირების წინააღმდეგ. მან სთქვა: ტომსკი გვიგზავნის თავის ბრძანებებს, ისე თითქოს ჩვენ მისი კოლეგები ვიყოთ და ვეხმარებოდეთ მათ ჩვენი მუშათა კლასის ხელმძღვანელობაში. როგორც ვხედავთ, უილიამსი ამ პროვოკაციას ეწევა, თითქო საბჭოთა პროლეტარიატი სცდილობდეს ინგლისის მუშათა კლასის დაქვემდებარებას, რათა ასეთი პროვოკაციით დასთესოს უნდობლობა, გასტეხოს შემაერთებელი ხიდი ორივე ქვეყნის მუშებ შორის. ნამდვილად საქმე შეეხება ჩვენი მუშათა კლასის ძმურ დახმარებას მებრძოლ ინგლისელ მემაღაროებისადმი, რაც ჩვენს პროლეტარულ მოვალეობას შეადგენს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, უილიამსებს არ მოსწონთ, ვინაიდან ამით კაპიტალისტების გამარჯვების საქმე შეფერხდება.

უილიამსს, ცხადია, არ შეეძლო აგრეთვე თავზე არ დასხმოდა კომუნისტებს. ის მოითხოვს მუშათა პარტიის იმ ორგანიზაციების სასტიკად დასჯას, რომელნიც კომუნისტებს თავის რიგებიდან არ გამორიცხავენ.

მაგრამ როგორც ბორნმუტის ყრილობაზე, ისე მუშათა პარტიის ეხლანდელ კონფერენციაზე აშკარად იჩინა თავი მედგარმა ოპოზიციონურმა განწყობილებამ მოღალატე ბელადების წინააღმდეგ. სხვათაშორის, ეს ფაქტიც გვიჩვენებს, რომ, უილიამსები, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერ მოახერხებენ მუშათა მასსების გაჩერებას, მისი გარევოლიუციონერების პროცესის შეჩერებას. ინგლისის მუშათა კლასი თანდათან რწმუნდება, რომ უილიმსებს და მაკდონალდებს ის სრულ დამონებისაკენ მიჰყავს და რომ მხოლოდ მათ ზურგზე გადაბიჯებით შესძლებს ის თავის განთავისუფლებას. ამ მხრივ მუშათა პარტიის ეხლანდელ კონფერენციაზე უილიამსების გამოსვლები ზედმეტ საბუთს აძლევენ ინგლისის პროლეტარიატს.

ახალი სასოფლო-სამეურნეო წლის დასაწყისი

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

სწარმოებს პურის ბალანსის ზედმიწევნით სწორი გაანგარიშება, გამოჰყავთ 1926 წლის მოსავლის სხვა ჯამები, ფართოვდება კამპანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისათვის და ამავე დროს იწყება სამზადისი ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისთვის. რაში გამოიხატება ეს?

უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა შევჩერდეთ შემოდგომის თესვის კამპანიაზე. ამ უკანასკნელისათვის სამზადისი გამოიხატა იმაში, რომ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელთაგან უნდა აღინიშნოს ანეულის მომზადება, ნაადრევი თესლის მომზადება, 7 მილიონი ფუთი სათესლე მარცვლების დახარისხება, 800.000 ფუთი საშემოდგომო ხარისხეული თესლის განაწილება გლეხებს შორის, და გარდა ამისა, დახმარების აღმოჩენა ზოგიერთი გუბერნიის ხელმოკლე მოსახლეობისათვის 1.400.000 ფუთი სათესლე მარცვლეულის მიწოდებით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უმნიშვნელოა საშემოდგომო თესლით დახმარება, საგაზაფხულო თესლით დახმარებასთან შედარებით, რომლის რაოდენობა შარშან 15 მილ. ფუთს უდრიდა. ეს აიხსნება იმით, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში კარგი მოსავალი იყო. რაოდენობითი განსხვავებას გარდა, რომლითაც განირჩევა ეხლანდელი სათესლე კამპანია 1925 წლის კამპანიისაგან, არსებობს აგრეთვე თვისობრივი განსხვავებაც. მიმდინარე წელში თესლეულით დახმარება მიმართული იყო არა მარტო დაღუპული ნათესის აღდგენისაკენ, არამედ სახარისხო ნათესის სივრცის გეგმიანი გაფართოებისაკენაც. ამასთანავე მიღებულ იქნა ღონისძიებათა მთელი რიგი იმისათვის, რომ გლეხების მეურნეობა უზრუნველგვეყო სავსებით საღი თესლით, რომელიც წინასწარ ტარდებოდა სამიწათმოქმედო ორგანოების საკონტროლო-სათესლე სადგურებში. ჯერ კიდევ შეუძლებელია საშემოდგომო კამპანიის საბოლოო შედეგების გამორკვევა. თუმცა ადგილებიდან მოსული ცნობების მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ზამთრის ნათესის სივრცე 1926 წელში დაახლოებით იქნება 21.300.000 დესეტინა, წინააღმდეგ წარსული წლის სივრცისა—21.198.000 დესეტინა, რაიც 1916 წლის საშემოდგომო ნათესის 109 ნახ. პროცენტს შეადგენს. საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესის საერთო სივრცე 1926—27 წელში ალბად მოგვცემს 64.400.000 დესეტინას.

მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე ციფრი, რომელიც რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას ეხება, და ახალი სამეურნეო წლისათვის სამზადისს ახასიათებს მოსავლის დღესასწაული, რომელსაც ჩვეულებრივ ოქტომბერში ვდღესასწაულობთ, მოწყობილ იქნება 8.200 ადგილას. ამავე დროს განზრახულია წვრილ-რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა 2.000 პუნქტში. გეგმის მიხედვით, ბალახეულობის დათესილი სივრცე 1.600.000 დეს.-ამდე იქნება, წინააღმდეგ 1925—26 წლის 1.200.000 დეს. მრავალ მინდვროვანი სისტემა 1926—27 წ. შემოღებულ იქნეს 8.700.000 დეს. სივრცეზე. 1924—25 წ. ეს სივრცე უდრიდა 1.500.000 დესეტ. და 3.200.000 დესეტინის.

თუ ნათქვამს მიუმატებთ იმას, რომ ამ მოკლე ხანში დამთავრდება მუშაობა 1926—27 წელში მანქანების მიწოდების გეგმის ცხოვრებაში გატარებისათვის, მაშინ საერთოდ განხორციელებული იქნება ის ღონისძიებანი, რომელნიც ახალ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის არიან განზრახული. მიწათმოქმედების კომისარიატის გეგმით განზრახულია 1926—27 სასოფლო-სამეურნეო წელში გაყიდულ იქნას 84 მილ. მანეთის სასეზონო სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. განზრახულია 2.400 ცალი ტრაქტორის მიწოდება სოფლისათვის.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სასოფლო მეურნეობა ომამდე არსებულ დონეს უახლოვდება და რომ მისი განვითარების აუცილებელი ტემპი უზრუნველყოფილია სათანადო ღონისძიებებით. მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტის გამორკვევა არაა საკმაო ახალ სასოფლო-სამეურნეო წლის დახასიათებისათვის. აუცილებელია შევჩერდეთ აგრეთვე ძირითად ამოცანებზე სასოფლო მეურნეობის დარგში, რომელნიც შესრულებულ უნდა იქნან 1926—27 წელში.

უპირველეს ყოვლისა, კიდევ უფრო მეტის სიმტკიცით უნდა დაისვას დღის წესრიგში სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ხარისხის გაუმჯობესება; ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო რაოდენობითი მიღწევებით. მუშაობა ამ მიმართულებით სწარმოებს ცენტრალურ მიწაშავა ოლქში და ეგრედ-წოდებულ გვალვიან რაიონებში. იგი უნდა იქნას გაძლიერებული იმ ანგარიშით, რომ ამ მუშაობის გეგმა სავსებით იქნას განხორციელებული დაწესებულ ვადებში.

თავისთავად ცხადია, რომ ღონისძიებანი, რომელნიც ტარდებიან ცენტრალურ-მიწაშავა ოლქში და გვალვიან რაიონებში, სრულიადაც არ ამოსწურავენ სასოფლო მეურნეობის თვისობრივ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ამოცანებს. ასეთივე ღონისძიებანი უნდა გავრცელდენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ნაწილებზედაც.

ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებებს, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული გლეხის მეურნეობის შემოსავლიანობის აწევა. ამ მხრივ უკანასკნელი ორი წელი გვაძლევს განსაზღვრულ გამოცდილებას, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. აუცილებელია, დიდი ყურადღება მიექცეს სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკითხს.

წინანდელზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკოოპერაციო და კოლექტიურ მეურნეობის აღმშენებლობას, და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს. დირექტივები, რომელნიც უკანასკნელ ხანებში გაცემულია პარტიულ და საბჭოთა ხაზით, შესრულებულ უნდა იქნან 100 პროცენტით ამას მოითხოვს დაყენებით სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანები სასოფლო მეურნეობის დარგში.

დაბოლოს, აუცილებელია სათანადო სიმაღლემდე ავიყვანოთ ნივთიერი, აგროკულტურული და საწარმოო დახმარების აღმოჩენა სოფლის ხელმოკლე მოსახლეობისათვის. ხანდახან ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დახმარების გაწევა სოფლის ხელმოკლე და ღარიბი გლეხობისათვის, ქველმოქმედების თვალსაზრისით განიხილავენ. ასეთი შეხედულება ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქნას უარყოფილი და ხელმოკლე და ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობის ერთი ძირითადი ამოცანათაგანი უნდა გახდეს.

ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი, რამდენადაც იგი ჩატარდება სასოფლო მეურნეობის თვისობრივი გაუმჯობესების, გლეხის მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების, უკანასკნელის კოოპერაციაში შეკავშირებისა და ღარიბი და ხელმოკლე მეურნეობათა მაქსიმალური გაუმჯობესების ნიშნით, ძალიან ბევრ დაბრკოლებებს გვიმზადებს, მაგრამ ეს დაბრკოლებანი სავსებით დასაძლევია ეხლანდელ ეკონომიურ პირობებში, მით უფრო, რომ ჩვენ ამჟამად გვაქვს აპარატი, რომელიც ეხლა უფრო ბეჯითად მუშაობს, ვიდრე წინეთ.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 13 ოქტომბერი.

ვასო აბაშიძის ხსოვნას

ვინ არ იცნობდა ჩვენში **ვასო აბაშიძეს**?—არა თუ ჩვენში, მისი სახელი უფრო შორსაც გაისმოდა და მან მოიპოვა და გაითქვა ასეთი დიდი სახელი არა მარტო თავისი **დიდი ნიჭის** მეოხებით, როგორც გამოჩენილი მსახიობი-არტისტი, არამედ იმ **დაუღალავი ენერგიის** და იმ **განუზომელი სიყვარულის** მეოხებით, რომელსაც იგი იჩენდა სათეატრო ხელოვნების მიმართ. ვასო აბაშიძე იყო არტისტი-მსახიობი **მოწოდებით**, და სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იმის საიდუმლოება, თუ როგორ აღამაღლა მან ჩვენში სათეატრო ხელოვნება.

როცა ვ. აბაშიძე გამოვიდა თეატრის ასპარეზზე (მესამოცდაათე წლების მიწურული გასული საუკუნისა), თეატრი ჩვენში არ არსებობდა. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცდაათე წლების დასაწყისში იყო ცდა ქართული თეატრის დაარსებისა, მაგრამ იმ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო ამისათვის მომწიფებული პირობები. ამიტომ ეს საქმე ჩქარა ისევ მივიწყებულ იქნა. მაგრამ შემდეგ ჩვენში საკმარისად ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, ასე რომ გასული საუკუნის მესამოცდაათე-მეოთხმოცე წლებში ჩვენი საზოგადოება ის უკვე აღარ იყო, რაც 20—30 წლის წინეთ: ეკონომიური ცხოვრება უკვე შესამჩნევად გამოიცვალა, ლიტერატურა, პრესა ვითარდებოდა და აფართოებდა თავის ასპარეზს. ასეთ პირობებში უკვე თეატრისთვისაც შეიქნა ხელსაყრელი პირობები და აი სწორედ დაახლოებით ამ დროს გამოდის ჩვენში უნიჭიერეს მსახიობთა მთელი წყება, მთელი პლეადა. აქ დავასახელებ ზოგიერთებს, უფრო ცნობილთ: **ალ. ცაგარელს, კოტე ყიფიანს, კოტე მესხს, საფაროვას, ნ. გაბუნიას, ლადო მესხიშვილს, ვ. გუნიას**—ამათთან იყო **ვ. აბაშიძეც**. ამათ ჩაუყარეს მკვიდრი საფუძველი ქართულ თეატრს და ქართულ სათეატრო ხელოვნებას. ისინი მუშაობდენ მეტად ძნელ პირობებში: ერთი მხრით, თეატრი ხალხისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო, მეორე მხრით თეატრის და განსაკუთრებით სახალხო თეატრის საქმეს აბრკოლებდა მეფის თვითმპყრობელი რეჟიმი, რასაც ჩვენში თან ემატებოდა კიდევ **ეროვნული ჩაგვრა**. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თეატრის პირველმა მესვეურებმა, და იმათ შორის ყველაზე უფრო ვ. აბაშიძემ, რამდენიმედ მაინც შესძლეს ყველა ამ დამაბრკოლებელ გარემოებათა გადალახვა. იმათ შესძლეს თეატრის დაახლოვება ხალხთან. განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ საქმეში განსვენებულმა ვ. აბაშიძემ. ტყუილად კი არ უყვარდა იგი ხალხს, მუშებს და ხელოსნებს. ვასო არ ყოფილა სალონური არტისტი, იგი იყო მართლაც ხალხური არტისტი-მსახიობი. მას გადაჰქონდა სცენა ქალაქის განაპირა ადგილებში, მუშებთან, და დაბა-სოფლებში.

ვასო აბაშიძე შეუდარებელი იყო ზოგიერთ როლებში მაინც. მისგან ხელოვნურად შექმნილი ტიპები დიდ ხანს არ მოკვდებიან ხალხის მეხსიერებაში. რა თქმა უნდა, იგი არ იგონებდა ამ ტიპებს, იგი იღებდა ამას ცხოვრებიდან.

ვ. აბაშიძე ეკუთვნოდა სათეატრო ხელოვნების **ძველ სკოლას**. ახლა ამ სკოლას პატივს ნაკლებად სცემენ, ახლა უფრო დიდ პატივშია სხვა „სკოლა“ მე პირადათ, ნაკლებად მესმის ამ „ახალი“ სკოლის ბუნება და ხასიათი. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, ჩემთვის უფრო გასაგები იყო და არის სწორედ ის, რასაც ჩვენ ძველ სკოლას ვუწოდებთ. ხალხიც ამ სკოლას უფრო იგებდა და იგებს. ვ. აბაშიძეც ერთი საუკეთესო გამომხატველთაგანი იყო სწორედ ამ სკოლის. აქ დრო არაა არსებითად ვილაპარაკოთ ამ ძველი და ახალი სკოლების ღირსება-ნაკლულევანებაზე.

რაც უნდა იყოს ვ. აბაშიძე იყო და დარჩება სათეატრო ხელოვნების ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ჩვენში. იგი მართლაც სახალხო არტისტი იყო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, და მას ხალხი გულწრფელადაც უყვარდა. მე პირადათ ვიცი, რომ მეფის თვითმპყრობელობის დროს იგი გადაჭრით თანაუგრძნობდა რევოლიუციონურ მოძრაობას ჩვენში. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებასაც ჩვენში, იგი აღფრთოვანებით მიეგება, იგი გულწრფელად ხარობდა იმის გამო, რომ ჩვენში დამკვიდრდა ნამდვილი ხალხური მთავრობაო. ხალხმა, უკეთ რომ ვსთქვათ, მუშათა კლასმა ვ. აბაშიძე უკვე მის სიცოცხლეშივე დააფასა და შეიყვარა. ასეთია ნამდვილი ნიჭის თვისება, რომელიც ხალხის სასარგებლოდ იხარჯება.

მშვიდობით ძვირფასო ვასო! შენი ხსოვნა არ აღმოიფხვრება ხალხის გულიდან!

ფ. მახარაძე

საბჭოთა პრესა

აღორძინებითი პერიოდის მთავარი შედეგები

განვლილი აღორძინების პერიოდის შედეგების სწორი აღნუსხვა და შეფასება შემდგომი წარმატებითი სამეურნეო განვითარების და სოციალისტური მშენებლობის მოუცილებელი პირობაა. ამ საკითხში ოპოზიცია არ ეთანხმება პარტიას, ის განზრახ აზვიადებს სუსტ მხარეებს, ცდილობს მიღწევების მიჩქმალვას და ჩვენს წინაშე მდგარ სიძნელეების უფრო გადაჭარბებულად წარმოდგენას, რომ სამეურნეო მდგომარეობის ასეთი „ანალიზით“ ერთი მხრით შეარყიოს მასსების რწმენა სოციალიზმის შენების შესაძლებლობისადმი, მეორე მხრივ—პარტიის ცენტრალურ ორგანოებს ბრალი დასდოს სამეურნეო მშენებლობაზე არასწორ ხელმძღვანელობაში, არასწორ სამეურნეო პოლიტიკის წარმოებაში. მაგრამ უტყუარი მასალები უმოწყალოდ ამსხვრევენ ოპოზიციის ასეთ ცდას. ამ მხრივ საგულისხმოა აღორძინების პერიოდის შედეგები. როგორია ეს შედეგები? ამხ. გ. კრუმინი „პრავდა“-ში ამის შესახებ სწერს:

> „პირველი, აღორძინებითი პერიოდი ხასიათდება მთელი მეურნეობის—მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის—უაღრესად სწრაფი ზრდით. საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების აღორძინება (რომელიც შეუდარებლად უფრო დანგრეული იყვენ, ვინემ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში), ხდებოდა ტემპით რომელიც ბევრად აღემატება აღორძინების ტემპს კაპიტალისტურ ევროპაში.
>
> მეორე, აღორძინებითი პერიოდის დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს მრეწველობის უფრო სწრაფი ზრდა, ვინემ სასოფლო-მეურნეობისა. მრეწველობა გვიჩვენებს აღორძინების სარეკორდო ციფრებს წლის განმავლობაში... პარტიის პოლიტიკა ამ პერიოდში იქითკენ იყო მიმართული, რომ წლიდან-წლამდე მიგვეღწია ქვეყნის ეკონომიკაში მრეწველობის ხვედრითი წონის გადიდებისათვის.
>
> მესამე, აღორძინებითი პერიოდმა მოგვცა მუშათა კლასის სწრაფი კონსოლიდაცია. მუშათა კლასის ზრდა უსწრებდა მოსახლეობის ყველა დანარჩენ ფენების ზრდას.
>
> მეოთხე, აღორძინებითი პერიოდი გვიჩვენებს მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას. აღორძინების პერიოდის მიწურულისათვის ხელფასმა საერთოდ ომის წინანდელ დონეს მიაღწია.
>
> მეხუთე, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის ზრდა განვლილი წლების განმავლობაში უსწრებდა სოფლის - მეურნეობის ზრდას, აღორძინებითი პერიოდი, მთელ რიგ მიზეზების გამო, თავდება სამრეწველო საქონლის მიწოდებაზე მსყიდველობის უნარ მქონე მოთხოვნილების სიჭარბით. სამრეწველო საქონლის ნაკლებობა განსაზღვრულ პერიოდში გადადიოდა მკაფიოდ გამოხატულ საქონლის სიმშილში. სამრეწველო საგნების სიმცირის დაძლევა წარმოადგენს ახალი პერიოდის უმთავრეს ამოცანათაგანს...
>
> მეექვსე, მაგრამ სამრეწველო საქონლის ნაკლებობასთან ერთად, რომელსაც საქონლის ბრუნვის განვითარებაში არევ-დარევა შექონდა, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი მიღწევები საქონლის ტრიალის დარგში: აღორძინებითი პერიოდიდან ახალ პერიოდს დარჩა მაგარი ვალიუტა, რაც შესაძლებლობას იძლევა მტკიცედ იქნეს დაყენებული და წარმართული მთელი მეურნეობა და რაც მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ტრიალის შეუჩერებელი განვითარებისათვის. შემდეგ, ახალ პერიოდში ქვეყანა შედის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასების ისეთი შეფარდებით, რომელიც საერთოდ მისაღებია გლეხობისათვის.
>
> მეშვიდე, მთელი არსებული მასალის ყოველმხრივი და გულდასმითი შესწავლის ნიადაგზე საკონტროლო ციფრები აღნიშნავენ **ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ჩვენს მეურნეობაში** სოციალისტურ სექტორის უფრო სწრაფ ზრდას კერძო კაპიტალისტურთან შედარებით.
>
> მერვე, გეგმიანი დასაწყისის ზრდა და განმტკიცება საბჭოთა სახალხო მეურნეობაში. ნამდვილი, და არა ბიუროკრატიულ გეგმიანობის წინასწარი პირობების განმტკიცებასთან ერთად, გეგმიანი დასაწყისი ხდება მომქმედ ძალად, რომელიც სულ უფრო მეტი სიმძიმით აწვება სასწორს სოციალიზმის სასარგებლოდ.
>
> ბოლოს, მეცხრე, მიუხედავად საბჭოთა კავშირის ეკონომიკის და ტეხნიკის მთელი ჩამორჩენილობისა, კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა კავშირს შეუძლია აღნიშნოს, რომ ის აღორძინებითი პერიოდიდან გამოვიდა სრულიად დაუგვიანებლად, თუ მხედველობაში მივიღებთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების მდგომარეობას“.

ასეთია აღორძინებითი პერიოდის უმთავრესი შედეგები. რა თქმა უნდა, წინ მრავალი სიძნელეებ გვიდგას, კერძოდ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის ისტორიულად არსებულ დისპროპორციის მოსპობის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში. მაგრამ იქითკენ გზა სწორადაა აღებული და მიღწეული შედეგები მკვიდრ საფუძველს ქმნიან ამ სიძნელეთა გადასალახავად. ოღონდ საჭიროა მთლიანი ფრონტით მუშაობა სოციალისტური მშენებლობისათვის. პარტიის ფოლადისებური მთლიანობა ეს ძირითადი პირობა იყო ჩვენი გამარჯვებისა წარსულში, მით უფრო აუცილებელია ეს მთლიანობა ეხლა, როცა ფეხი შევდგით როთულ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში.

ნოემბერში განახლდება მოლაპარაკება საფრანგეთთან

ინგლისის ახალშენები სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ

გადადგა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა, ახალ მთავრობაში ეროვნულ უმცირესობათა რამდენიმე წარმომადგენელი შევიდა

ამხ. რაკოვსკის განცხადება

პარიზი, 12 ოქტ. ამხ. რაკოვსკიმ ჰავასის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის დადებული ხელშეკრულება სავსებით ეთანხმება 1920 წელში დადებულ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისა და ლიტვას შორის. აგრეთვე რიგის ხელშეკრულების მესამე მუხლის და საბჭოთა კავშირის ნოტას ვილნოს დაპყრობის წინააღმდეგ ჟელიგოვსკის მიერ. აღნიშნა რა ამხ. ჩიჩერინის განცხადება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესების წინააღმდეგ, ამხ. რაკოვსკიმ ხაზი გაუსვა საბჭოთა ხელისუფლების ცდას პოლონეთთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ და კერძოთ საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ფორმალური განცხადებას, რომელიც პოლონეთის პრესის ცნობით „ჩაკერებული იქნა“ საქმეში.

მიუხედავათ ამისა,—სთქვა ამხ. რაკოვსკიმ,—უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ არის პოლონეთის დიპლომატიის უკანასკნელი სიტყვა. საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთების განცხადება, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას სურს ცალ-ცალკე ხელშეკრულება დასდვას პოლონეთთან და ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან—რათა გამოაცალკევოს პოლონეთი, რომ ადვილად შესაძლებელი გახდეს მასზე თავდასხმა, აშკარა უაზრობაა. ყველა ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტის შესახებ, რომლებსაც საბჭოთა კავშირი სდებს, გამომდინარეობენ იმ გარემოებიდან, რომლითაც გათვალისწინებულია არა ის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების დამდები მხარეები თავს დაესხმიან სხვა სახელმწიფოს, არამედ ის შემთხვევა, როცა ისინი თავდასხმის მსხვერპლი შეიქნებიან.

იმ გიპოტეზის პირობებში, რომ თავდამსხმელ სახელმწიფოდ გამოვა საბჭოთა კავშირი,—ვალდებულება ნეიტრალიტეტის შესახებ თავის-თავად ისპობა. მიუხედავათ ამისა საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია დასთანხმდეს ისეთ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე, რომელშიაც ხელშეკრულების დამდებ ერთ მხარეთ იქნებოდა საბჭოთა კავშირი და მეორე მხარეთ პოლონეთი ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ვინაიდან ეს იქნებოდა საკუთარი ხელებით საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნა. ამას გარდა ეს იქნებოდა კოალიციაში შემავალთა შორის უძლიერესის პროტექტორატის დაწესება სხვა დანარჩენ სუსტ მონაწილეებზე. ეს არ არის საინტერესო თვით ბალტიის სახელმწიფოებისათვის, რომელთა დამოუკიდებლობა ყოველ მხრივ დაცული უნდა იქნეს.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების შესახებ ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკება **განახლდება პარლამენტის სესიის დაწყებასთან ერთად. ვალების საკითხის შესახებ ორივე დელეგაციის აზრი იმდენად დაუახლოვდა ერთი მეორეს, რომ შეიქმნა საფინანსო კომისიის პროგრამის მეორე ნაწილზე გადასვლის შესაძლებლობა, ე. ი. იმ საკითხზე, რომელიც შეეხება კრედიტებს.**

ამხ. კრასინი ჩემბერლენთან

ლონდონი, 12 ოქტომბ. გუშინ საღამოთი ჩემბერლენმა მიიღო საბჭოთა საქმეების რწმუნებული კრასინი. კრასინის ჩემბერლენთან მისვლას მიზეზია—რწმუნების სიგელების გადაცემა. სიგელების გადაცემის შემდეგ გაიმართა საუბარი, რომელიც თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. საუბარს საერთო ხასიათი ატარებდა. სამინისტროს განცხადება, რომელიც წაკითხულ იქმნა თემთა პალატაში მისი სესიის შეწყვეტის წინ, აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობა ორთავე ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების არსებით პირობად სთვლის ვალების ცნობას რუსეთის მიერ. ამასთან ერთად, ბრიტანეთის მთავრობა დაბრკოლებებს არ ქმნის რუსეთთან ვაჭრობისათვის. ამჟამად ინგლისი რუსეთთან უფრო მეტ სავაჭრო ოპერაციებს ახდენს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა.

ბრძოლა ჩინეთში

13 ელჩის ცირკულიარი

პეკინი, 12 ოქტომბერი. ჩინეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა და ელჩებმა ლონდონში, პარიზში, ბერლინში, რომში, ჰააგაში, სტოკჰოლმში, კოპენჰაგენში, მექსიკაში, ბრაზილიაში, რიცხვით 13 პირმა, რომელთაც მეთაურობს ჩინეთის ელჩი ტოკიოში ვან-იუნტიაო,—შეთანხმებულად გაუგზავნეს პეკინის მთავრობას და სხვადასხვა სამხედრო ბელადებს ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ ომის შეწყვეტას ურთიერთ შორის და ნაციონალური კრების მოწვევას ყველა გადადებულ საკითხების გადასაჭრელად.

ინგლისის საწინააღმდეგო ბოიკოტი ვან-სიანში

ლონდონი, 12 ოქტომბერი. კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ“ ამტკიცებს, რომ გენერალი იან-სენი ვან-სიანში **და ჩიუნ-კინში იცავდა ინგლისის წინააღმდეგ სასტიკ ბოიკოტს.**

გაზეთს საეჭვოთ მიაჩნია საზოგადოთ დაიწყო თუ არა მოლაპარაკება გენერალ იან-სენსა და ინგლისის სამხედრო საზღვაო სარდლობას შორის, რის შესახებაც ხმები ვრცელდებოდა ინგლისის პრესაში.

ჩინეთის რესპუბლიკის გამოცხადების წლისთავი

ლონდონი, 13 ოქტ. ჩინეთიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების თანახმად, ჩინეთის რესპუბლიკის გამოცხადების წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო პროცესიები. წლისთავის დღესასწაული შეხვდა უჩანის აღების ზეიმს.

ინგლისის იმპერია იშლება

ლონდონი, 13 ოქტ. დიპლომატიურ წრეებში ხმები დადის, რომ კანადის, სამხრეთ აფრიკის და ირლანდიის წარმომადგენელნი მომავალ საიმპერიო კონფერენციაზე **მოითხოვენ ინგლისის დომინიონების საჯარო-უფლებრივ მდგომარეობის შეცვლას.**

განზრახულია ახალი სტატუტის შექმნა, რომელიც ყველა დომინიონებს უფლებრივად გაათანასწორებს ინგლისთან და აგრეთვე მიანიჭებს სრულ დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკაში.

მომავალ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ექნება დიდ ბრიტანეთის იმპერიის ბედ-იღბალისათვის.

ლიბერალების გამარჯვება კანადაში, აფრიკის კავშირის საკუთარი დროშის საკითხი და სხ. დიდ მღელვარებას იწვევენ ინგლისის მმართველ წრეებში.

ჩეხიის კომუნისტ-დეპუტატების საქმე

რიგა, 12 ოქტომბერი. გუშინ პრაგის სასამართლოში უნდა დაწყებულიყო კომუნისტ დეპუტატების ილეკის, გარუშის, კრეიბიხის, მაკრანკის და ნაციონალ-სოციალისტის კნეიზლიკის საქმე. აღნიშნულ დეპუტატებს აბრალებენ სახელმწიფოს დაცვის შესახებ არსებულ კანონის დარღვევას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ობსტრუქციაში, როცა პარლამენტში ირჩეოდა სამღვდელოების ჯამაგირის საკითხი.

საქმე გადაიდო, რადგან არც ერთ ბრალდებულს თავის დროზე უწყება არ ჰქონია ჩაბარებული.

მილეკი, გარუში და კრეიბიხი—ჩეხიის კომპარტიის წევრები არიან; ილეკი გარდა ამისა ითვლება პარტიის გენერალურ მდივნად და ცეკას პოლიტბიუროს წევრად.

საჩუქარი ჰოგენცოლერნებს

ბერლინი, 13 ოქტომბერი. პრუსიის ლანდტაგმა მეორე წაკითხვის დროს მიიღო კომპრომისი ჰოგენცოლერნებთან. სხდომას მეტად მღელვარე ხასიათი ქონდა და ის რამდენჯერმე შეწყვეტილ იქნა კომუნისტების მკაცრი გამოსვლებით.

პრუსიის ლანდტაგის 4 დეპუტატი გამორიცხულია სხდომიდან და მათ წინააღმდეგ აღძრულ იქნება ბრალდება იმის გამო, რომ ისინი ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების პროექტის განხილვის დროს ლანდტაგის თავმჯდომარეს ესროდენ სამელნეებს და წიგნებს.

პარიზი, 13 ოქტ. როგორც ბერლინიდან იუწყებიან—პრუსიის ლანდტაგში კამათის დროს ჰოჰენცოლერნების ქონების ანაზღაურების საკითხის გამო—მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაიზერი არასოდეს არ გამოიყენებს თავშესაფარის უფლებას და მისი დაბრუნების ჩვენ არ უნდა გვეშინოდესო.

ბერლინი, 12 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „პრუსიის ლანდტაგის დღევანდელ სხდომაზე ჰოჰენცოლერნებისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხის განხილვის დროს კვლავ მოხდა მეტად მღელვარე ხასიათის სცენები. ერთ-ერთმა კომუნისტურმა დეპუტატმა შეკრული წიგნების გროვა გადაისროლა მემარჯვენე პარტიების რიგებში, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია. ატყდა ხმაურობა. თავმჯდომარემ შესწყვიტა კრება და მოითხოვა ტრიბუნების დაცლა, სადაც უმთავრესად კომუნისტები და კომუნისტური დეპუტატები იმყოფებოდენ. ამის საპასუხოდ კომუნისტურმა დეპუტატებმა შესძახეს: გაუმარჯოს კომინტერნს! კომუნისტურმა დეპუტატმა საორატორო ტრიბუნიდან წყლით სავსე ჭიქა ესროლა მემარჯვენე დეპუტატს.

ხალხის ტრიბუნიდან განდევნის დროს ხმაურობა კვლავ გრძელდებოდა ძირსაც.

ბერლინი, 13 ოქტომბ. ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების შესახებ კანონპროექტის მეორე კითხვის დროს პრუსიის ლანდტაგის გუშინდელ სხდომაზე კომუნისტებმა მიმართეს ობსტრუქციულ ტაქტიკას. თავმჯდომარემ შესწყვიტა კრება. ლანდტაგის საბჭომ დაადგინა 20 სხდომიდან გამორიცხოს 3 კომუნისტური დეპუტატი. გამოწვეულ იქნა პოლიცია.

სამი გამორიცხული დეპუტატის სხდომიდან გაძევების შემდეგ გამორიცხულ იქმნენ კიდევ რამდენიმე კომუნისტური დეპუტატი.

მიღებულია წინადადება, რომელიც ფაქტიურად სპობს ოპოზიციის წინადადების კენჭის ყრის შესაძლებლობას.

მაშინ კომუნისტური ფრაქციის ყველა დანარჩენმა წევრებმა პროტესტით და მუქარით, რომ განაგრძობენ ბრძოლას პარლამენტის გარეშე, დასტოვეს სხდომის დარბაზი კანონ-პროექტი ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების შესახებ მიღებულ იქმნა ბურჟუაზიული პარტიების 214 ხმით წინააღმდეგ კომუნისტების 38 ხმისა. სოც.-დემოკრატ დეპუტატებმა (96 ხმა) თავი შეიკავეს. კანონ-პროექტის მესამე წაკითხვა 18 ოქტომბრისათვის არის დანიშნული.

კომუნისტური დეპუტატების გამორიცხვის წინადადებაში ბურჟუაზიულ დეპუტატებთან ერთად მონაწილეობას იღებდენ სოციალ-დემოკრატებიც. კომუნისტები განაგრძობენ ობსტრუქციულ ტაქტიკას.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

ბერლინი, 13 ოქტ. ვარშავიდან მიღებულ ცნობის თანახმად, საფინანსო და სამრეწველო წრეები ერთობ შეშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი გადიდებულია 200 მილ. მეტი ზლოტით.

ვარშავა, 13 ოქტ. მრეწველობის მინისტრმა კვიატოვსკიმ თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა პოზნანში სავაჭრო პალატის 75 წლის არსებობის დღესასწაულის გამო, განაცხადა, რომ მთავრობა ცდილობს შექმნას საერთო ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაცია, რომელიც უზრუნველჰყოფს ბიუჯეტის წონასწორობას და აქტიურ სავაჭრო ბალანსს. მთავრობა დგება საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის გზაზე და აღნიშნავს აგრეთვე, რომ მიწადმოქმედება არის ნაციონალური ეკონომიკის უმთავრესი ფაქტორი. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიასთან ეკონომიური ომი პოლონეთს აძლევს ზოგიერთ სარგებლობას, მთავრობა მზად არის შესწყვიტოს ეს ომი და ხელი მოაწეროს სავაჭრო ხელშეკრულებას.

სპილენძის ტრესტი

ლონდონი, 13 ოქტ. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით იმ ჯგუფმა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უმთავრეს სპილენძის წარმოებებს, წინადადება მისცა სპილენძის ექსპორტიორებს სპილენძზე ფასების სტაბილიზაციის მიზნით დაარსოს ახალი ჯგუფი კელლის თავმჯდომარეობით, რომელიც სპილენძის კომპანიის „ანაკონდას“ თავმჯდომარეა; ჯგუფი მოწონებულია შეერთებული შტატების მთავრობის მიერ და შეიცავს ბრიტანიის სალითონო კორპორაციას, კომპანია „რიო-ტინგოს“, სამხრეთ-ამერიკის საწარმოვო კომპანიას და საფრანგეთისა და ბელგიის უმთავრეს სამრეწველოებს.

მუშების გამარჯვება

ვენა, 12 ოქტ. ხე-ტყის მუშათა გაფიცვა ტარგუმურეში (რუმინია) **მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.** გაფიცვას ხელმძღვანელობდა უნიტარული (რევოლიუციონური) პროფკავშირების საბჭო.

საფრანგეთი და გერმანია

ბერლინი, 13 ოქტ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად იუწყება, რომ ამ ჟამად ექსპერტები იმუშავებენ გეგმას ტუარის იდეალების განსახორციელებლად.

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 12 ოქტომბერი. **ბელგიაში კომუნალურ არჩევნებზე ლიეჟის ერთ-ერთ უბანში—სერენეში კომუნისტებმა მოიგეს 7 ადგილი სოციალისტების ხარჯზე.**

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

4 ნოემბერს განაახლებს მუშაობას

პარიზი, 13 ოქტომბ. პალატები მუშაობას განაახლებენ 4 ნოემბერს. დეპუტატთა პალატის ვალების კომისიამ მოისმინა მოხსენება ლონდონის და ვაშინგტონის ხელშეკრულებათა შესახებ.

ახალი მთავრობა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაგა, 13 ოქტომბერი. **რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო მთავრობის გადადგომა. ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა შვეჰლას. ბენეში დარჩება საგარეო საქმეთა მინისტრად.**

პირველი შემთხვევაა, რომ ჩეხოსლოვაკიის კაბინეტში მონაწილეობას იღებენ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომელთაგან ორი გერმანელია.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია

ბერლინი, 12 ოქტ. პოლიტიკურ წრეებში იტყობინებიან, რომ პოლონეთის მთავრობამ მიიღო ზომები ბალტიის ქვეყნების კონფერენციის მოსაწვევად, რომელზედაც შეთანხმებულია და დადებული უნდა იქნეს პოლონეთთან ერთად საგარანტიო ხელშეკრულება. პოლონეთის ინიციატივას საიდუმლოთ ინახავენ.

არჩევნები შვეციაში

ლონდონი, 13 ოქტ. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ გენერალურ საბჭოების არჩევნებში გაიმარჯვეს სოციალისტებმა.

მემარჯვენეებმა რამდენიმე ადგილი დაჰკარგეს, აგრარიებმა შეინარჩუნეს ძველი მდგომარეობა. **მთავრობის ჯგუფების ლიბერალებმაც დაჰკარგეს რამდენიმე ადგილი.**

პოლონეთი და საბჭოთა კავშირი

ვარშავა, 13 ოქტომბერი. პეპესოველთა ორგანო „რაბოტნიკ“-ი იუწყება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ წრეების ცნობებით, პოლონეთის მთავრობა სცდილობს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევას. შეთანხმების მიზანი იქნება თავზე არდასხმის შესახებ ხელშეკრულების დადება.

ამავე ცნობას იმეორებს „კურიერ ვარშავსკი“-ც, რომელიც თავის მხრივ უმატებს, რომ პოლონეთი ამ საკითხის შესახებ დაეკითხება თავის ბალტიის მეზობლებს.

ვარშავაში ჩავიდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში კენტჩინსკი, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა მთავრობისათვის გასაგზავნ ნოტის შედგენაში.

მემაღაროები არ სთმობენ

ლონდონი, 13 ოქტომბერი. კუკის გამგზავრებამ ცენტრალურ რაიონებში უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი; დერბიშირსა და ნოტინგამშირში სამუშაოზე გამოცხადდა 10.000 კაცით ნაკლები.

მაღაროს მეპატრონეები სცდილობენ მსხვილი ქვა-ნახშირის რაიონების მემაღაროეთა მოსყიდვას თვითეულ ნამუშევარ დღეზე სპეციალური ჯილდოს მიცემით; მაგრამ დღემდე მაღაროს მეპატრონეთა ამ ხრიკმა ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ნიუკასტლში მაღაროს მეპატრონეებმა განუცხადეს მუშებს, რომ საგაფიცვო პიკეტებში მონაწილენი სამუშაოზე არ იქნებიან მიღებულიო. გარდა ამისა, მაღაროს მეპატრონეებმა მოსთხოვეს მუშებს საქვანახშირო კამპანიების სახლების დაცლა.

მაღაროს მეპატრონეთა ასეთი საქციელის გამო, სამთამადნო მუშათა ნორთუმბერლენდის ასოციაციის მდივანმა სტრეიკლერმა განაცხადა, რომ პიკეტები დაცული იქნებიან. თუ საჭირო გახდება, მემაღაროები არ განაახლებენ მუშაობას იმ მაღაროებში, სადაც დათხოვილი იქნებიან პიკეტებში მონაწილენი, საერთო შეთანხმებაც რომ იქნეს მიღწეული.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

კუკის განცხადება სამხედრო მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 13 ოქტომბერი. ნოტინგამშირში კუკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან განაცხადა, რომ მის მიერ მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება მთელ ცენტრალურ ინგლისში, თუ ნოტინგამშირელი მემაღაროეები ხმას მისცემენ ბრძოლის გაგრძელებას. „მე მინდა განვუცხადო მთავრობას, სთქვა კუკმა, რომ რა წამს ის შემოიღებს სამხედრო მდგომარეობას ცენტრალურ ინგლისში, ფედერაციის აღმასკომის ყოველი ლიდერი და ყოველი წევრი ამ რაიონში გაემგზავრება. თუ საჭიროა ვინმესთვის ხელის ჩავლება, დეე, მან ეს ლიდერებიდან დაიწყოს“.

აღმასკომის სხდომა

ლონდონი, 13 ოქტომბერი. ხვალ შესდგება სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც განიხილავს ადგილებიდან მოხსენებებს, ბრძოლის ინტენსიფიკაციის საკითხებს და აგრეთვე წინადადებებს მცველ მუშების მოხსნის შესახებ.

ზლოტის დაცემა

ვარშავა, 12 ოქტომბერი. ზლოტის კურსის რყევა ვარშავის შავ ბირჟაზე კვლავ გრძელდება.

რაკოვსკიმ ინახულა ჰაეროდრომი

პარიზი, 12 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „რაკოვსკიმ ლე-ბურჟეში ინახულა ჰაეროდრომი.

კლამამიუსის საქმე

პარიზი, 12 ოქტომბერი. კომუნისტ დეპუტატის, გაზეთ „ლე კონსკრი“-ს („ახალწვეული“) რედაქტორის კლამამიუსის საჩივარი სასამართლოში. კლამამიუსს ბრალად სდებენ სამხედრო პირების წაქეზებას ბრძანების შეუსრულებლობისაკენ.

კუკის განცხადება

ლონდონი, 13 ოქტომბერი. მარგეიტში გამართულ კონფერენციაზე მუშათა პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე ვილიამსის სიტყვის გამო კუკმა განაცხადა:

„ეს უღირსი, უტიფარი გამოსვლა ჩემში ზიზღს იწვევს. ასეთივე აღშფოთებას გამოიწვევს ეს გამოსვლა სამთა-მადნო მუშებში.“

მოსავლის დღე

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. მოსავლის დღესასწაული მთელ ბელორუსიაში გაიხსნა. 76 საოლქო და სარაიონო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მრავალ გლეხს, რომლებმაც იქ ექსპონატები წარმოადგინეს, დაურიგდა ჯილდო, ჯილდოში ტრაქტორიც არის შეტანილი.

[illegible]

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო ავიოქიმმა სვერდლოვსკიდან მიიღო დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ძმები არიომზარები, 13 ოქტომბერს, დილის 6 საათზე სვერდლოვსკიდან გამოფრენის დროს, ჩამოვარდენ აეროპლანი დამტვრეულია. მფრინავები ცოტათი დაზიანდენ.

ქარიშხალი

ბერლინი, 13 ოქტომბერი. ქარიშხალმა ჩრდილოეთის ზღვაზე დაანგრია კუნძულ შელდმოლანდის მთავარი ჯებირი, რის გამოც შემოვარდნილმა ზღვამ გადარეცხა ნაპირი და ახლო-მახლო მიდამოები. ნავთსადგური დაფარულია წყლით. დანგრეულია თევზულის სამრეწველოები.

მთავრობა და სახალხო პარტია

ბერლინი, 13 ოქტომბერი. პრუსიის [illegible] ცენტრის კათოლიკურ ფრაქციის სახით პარტიის მთავრობაში მონაწილეობის განზრახვის შესახებ.

მატარებლების დაჯახება

ბერლინი, 13 ოქტომბერი. შარლეს მახლობლად, პოლონეთის ზემო სილეზიაში მატარებლების დაჯახების დროს მოკვდა 2 კაცი და 8 კაცი მძიმედ დაშავდა.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

მეორე და მესამე ინტერნაციონალი

მარგეიტი, 12 ოქტ. მუშათა პარტიის კონფერენციის 11 ოქტომბრის სხდომაზე დილით რობინზონმა წარადგინა რეზოლიუცია აღმასკომის მოხსენების იმ ნაწილის უარყოფის შესახებ, რომელშიაც ლაპარაკია მეორე ინტერნაციონალის და კომინტერნის ურთიერთობაზე. რობინზონმა აღნიშნა, რომ მეორე ინტერნაციონალს არ უზრუნვია საერთო ენის გამოძებნაზე კომინტერნთან. დელეგატები ტაშის ცემით შეხვდენ რობინზონის შემდეგ განცხადებას:

„რუსმა მუშებმა უფრო მეტი ლოიალობა გამოიჩინეს ჩვენი სამთომადნო მუშების მიმართ, ვინემ ევროპის სხვა რომელიმე ქვეყნის მუშებმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენც ჩვენი მხრით რაიმე უნდა გავაკეთოთ იმ ტეხნიკურ ხასიათის უთანხმოებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც ადგილი აქვთ ორ ინტერნაციონალს შორის“.

დანარჩენმა ორატორებმაც ხაზი გაუსვეს ამავე თვალსაზრისს. მიუხედავად ამისა რობინზონის წინადადება უარყოფილ იქნა.

რეზოლიუცია სანახშირო კრიზისის შესახებ

კონფერენციის 12 ოქტომბრის დილის სხდომა სავსებით მოუნდა აღმასკომის მიერ წარმოდგენილ საწრაფო რეზოლიუციის განხილვას სანახშირო კრიზისის შესახებ.

სამთამადნო მუშათა ფედერაციის წევრი ჯოზეფ ჯონსი გამოვიდა რეზოლიუციის დასაცავად და განაცხადა, რომ ის იძულებულია გამოვიდეს, რადგან სამთამადნო მუშების ფედერაციის წარმომადგენელთაგან სხვამ არავინ არ იკისრა რეზოლიუციის დაცვა. ჯონსის ამ განცხადების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სამთამადნო მუშების ფედერაციის წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან რეზოლიუციის გაუბედავი კილოთი, რომელშიაც არაფერი არ არის ნათქვამი პროფკავშირთა წევრების მიერ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ ანარიცხების გაღებისა და ნახშირის შემოზიდვის აკრძალვის შესახებ.

დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ მუშათა პარტიის აღმასკომს გადასცა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ პროფკავშირების წევრებს დაევალოთ ანარიცხების გაღება სამთამადნო მუშების სასარგებლოდ, აკრძალულ იქნეს ნახშირის შემოზიდვა და სამთამადნო მუშების დახმარების კამპანია მოეწყოს სრულიად ინგლისის მასშტაბით. აღმასკომმა ეს რეზოლიუცია არ მიიღო. მაშინ თემთა პალატის დეპუტატმა კირკვუდმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის სახელით შეიტანა წინადადება აღმასკომის რეზოლიუციის უარყოფის შესახებ.

კამათი რეზოლიუციების გარშემო.

მარგეიტი, 13 ოქტომბერი. მუშათა პარტიის კონფერენციის 11 ოქტომბრის დილის სხდომაზე, რომელიც იხილავდა აღმასკომის რეზოლიუციას სანახშირო კრიზისის საკითხზე, გამოვიდა მეუმცირესეთა მოძრაობის ლიდერი, კომუნისტი პოლიტტი.

პოლიტტი დაბეჯითებით მოითხოვდა აღმასკომის რეზოლიუციის უარყოფას, და განაცხადა, რომ „რეზოლიუცია არავითარ პოლიტიკურ ხაზს არ სახავს; ის მხოლოდ მთავრობის პოზიციას ამაგრებს. ამ შემთხვევაში სამრეწველო კრიზისი კი არ ხდება, არამედ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური ბრძოლა. ეხლა ჩვენთვის საუკეთესო ტრიბუნაა არა პარლამენტი, არამედ სანახშირო აუზები და სამრეწველო რაიონები. რეზოლიუციამ სანახშირო კრიზისის შესახებ უნდა მოითხოვოს ემბარგო (აკრძალვა) და ანარიცხების აკრეფა მემაღაროეთა სასარგებლოთ და პარლამენტის დათხოვნისა და მთავრობის გადადგომის შესახებ ლოზუნგის პოპულიარიზაცია, რაც თავის მხრივ გამარჯვებას არგუნებს სამთამადნო მუშებს და გამოიწვევს კონსერვატიული მთავრობის დამხობას და მის შეცვლას მუშური მთავრობით“.

(მქუხარე ტაში).

შემდეგ გამოვიდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის რამდენიმე ორატორი, რომელნიც აგრეთვე მოითხოვდენ აღმასკომის რეზოლიუციის უარყოფას და ხაზს უსვამდენ იმას, რომ ნახშირის მარაგის შემცირების გამო, სამთამადნო მუშები ეხლა უფრო ახლო არიან გამარჯვებასთან, ვიდრე ოდესმე.

სამთამადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენელმა ხორნერმა განაცხადა: „ბოლდუინის განცხადების გამო 1925 წლის ივლისში ყველა მუშებისათვის სამუშაო ხელფასის დაკლების შესახებ, სამთამადნო მუშები მუდამ ფიქრობდენ, რომ ისინი იბრძვიან ყველა მუშების ინტერესების დასაცავად. თქვენ თუ ჩვენი დახმარება გსურთ, მოგვეცით ემბარგო და დაგვეხმარეთ სიმშილით ვამარცხოთ კაპიტალისტური მრეწველობა ისევე, როგორც კაპიტალისტები ცდილობენ ჩვენს დამარცხებას შიმშილით“ (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის მდივანი ბროუნი მოითხოვდა, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაიწყოს ობსტრუქცია (ტაში).

ელენე ტაიტმა, იორკშირელ მემაღაროეს ცოლმა, სასტიკად გაილაშქრა აღმასკომის რეზოლიუციის წინააღმდეგ, და მოითხოვა მისი უარყოფა. მან განაცხადა: „თუ მუშები გააახლებენ მუშაობას 7 ნახ. საათის სამუშაო დღისა და სამუშაო ხელფასის დაკლების პირობებში, მემაღაროეთა ცოლები მაღაროებიდან ამოათრევენ მათ. ასეთი რეზოლიუციის მიღება ნიშნავს მემაღაროეთა გაცემას და მათ ღალატს“.

მრავალმა დელეგატმა მოითხოვა— დაუყოვნებლივ კენჭის ყრა, მაგრამ ეს არ შედიოდა აღმასკომის წინასწარ მომზადებულ გეგმაში.

საერთო ხმაურსა და განგაშში ვილიამსმა სიტყვა მისცა ტომასს. ტომასმა, რომელსაც მრავალჯერ აწყვეტინებდენ სიტყვას, ხაზი გაუსვა ანარიცხებისა და ემბარგოს პრაქტიკულად განხორციელების სიძნელეს. ტომასი სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალს ჰკიცხავდა იმაში, რომ მან ვერ მოახერხა შეეშალა ხელი ინგლისში ნახშირის შეზიდვისათვის და თვით ინგლისშივე ნახშირის ამოღებისათვის.

ტრანსპორტელებისა და შავ მუშათა კავშირის სახელით ბენ-ტილეტმა ისეთივე შინაარსის სიტყვა სთქვა, როგორც ტომასმა. ტილეტის აზრით, საკითხი მემაღაროეთათვის დახმარების მოწყობის მიცემის შესახებ, შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ და მხოლოდ პროფკ. აღმასკომების კონფერენციაზე. ტომასის საპასუხოდ გამოვიდა რიჩარდსონი, როგორც ეტყობა, რიჩარდსონიც ღებულობდა მონაწილეობას აღმასკომის გეგმაში—ჩაეშალა წინადადება მისი რეზოლიუციის უარყოფის შესახებ, მაგრამ ის მაინც იძულებული შეიქნა გამოსულიყო მემაღაროეთა ზეგავლენით, რიჩარდსონმა განაცხადა: „მემაღაროეთათვის არ კმარა მარტო რეზოლიუციები. თვითეულ შილინგიდან, რომელსაც მემაღაროე ღებულობდა დახმარების სახით, 8 პენსი რუსი მუშების გამოგზავნილი იყო (შილინგი უდრის 12 პენსს). ეს ყველაზე უკეთესად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს ხალხსაც შეეძლო ასევე მოქცეულიყო“.

შემდეგ გამოსულმა მაკდონალდმა ხაზი გაუსვა პროფკავშირების მძიმე მდგომარეობას, და თავისი სიტყვა დაასრულა ასე: „ბრძოლა ახლა სხვა ადგილას არის გადატანილი. სახელდობრ.— თემთა პალატაში. ლოზუნგი—მაღაროების ნაციონალიზაცია—მისი საუკეთესო მეთოდია“.

მაკდონალდის სიტყვის შემდეგ, აღმასკომს უნდოდა გადასულიყო რეზოლიუციის კენჭის ყრაზე, სურდა რა გამოეყენებინა მაკდონალდისა, ტომასისა და ბენ-ტილეტის სიტყვებით დატოვებული შთაბეჭდილება, მაგრამ მის ამ ცდას ძლიერი ოპოზიციით დაუხვდენ და მოითხოვეს დისკუსიის გაგრძელება.

რეზოლიუციამ, კენჭის ყრაზე გადასვლის შესახებ მიიღო 203.700 ხმა, წინააღმდეგ—1.276.009 ხმისა. მემაღაროეთა დელეგატებმა შემოიტანეს წინადადება, რომ კენჭის ყრა გადადებულიყო კუკისა და სმიტის ჩამოსვლამდე. ეს წინადადება შეტანილ იქნა რიჩარდსონის პოზიციის გამო, რომელმაც აშკარად დაუჭირა მხარი აღმასკომს. ვილიამსმა უარჰყო ეს წინადადება და უარი განაცხადა რეზოლიუციაში რაიმე შესწორებების შეტანაზე. შემდეგ ვილიამსმა განაცხადა, რომ კენჭის ყრაზე დასმული იქნება აღმასკომის რეზოლიუცია და არა წინადადება მისი უარყოფის შესახებ.

ამ, აშკარად უკანონო ხერხს ვილიამსმა მიმართა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებია რეზოლიუციის უარყოფის საფრთხე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვილიამსი იძულებული გახდეს ერთ და იმავე დროს ეყარა კენჭი როგორც აღმასკომის რეზოლიუციისა, ისე შემოსულ წინადადებისათვის რეზოლიუციის უარყოფის შესახებ.

„სინიდისის დასამშვიდებლად“ კონფერენციაზე მოახდინეს სამთამადნო მუშების სასარგებლოთ შემოწირულების მოგროვება, რის შესახებაც უკვე იყო ცნობა. 13 დელეგატმა, ალბად, აღმასკომის წევრებმა და სხვა თანამდებობიანი პირებმა უკვე ხელი მოაწერეს 150 გირვანქა სტერლინგზე.

წინადადებამ რეზოლიუციის უარყოფის შესახებ მიიღო 1.358.000 ხმა, ხოლო წინააღმდეგ 2.159.000. შემდეგ აღმასკომის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 3.315.000 ხმის უმეტესობით, 210.000 ხმის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ვილიამსი მოუწოდებდა ერთხმად მიეღოთ იგი.

მარგეიტი, 13 ოქტომბერი. 13 ოქტომბრის დილის სხდომაზე აღმასკომის მოხსენების ნაწილი, რომლითაც ის ამართლებდა თავის უარს, რომ განსახილველად შეეტანა რეზოლიუცია წინასწარი ზომების მიღების შესახებ, უარყოფილ იქნა 1.656.000 ხმის უმრავლესობით, 1.620.000 წინააღმდეგ იმ გაფთრებული დისკუსიის შემდეგ, რომელშიც დელეგატ-ქალებიც ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას. კენჭის ყრის შედეგი მით უფრო საინტერესოა, რომ მას წინ უძღოდა მაკდონალდის გამოსვლა მეტად საზეიმო და პირფერული სიტყვით, რომელშიც ის ეკამათებოდა წინასწარი ზომების მომხრეთ. ამ სხდომაზე კომუნისტ პადინგტონს გამოუცხადეს მისი რწმუნებულობის სიყალბე და წინადადება მიეცა დაეტოვებია დელეგატის ადგილი კონფერენციაზე.

რომის კონფერენცია

ლონდონი, 13 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“ ეხება გერმანელ და ინგლისელ მრეწველების და ფინანსისტების არაოფიციალურ კონფერენციას, რომელიც 10 ოქტომბერს დაიწყო რომში. გაზეთი აცხადებს, რომ ზოგიერთი გერმანელი ცდილობდა იმის მიღწევას, რომ ინგლისელ ფინანსისტებს მონაწილეობა მიეღოთ მათ „საეჭვო და სახიფათო ღონისძიებებში საბჭოთა კავშირში“. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელი ფინანსისტების სურვილია, რომ ინგლისელმა ფინანსისტებმა შემოიტანონ მეორე ნახევარი იმ 300 მილ. მარკისა, რომელსაც გერმანია სესხად აძლევს საბჭოთა კავშირს.

თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე „ევროპის ეკონომიურ შეერთებულ შტატების“ შექმნის გეგმა.

კონფერენციის შემდეგი სხდომის მოწვევა გადაწყვეტილია ბერლინში.

საბჭოთა მეცნიერების გამგზავრება იაპონიაში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. 12 ოქტ. საღამოთი წყნარ ოკეანის მესამე კონგრესზე დასასწრებლად ტოკიოში გაემგზავრა საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან: შუა აზიის შემსწავლელი საზოგადოების თავმჯდომარე ვილენსკი-სიბირიაკოვი, აკადემიკოსი კომაროვი და აკადემიის თანამშრომელნი—პროფესორები შმიდტი და ბერგი.

საბჭოთა მეცნიერები პირველად იღებენ მონაწილეობას ამ კონგრესზე. კონგრესი იაპონიის ინიციატივით არის მოწვეული.

რადიჩის კამპანია

პარიზი, 13 ოქტ. ბელგრადიდან მიღებული ცნობით მინისტრთა საბჭომ განიხილა მდგომარეობა, რომელიც შექმნა ზაგრებში, იმ ინციდენტების შემდეგ, რომელიც გამოიწვია რადიჩმა ზაგრებში უცხოეთის საპარლამენტო დელეგაციის ყოფნის დროს.

ინგლისის ექსპორტი

ლონდონი, 13 ოქტ. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების თანახმად საკმაოდ გაიზარდა კომერციული ბალანსის დეფიციტი. დიდი ბრიტანეთის 1920 წლის სექტემბრის ექსპორტის ჯამი 10 მილ. გირვანქა სტერლინგით ნაკლებია, ვიდრე 1925 წ. სექტემბრის.

სირიაში

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი

პარიზი, 13 ოქტომბ. სირიის ახალი უმაღლესი კომისარი ნონსო ჩავიდა ბეირუთში.

ლუშერი ვენაში

პარიზი, 13 ოქტომბ. გუშინ ლუშერი გაემგზავრა ვენაში ევროპის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ გამართულ თათბირზე დასასწრებლად.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

იტალიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. იტალიის მუშათა დელეგაციის წევრებმა გამოსთქვეს რემედასში წევრებათ ჩარიცხვის სურვილი და მიიღეს წინადადება რემედასის რუსული სექციის საპატიო წევრებათ არჩევის შესახებ.

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი 13 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა. გამგზავრების წინ დელეგაციის წევრებმა ინახულეს პროფინტერნი, სადაც ესაუბრენ ამხ. ლოზოვსკის. შეეხენ რა ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვას, დელეგაციის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა მთლიანობის კომიტეტი თავის დროზე იყო შექმნილი.

დელეგაციამ მემაღაროეთა ცეკას გადასცა დეკლარაცია, რომელშიაც გადმოცემულია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებების დასკვნები.

პურის დასამზადებელი კამპანია

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. პურის დამმზადებელ კამპანიის დასაწყისიდან 6 ოქტომბრამდე ყველა ძირითად დამმზადებლების მიერ, უკრაინასთან ერთად, დამზადებულ იქნა 27,5 მილ. ცენტნერი (ცენტნერი—2 ½ ფუთი.) პური.

კომკავშირის ეკონომიური დარგის მუშაკთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 13 სექტემბერი. ახალგაზრდათა საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკამ დაადგინა მოიწვიოს 10 ნოემბერს კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციების ეკონომიურ დარგის მუშაკთა საკავშირო თათბირი.

უკრაინა

„დონუგოლ“ სექტემბერში

ხარკოვი, 13 ოქტომბერი. დაახლოვებითი ცნობების მიხედვით, „დონუგოლ“-ის მაღაროებში სექტემბრის განმავლობაში ამოღებულია 1.413.304 ტონა ნახშირი, რაც წინა თვესთან შედარებით ნიშნავს დაახლოვებით 21 პროცენტის მომატებას.

„ელბრუს“-ის პირველი რეისი

ოდესა, 13 ოქტომბერი. ნოვოროსიისკის ნავთსადგურთან ამოღებული თბომავალი გემი „ელბრუს“-ი შეკეთებულ იქნა ნიკოლაევში და პირველ რეისით მოვიდა ნოვოროსიისკში.

საფრანგეთის მუშა - ახალგაზრდობის დელეგაცია

კიევი, 13 ოქტომბერი. საფრანგეთის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის თავმჯდომარემ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წევრმა ფოაზეფ გოშემ, რომელიც საბჭოთა კავშირში გამგზავრების გამო პარტიიდან გამორიცხეს, საუბრის დროს განაცხადა, რომ მას პარტიიდან გამორიცხვა სრულებით არ აღშფოთებს, რადგან რაც მან საბჭოთა კავშირში თავის თვალით ნახა, მის შემდეგ საბოლოოთ გადასწყვიტა კომუნისტურ პარტიაში შესვლა.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს შესდგა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წლიური საზოგადო კრება.

კრებას დაესწრენ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, სხვადასხვა საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენელნი, აღმოსავლეთის ვაჭართა წარმომადგენელნი და სხ.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლევავას შესავალი სიტყვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სპარსეთის საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში გალან-რეზა-ხან ნურ-ზადემ, რომელმაც აღნიშნა სავაჭრო პალატის დიდი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ალებ-მიცემობაში.

ოსმალეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ზეკი-ბეიმ მისასალმებელ სიტყვაში გამოსთქვა სურვილი, რომ საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის ეკონომიური ურთიერთობა, რომლის განვითარებასაც უწყობდა ხელს რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა, კვლავ განვითარდეს მომავალშიაც.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ამხ. ჩიჩერინმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ მეტად დიდი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საქმეში.

შემდეგ მისალმებით გამოვიდენ: საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ხლოპლიანკინი, უკრაინა-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე პოლიაკოვი, აღმოსავლეთის ვაჭართა სახელით ვაგაბოვი (სპარსეთი), ხაკიმოვი (ავღანისტანი), ხაკიმბაევი (დასავლეთ ჩინეთი) და ტალხაზ-სულუმი (ტანნუ-ტუვა), რომლებმაც მადლობა გამოუცხადეს რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატას იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევდა აღმოსავლეთის ვაჭრებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საქმეში.

ჩიჩერინის სიტყვა

რუს.-აღმოს. სავაჭრო პალატის კრებაზე

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი 12 ოქტომბერს სიტყვით გამოვიდა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წევრთა საერთო კრებაზე; მან განაცხადა:

„მე დიდად მოხარული ვარ კვლავ მივესალმო რუსეთ-აღმოსავლეთის პალატას, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთთან ჩვენი ურთიერთობის საქმეში, როგორც ეკონომიური, ისე მასთან მჭიდროთ დაკავშირებული პოლიტიკური ხაზით.

მართლაც, ჩვენი კავშირის წინაშე, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განახლების დროს, წამოიჭრა არაჩვეულებრივად რთული ამოცანები. დასავლეთის კაპიტალი, დასავლეთის ვაჭრობა, იმდენად ცენტრალიზაცია ქმნილი და რიგიანად მოწყობილია, რომ მათთან ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგება დიდ შრომას არ მოითხოვს.

იმ სახელმწიფოებთან, სადაც სამეურნეო სტრუქტურა გაცილებით ჩამორჩენილია და სადაც ბატონობს, ასე ვსთქვათ, კომერსანტი-ინდივიდუალისტი, გაცილებით უფრო ძნელია ნორმალური ურთიერთ დამოკიდებულების დამყარება. ეს მით უფრო გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ როგორც ჩვენი კავშირის, ისე აღმოსავლეთ ქვეყნების პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულება უნდა იყოს გაცილებით მჭიდრო და მეგობრული ხასიათის, ვიდრე ჩვენსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. აქედან ის უამრავი, უაღრესად რთული პრობლემები, რომლებიც წინად არას დროს არ ყოფილან წამოჭრილი არც ერთი ქვეყნის წინაშე, ხოლო რომელთა გადაჭრა გვიხდება ჩვენ და აღმოსავლეთის ქვეყნებს ჩვენს შორის ეკონომიური ურთიერთ დამოკიდებულების დამყარების დროს.

ამ უაღრესად რთულ მუშაობაში, რომელმაც ერთ წელიწადში ძალიან დიდი ნახტომი გააკეთა წინ, პირველხარისხოვან როლს თამაშობდა სავაჭრო პალატა თავისი გამოკვლევებით, სამეცნიერო შრომებით, მუდმივი შესწავლით არსებულ პრობლემებისა და იმით, რომ ამჟამად სავაჭრო პალატაში ერთი მეორეს ხვდებიან და ერთ მთლიან ორგანიზაციაში ირთდებიან ჩვენი კავშირის სამეურნეო ორგანიზაციების და აღმოსავლეთ ქვეყნების ვაჭრების წარმომადგენლები.

დღიდან-დღემდე, წლიდან-წლამდე ყალიბდება ჩვენსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების ახალი ფორმები.

ამ მხრივ სავაჭრო პალატას დიდი დამსახურება მიუძღვის. აქედან მიღებულ ნაყოფს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური განვითარების სვლასთან ჩვენსა და დასავლეთის გაბატონებულ სახელმწიფოებს შორის და ჩვენსა და აღმოსავლეთ სახელმწიფოებს შორის. ამ პოლიტიკურ დამოკიდებულებებს, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პერიოდის მსოფლიო ურთიერთ დამოკიდებულებების ეკონომიური ფორმები ჩვენსა და აღმოსავლეთ სახელმწიფოებს შორის; ამიტომ განვლილ გზას რომ გადავავლებ თვალს, ე. ი. იმას, თუ ამ მხრივ სავაჭრო პალატას რა მიღწევები აქვს, მე მინდა ვსთქვა, რომ უაღრესად ეს მიღწევები მეტად დიდია. ეს დამსახურება დაუვიწყარია და აღიბეჭდება ისტორიის ფურცლებზე, როგორც აღმოსავლეთთან ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულების ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტი; სწორედ ამიტომ მე განსაკუთრებული სიხარულით მივესალმები რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატას.

ნავთის მრეწველობა

„აზნეფტის“ საწარმოო პროგრამა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს განსახილველად გადაეცა აზნეფტის საწარმოო პროგრამა 1926-27 წლისათვის. პროგრამა ითვალისწინებს 5.241.800 ტონა ნავთის ამოღებას (წარსულ წელთან შედარებით 12 პროც.-ით მეტია), 181.700 ტონა გაზის დამზადებას (მომატებულია 19 პროც.-ით). ნავთისა და გაზის დამზადება საერთოდ 13 პროც.-ით აღემატება წარსულ წელს.

კაპიტალურ ხარჯების გეგმა ითვალისწინებს 86.600.000 მან. ხარჯებს. ამ თანხიდან საბინაო აღმშენებლობაზე მოდის 5.200.000 მან. ტრესტის ფინანსიური გეგმა ითვალისწინებს 16.900.000 წმინდა მოგების მიღებას.

„გროზნეფტის“ საწარმოო პროგრამა

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. სამრეწველო საგეგმო კომისიის სათბობმა სექციამ მიიღო გროზნეფტის საწარმოო-საფინანსო პროგრამა 1926-27 წლისათვის. პროგრამა ითვალისწინებს 2.476.700 ტონა ნეფტისა და გაზის დამზადებას. ხარჯები კაპიტალისტურ სამუშაოებისათვის დამტკიცებულია 60.200.000 მან. რაოდენობით. სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებულია ტუაფსე-გროზნოს ნავთსადენისა და ქარხნების აგება გროზნოსა და ტუაპსეში. საბინაო აღმშენებლობისათვის განზრახულია 2.670.000 მან. ხარჯები.

გეოლოგიური კომისია

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეადგინოს გეოლოგიური კომისია ნავთის ადგილების გამოსაკვლევად ყუბან-შავი ზღვის რაიონებში.

ამხ. კარახანი მოსკოვში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში ამხ. კარახანი, რომელმაც მოხსენება უნდა გაუკეთოს საბჭოთა კავშირის მთავრობას ჩინეთში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ა. - კავ. ცაკის მორიგი სესია

განჯა, 13 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის სამაზრო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკ. ცაკის მორიგი სესია მოწვეული იქნეს განჯაში.

ბანდიტების თავდასხმის მოგერიება

ბაქო, 13 ოქტომბერი. სალიანის მაზრაში სოფელ ხოლ-ყარაბუჯანის თავს დაესხენ ლენქორანელი და სპარსელი ბანდიტები, რიცხვით 8 კაცი. სამი საათის სროლის შემდეგ სალიანის მილიციის მიერ ყველა ბანდიტები მოკლულ იქნენ. ნაძარცვი ქონება დაუბრუნდათ გლეხებს.

სამკურნალო განჯაში

ბაქო, 13 ოქტომბერი. სამკურნალო-სანიტარულ მშენებლობის გეგმის თანახმად განჯაში მოეწყობა ელექტრონით, წყალით და სინათლით, რომელსაც ექნება რენტგენის კაბინეტიც. სამკურნალომ უნდა დააკმაყოფილოს მთელი დასავლეთ აზერბეიჯანის მოთხოვნილებანი. მისი ღირებულება შეფასებულია 240.000 მანეთად.

განჯა, 13 ოქტომბერი. რუსეთ-ამერიკის ფირმა „ალიუმინ კომპანიასთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად ჩამოვიდა ალუმინის მადნების გამოსაკვლევად განჯის მაზრაში ორი ამერიკელი ინჟენერი, რომლებიც მოვლინებული არიან აღნიშნული ფირმის მიერ.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ—პარტიის მთლიანობისათვის

მეორე რაიონში

„მტკივანი კბილი დროზე უნდა ამოვაძროთ“

(უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში)

გუშინდელ კრებაზე ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში გამოცხადდა მეორე რაიონის ყველა მნიშვნელოვანი მუშური და მათთან ერთად რამდენიმე დაწესებულების უჯრედები. დარბაზში ტევა აღარსად არის. დაკავებულია გასასვლელი ადგილებიც კი. ტრიბუნაზე სდგას ამხ. მიხა კახიანი.

სხარტი და ჩამოკვეთილი მოხსენება საბჭოთა კავშირის სამეურნეო და საერთაშორისო ვითარების შესახებ. შინაპარტიული მდგომარეობის გაშუქება და შიგა და შიგ მოხდენილი ენამახვილობა უბადრუკი ოპოზიციის გამთიშველ „საქმიანობის“ შესახებ.

კრება გულდასმით ისმენს მოხსენებას და დროგამოშვებით მომხსენებლის მოსწრებულ ოხუნჯობას სიცილით უპასუხებს.

დიდ ხანს არ გაგრძელებულა მოხსენება. ის მოკლე და ამომწურავი იყო და ეს იმიტომ, რომ იმ ვეებერთელა დარბაზში არსაიდან ჩამი-ჩუმიც არ მოისმოდა. ოპოზიციურ წამოძახილებს ისე, როგორც ეს უჯრედების კრებებზე ხდებოდა, ადგილი არ ჰქონია. ოპოზიცია არ სჩანს მოხსენების დროს. ბევრი ფიქრობს, რომ „ის“ ალბათ კამათის დროს გამოჩნდება.

კამათიც გაიხსნა. ჯერ კიდევ ადრეა. კრება ოდნავადაც არ ეტყობა დაღლილობა. დარბაზიდან ერთი მეორეზე გამოდიან ორატორები. თითქმის ყველა მათგანი დაზგის მუშებია. ბევრი პირველად გამოდის ასეთ მრავალრიცხოვან კრების წინაშე. ღელავს, იმშვიდებს, რაღაც უხერხულობას გრძნობს, ვერ ლაპარაკობს მწყობრათ და სიტყვების ერთი მეორეზე გადაბმით, მაგრამ კრებას ყველაზე უკეთ ესმის მისი აზრი, ათასეულ აუდიტორიას გულზე ხვდება მუშა ორატორების წინადადებები და ერთსულოვანი ტაშის გრიალით უპასუხებენ მათ სიტყვებს.

„ჩვენი ცეკა საყვედურის ღირსია, ის მეტად ლმობიერათ ეკიდება პარტიის მთლიანობის მტრებს“, „შინაური მტერი გარეშე მტერზე უარესია“, „გაერთიანებული ოპოზიცია მტკივანი კბილია, რომელიც უყოყმანოდ და დროზე უნდა იქნას ამოგლეჯილი მუშური მარწუხით“

აი რამდენიმე იმ წინადადებათაგანი, რომელნიც გაისმოდა ტრიბუნიდან მუშა ორატორების მიერ და რომელნიც ერთსულოვან დასტურს პოულობდენ დამსწრეთა შორის.

მაგრამ ესენი ხომ პარტიის ხაზს იცავდენ? სადღაა ოპოზიციის წარმომადგენელნი? ნუ თუ ათას კაცში ერთიც არსად გამოჩნდება. წარმოიდგინეთ, რომ არა. თუ აქამდე სამარცხვინოთ ლაყბობდა ოპოზიცია, დღეს სამარცხვინოთ სდუმდა ის. თვით შეკრებილ უჯრედებში მათ თანამგრძნობი არავინ ჰყავდა, „გასტროლიორებმა“ კი, როგორც ამხ. მ. კახიანმა მოსწრებულათ შენიშნა, ალბათ შეიტყვეს, რომ მათთვის არასასურველ სიომ დაუბერა და „ცუდი ამინდის გამო სპექტაკლი“ გადასდევს, ან უკეთ სრულიად მოხსნეს.

ამით კრებამ ბევრი მოიგო. გუშინდელმა მასიურ პარტიულ კრებამ ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საქმიანი და დამშვიდებული მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ოპოზიციურ კინკლაობას და [illegible] არა აქვს ადგილი. გულდასმით, ყოველგვარ აღელვების და წაქეზების გარეშე ათასეულმა აუდიტორიამ, როგორც ერთმა კაცმა, ასწია ხელი ქვემოთ-მოყვანილ რეზოლიუციის სასარგებლოდ, რომელიც სავსებით იწონებს ბოლშევიკურ ცეკას ხაზს, სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციის თავხედურ გამოსვლებს და მოითხოვს პარტიის მთლიანობის დამრღვევთა დაუზოგავ და ულმობელ დასჯას.

ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში შემდგარ კრებამ დაამტკიცა, რომ მოხეტიალე ოპოზიციამ ენა დაისუსხა უიხტიბრო და უგვნურ გამოსვლებში ლენინურ ცეკას წინააღმდეგ.

ეს კი იმის მაუწყებელია, რომ მეორე რაიონის უჯრედებში ოპოზიციის „პესნა“ გათავებულია.

მ. კ—ძე.

რეზოლიუცია

(მიღებულია ერთხმად)

ტრამვაის, არსენალის, წყალსადენის სახელოსნოების, თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“-ს, საკარტონე ფაბრიკის, ხე-ტყის ქარხნების, ცეკავშირის, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ელექტრო-სამმართველოს, დამზღვევ სალაროს, პურის მცხობთა, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს, ჯანსახკომის, კინო-ფაბრიკის და კინო-მუშაკთა უჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. სხდომა სავსებით სწორად სთვლის ცეკას მიერ აღებულ ხაზს, რომელიც სავსებით ეთანხმება საკ. კომ. პარტ. (ბ) მე-14 ყრილობის დადგენილებებს. კრება ფიქრობს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში ცეკას მიერ აღებული ხაზი არის ერთად-ერთი სწორი ხაზი, რომელიც ემყარება პროლეტარიატის დიქტატურისა და მუშების გლეხობასთან შეკავშირების დაცვასა და განმტკიცებას.

სოციალისტური მრეწველობის გაძლიერება და შემდეგი მისი განვითარება, აქედან პროლეტარიატის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდა, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასის კეთილდღეობის თანდათანი, მაგრამ მტკიცე გაუმჯობესება, კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერება და გაფართოვება, სამრეწველო პროდუქციის გაიაფება და სახელმწიფო და საგადასახადო აპარატის გაუმჯობესება, რომლებსაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება ლენინის პარტიისა და მის ცეკას ხელმძღვანელობით,—წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების საწინდარს. ოპოზიციის ხაზი ჩვენი მეურნეობის მიმართ და მის მიერ წამოყენებული ღონისძიებები, როგორიცაა—სამრეწველო საქონელზე ფასების აწევა, გლეხობაზე გადასახადების გადიდება,—არსებითად არ არის სწორი და ემყარება ტროცკისტულ თეორიას, რომელიც გამომდინარეობს ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალაში რწმენის დაკარგვიდან და ამასთანავე ერთად, მიმართულია გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტისაკენ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ღერძ-ხომს წარმოადგენს. პარტია, თავის ცეკას ხელმძღვანელობით, ერთგული რა ლენინიზმის ჭეშმარიტებისა ბოლშევიკურ რიგებში მთლიანობის შენარჩუნების და დაცვის შესახებ, მიუხედავად ყოველნაირ წუწუნის და იმედის დაკარგვისა, შესძლებს და უნდა შესძლოს კიდეც მე-14 პარტყრილობის დირექტივების ცხოვრებაში გატარება.

აი სწორედ დღეს, როცა პარტიულთა ნაწილს დაეტყო არაფრით გაუმართლებელი მერყეობა და ქანაობა, საჭიროა პარტიის მიერ მთელი ძალ-ღონისა და ნებისყოფის დაძაბვა მის გზაზე აღმართულ მძიმე მუშაობისა და სიძნელეთა დასაძლევად.

კრება აღშფოთებულია ოპოზიციონური ჯგუფების ფრაქციული მუშაობით, ტროცკის, ზინოვიევის და სხ. ხელმძღვანელობით, რომლებიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, ცდილობენ პარტიის საქმიანი მუშაობის ჩაშლას.

კრება ჰკიცხავს ოპოზიციონური ჯგუფების ცდას შეაფერხონ მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება და პარტ კრებებზე თავისი უპასუხისმგებლო გამოსვლებით მოახვიონ პარტიას თავზე დისკუსია.

მთლიანად და სავსებით უერთდება რა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებას თბილისის ორგანიზაციაში ადგილობრივ ოპოზიციონერთა ფრაქციული მუშაობის შესახებ, მიშა ოკუჯავას, კოტე ცინცაძის, ლადო დუმბაძის, ბენო კალანდაძის და სხ. მეთაურობით. კრება კატეგორიულად მოითხოვს ალვირახსნილ ფრაქციონერთა უპასუხისმგებლო გამოსვლებისათვის ბოლოს მოღებას პარტკრებებზე.

კრება ფიქრობს, რომ პარტიაში ადგილი არ უნდა იქნეს დეზორგანიზატორებსა და გამთიშველებს, რისთვისაც მოითხოვს მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომების მიღებას, პარტიიდან გამორიცხვამდეც-კი.

ძირს ფრაქციონერები!

ძირს პროლეტარიატის ძლიერებაში რწმენის დაკარგვა!

გაუმარჯოს ლენინური პარტიის მთლიანობას და მის ხელმძღვანელს—საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

მესამე რაიონში

ერთხმად ოპოზიციის წინააღმდეგ

გუშინ, დღის 4 საათზე ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა მე-7-დე უბნის ლიანდაგის, სადგ. ნავთლუღის, ქალაქის სახაკლაოს, სადგ. გარდაბანის, მებაღეთა, სოფ. გარდაბანის და ნავთლუღის მტვირთავ მუშების კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც 200-დე პარტიის წევრი და კანდიდატი დაესწრო.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ გამოვიდა ამხანაგი ლ. ღოღობერიძე. ორატორმა მოხსენებაში, რომელიც 2 1/2 საათს გაგრძელდა დაწვრილებით გააშუქა ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკა და აღნიშნა სიძნელენი, რომელნიც ჩვენს წინაშეა ამ დარგში წამოჭრილი.

გადავიდა რა ოპოზიციის დახასიათებაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი გაერთიანებული ოპოზიცია სასტიკ შეტევას აწარმოებს ლენინური ცეკას ხაზის წინააღმდეგ და ამრიგად ხელს უშლის პარტიას მის წინაშე მდგომ ამოცანების გადაჭრაში.

გაერთიანებული ოპოზიცია არ ეთანხმება პარტიის უმაღლეს ორგანოების—ყრილობისა და პლენუმის დადგენილებებს. კიდევ მეტი, ის ფრაქციულ არალეგალურ მუშაობას ეწევა და ამ რიგად ძირს უთხრის ლენინურ პარტიის მთლიანობას და პროლეტარიატის დიქტატურას.

ოპოზიცია ადგილობრივაც გამოიჩეკა და დადის რა კრებიდან კრებაზე სასტიკად ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები ოპოზიციონერთა გამოსვლებისა თბილისის ორგანიზაციის სხვადასხვა უჯრედებში და აღნიშნა, რომ პარტიული მასა არ მიჰყვება მათ და ერთსულოვან წინააღმდეგობას უწევს თითო-ოროლა დემაგოგის ცდას დაარღვიოს პარტიის მთლიანობა.

მომხსენებელმა მოუწოდა კრებაზე დამსწრეთ მტკიცედ შემოკრბენ პარტიის ლენინური ცეკას გარშემო და დაჰგმონ ოპოზიციონერთა და ფრაქციონერთა ზრახვები, რომელიც პარტიის ფოლადისებურ სიმტკიცეს ემუქრება.

მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა რამდენიმე მუშა (ამხ. ალიხანოვი, ბოკერია და სხვა) რომლებმაც განაცხადეს, რომ მუშები არავის მისცემენ უფლებას დაარღვიონ პარტიის მთლიანობა.

პარტიის წევრ მუშებმა საყვედური გამოსთქვეს იმის გამო, რომ ხელმძღვანელი ორგანოები რბილად ეკიდებიან ოპოზიციის მეთაურებს და მათ უპასუხისმგებლო გამოსვლებს.

მათ მოითხოვეს, რომ პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ, თუ ისინი დაუყოვნებლივ არ შესწყვეტენ ფრაქციულ მუშაობას, სასტიკი ზომები იქნეს მიღებული, მათ პარტიის გამორიცხვამდეც კი.

— ჩვენ მოვითხოვთ საკონტროლო კომისიიდან, რომ იმათ, ვინც ემუქრება ჩვენი პარტიის მთლიანობას, წესიერებისაკენ მოუწოდოს. ჩვენ არ გვცალია დისკუსიისათვის. თითო ოროლა მცვირალა სკანდალისტების სურვილის გამო, ჩვენ ვერ შევაჩერებთ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობას და გაუთავებელ კამათს ვერ ვაწარმოებთ ყრილობის მიერ ერთხელ გადაჭრილ საკითხების გარშემო.

— ვისაც სურს პარტიაში დარჩენა, ის უნდა დაემორჩილოს პარტყრილობების დადგენილებებს.

ზიზღი იმათ, ვინც მძიმე მომენტში მტრის გულს ახარებს და პარტიას ძირს უთხრის.

ძირს ოპოზიცია!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი **რეზოლიუცია**:

მოისმინეთ რა ამხ. ღოღობერიძის მოხსენება პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ მე-7-დე უბნის ლიანდაგის, სადგ. ნავთლუღის, ქალაქის სახაკლაოს, სადგ. გარდაბანის, მებაღეთა, სოფელ გარდაბანის და ნავთლუღის მტვირთავ მუშების კომუჯრედების გაერთიანებული კრება ერთსულოვნად და მთლიანად უერთდება ივლისის პლენუმის დადგენილებას და აღნიშნავს, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას ხაზი, რომელიც გამომდინარეობს მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებიდან, სრულიად სწორია და მიზანშეწონილი.

კრება განსაკუთრებულ ყურადღებით აღნიშნავს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერება, საქონლის გაიაფება, სახელმწიფო აპარატის ხარჯების შემცირება და მისი გაუმჯობესება, მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა ჩვენს საკრედიტო პოლიტიკაში და სხვა, არის პარტიის ერთად ერთი სწორი პოლიტიკა, და ქმნის ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის ფუძეს. ამასთან ერთად, მუშათა და გლეხთა ცხოვრების მატერიალური გაუმჯობესებისაკენ მიმართული ეს ზომები, აღრმავებენ და ამტკიცებენ, პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, პროლეტარიატის კავშირს გლეხობასთან, რაც საწინდარია სოციალისტური აღმშენებლობის, სოციალიზმის გამარჯვების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყველა სიძნელენი, რომელიც წინ გვეღობებიან შემოქმედებითი მუშაობის დროს, დაძლეულ იქნება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობით.

ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი თეორია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის კაპიტალების დაგროვების შესახებ საბითუმო ფასების გადიდებით და გლეხობაზე საგადასახადო ტვირთის გაძლიერებით, ფაქტიურად არის ლენინიზმიდან უკან დახევა ტროცკიზმისაკენ, უკან დახევა, რომელიც მუშათა კლასს უქადის გლეხობისაგან ჩამოშორებას, მუშათა და გლეხთა კავშირის გაწყვეტას და აქედან მთელი ჩვენი ქვეყნის მეურნეობის დანგრევას.

ამიტომ კრება გადაჭრით უარყოფს პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის დამღუპველ ოპოზიციის პლატფორმას.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ დღეს, როდესაც პარტიისათვის საჭიროა მთელი თავის ყურადღება მიმართოს პურის დამზადების, ექსპორტისა, მრეწველობის ზრდის, საცალო ფასების დაკლების, საგლეხო და სხვა მეურნეობის გაძლიერებისაკენ, ოპოზიციის დემაგოგიური გამოსვლა არ შეიძლება სხვანაირად ჩაითვალოს, თუ არა უკვე კალაპოტში ჩამდგარ სოციალისტურ აღმშენებლობის დეზორგანიზაციის და ხელის შეშლის ცდათ.

კრება მოუწოდებს ყველა პარტიის წევრებს წინააღმდეგობა გაუწიონ წრეს გადასულ და გაკოტრებულ ოპოზიციონერთა მცირე ჯგუფს რომელიც პარტიის ნება-სურვილის, მე-14-ტე ყრილობის, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის დადგენილების მიუხედავად, ცდილობს ჩაითრიოს პარტია ახალ დისკუსიაში, და მით ხელი შეუშალოს პარტიას თავის ყოველდღიურ და ნაყოფიერ აღმშენებლობითი მუშაობაში.

კრება სავსებით უერთდება თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 9 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციას, თბილისის ოპოზიციონერების ფრაქციულ გამოსვლების შესახებ და გადაჭრით მოითხოვს წესრიგისაკენ მოუწოდონ ადგილობრივ ოპოზიციის ბელადებს, რომელნიც საგასტროლოდ დადიან პარტიულ უჯრედების კრებებზე და თავიანთ დემაგოგიურ გამოსვლებით ეწევიან გამთიშველ დეზორგანიზაციულ მუშაობას და არევ-დარევა შეაქვთ პარტიის რიგებში. კრება მოითხოვს უკიდურეს ზომების მიღებას ფრაქციონერების, დეზორგანიზატორების, დისციპლინის დამრღვევების წინააღმდეგ და მათ გარიცხვას პარტიიდან, თუ ისინი დაუყოვნებლივ არ შესწყვეტენ თავიანთ ფრაქციულ მუშაობას.

ძირს დეზორგანიზატორები!

ძირს დემაგოგები!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ფოლადისებურ ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ცეკას!

მეოთხე რაიონში

ძირს გზა აბნეული პოლიტიკანები

მოისმინა რა ამხ. ლუკაშინის მოხსენება პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ამ.-კავკასიის ფინსახკომის, მეტყევეთა, საამშენებლო დარგის მუშების, აგურის ქარხნების, შინამომუშავეთა, „ხლებოპროდუქტის“, სახელმწიფო ოპერის, რუსთაველის თეატრის, ამ.-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, ამ.-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების, ამ.-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის, სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის და კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველობის კომუჯრედების გაერთიანებული კრება სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს და სთვლის მათ აბსოლიუტურად სწორად.

ადასტურებს რა პროლეტარულ სახელმწიფოს უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევებს ლენინის პარტიისა და მისი ცეკას ხელმძღვანელობით, კრება მოუწოდებს პარტიის წევრებს კიდევ უფრო შემჭიდროვდენ ცეკას გარშემო და გაათკეცებული ენერგიით მოეკიდონ ხელს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისა და პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგი განმტკიცების საქმეს.

კრება აცხადებს, რომ ტროცკიზმი იდეურ პლატფორმაზე გაერთიანებულ სხვადასხვა ჯურის ერთი მუჭა ოპოზიციონერების ცდა, გამოიწვიოს პარტ. ნება-სურვილების წინააღმდეგ დისკუსია და დეზორგანიზატორული მოქმედებით შეაფერხოს სოციალისტური მშენებლობა და დაბოლოს პარტიის რკინისებური მთლიანობა—არის ობიექტიურად მენშევიკური საქმე და ამიტომ არ შეიძლება მან არ გამოიწვიოს პარტიის ყველა წევრების სასტიკი წინააღმდეგობა.

პარტია არ დაუშვებს დისკუსიას ოპოზიციონური ბლოკის გაკოტრებულ ბელადებთან, რომელთაც არც ერთი პარტიული ორგანიზაცია არ უჭერს მხარს გარდა თითო-ოროლა, ლენინის გზიდან გადამცდარ, პირისა.

პარტიას სურს საქმე და არა ლაყბობა გუშინდელ „უკლონისტების“ და ტროცკისტების ნამსხვრევებთან,—საბოლოოდ გზააბნეულ პოლიტიკანებთან.

კრება სავსებით იწონებს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის 9 ოქტომბრის დადგენილებას თბილისის ოპოზიციონერთა ბელადების მოქმედების შესახებ და მოითხოვს მათ წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების მიღებას თვით პარტიიდან გარიცხვამდეც კი.

ვინც არა ლენინის გზით წავიდა, ვინც არ მიდის პარტიასთან ერთად და ცდილობს მის მთლიანობის დარღვევას,—მას არა აქვს ადგილი ჩვენი პარტიის რიგებში.

პარტიის მთლიანობისათვის!

აბსოლიუტურად ერთად-ერთ ბოლშევიკურ პარტიისათვის და მისი ლენინურ ცეკასათვის!

ხმა ადგილებიდან

ძირს ფრაქციები

ველისციხის და ახაშენის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, მოისმინა რა ამხ. თარხანოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის მუშაობის შესახებ, მთლიანათ უერთდება მის მიერ აღებულ ხაზს ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებში. კრება იწონებს აგრეთვე დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ოპოზიციის წინააღმდეგ. სავსებით ვუერთდებით პლენუმის დადგენილებებს ცეკას იმ წევრების შესახებ, რომლებიც ცდილობენ ლენინურ ცეკას მუშაობაში დისონანსის შეტანას და ლენინიზმის რევიზიის გაწევას. მოუწოდებთ მათ შესწყვიტონ ყოველგვარი ფრაქციული მუშაობა პარტიის შიგნით და იმუშაონ პარტიის დადგენილებათა ნიადაგზე. საჭიროა პარტიის დისციპლინის ფოლადისებურ სიმტკიცის უზრუნველყოფა და ყოველგვარი ჯგუფურ მუშაობის მოსპობა.

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

ძირს ფრაქციები!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიის მთლიანობას!

ვგმობთ ოპოზიციის გამოსვლას

მოისმინა რა მოხსენება ამხ. ქ. მარტაშვილისა ანაგის, ვაქირის და კარდენახის გაერთიანებული კომუჯრედების წევრთა კრება, კომკავშირის აქტივის თანდასწრებით აღნიშნავს:

პარტიის ცეკას ხაზი ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში სავსებით სწორია და ლენინური.

ოპოზიციის გამოსვლა გამთიშავია, ძირს უთხრის ჩვენი პარტიის მთლიანობას და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. ენერგიულად უჭერთ რა მხარს ლენინურ ცეკას ვგმობთ ზინოვიევის, ლაშევიჩის, კამენევის და სხვა ოპოზიციონერების გამოსვლას.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გავატარებთ მე-14 პარტყრილობის დადგენილებებს

მოვისმინეთ რა ამხ. ი. გოგოლაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენ. საკ. კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ და დახასიათება ოპოზიციაში მდგომ ამხანაგების მოქმედებისა კაკაბეთის, უანდაურის, ჩაილურის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, კომკავშირის აქტივის თანდასწრებით, მთლიანად უერთდება ივლისის პლენუმის დადგენილებებს. კრება მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს სისწორით გაატარონ ცხოვრებაში მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ზრდა-განვითარებას.

ვკიცხავთ ოპოზიციას, რომელიც თავის გამოსვლებით არღვევს პარტდისციპლინას და აბუჩად იგდებს პარტიის ორგანოთა დადგენილებებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ოპოზიცია ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ ილაშქრებს

26 აგვისტოს შესდგა გაჭედილის თემის კ. პ. და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის წევრთა გაერთიანებული კრება. რომელმაც მოისმინა მოხსენება საკავშ. კ. პ. და ც. ს. კ: უკანასკნელი გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება საკ. კ. პ. და ცენტრ. ს. კ. უკანასკნელ გაერთიანებული პლენუმის შედეგებზე, გაჭედილის თემის კ. პ. და ა. ლ. კ. კ: გაერთიანებული კრება მთლიანად და სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს. ყველა საკითხებზე და აღნიშნავს:

1. ახალი ოპოზიცია მთლიანად ჩამოშორდა ლენინიზმს და გაიზიარა პარტიის მიერ ერთხელ დაგმობილი ტროცკიზმის პლატფორმა.
2. ზინოვიევი, კამენევი და სხვები, რომლებიც იბრძოდენ ტროცკიზმის წინააღმდეგ და რომლებიც აცხადებდენ ტროცკიზმს, როგორც ლენინიზმის მოწინააღმდეგე პლატფორმას, პლენუმზე გამოვიდენ გაერთიანებული ფრონტით ლენინური ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ და მოითხოვეს პარტიის გენერალური ხაზის შეცვლა, რაც ოქტომბრის რევოლიუციის ლიკვიდაციას ნიშნავს.
3. კრება გაოცებას გამოსთქვამს ზინოვიევის და ლაშევიჩის მიერ არალეგალურ კრების მოწყობის გამო, სთვლის ამ ნაბიჯს, როგორც ფრაქციული ბრძოლის დასაწყისს.
4. კრება მოითხოვს ასეთ ნაბიჯების წინააღმდეგ შეუწყვეტელ ბრძოლას.

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

ოპოზიციის დამარცხება

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. მოსკოვის ბაუმანის რაიონის პარტიულ ორგანიზაციამ დაამთავრა, მოსკოვის პარტიულ კომიტეტის უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის კამპანია. პარტიულმა მასსამ დიდი აქტივობა გამოიჩინა: რეზოლიუციათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 90 ორგანიზაციამ. ოპოზიციის სასარგებლოდ გამოვიდა 31 კაცი, მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია 11.700 კაცმა. მოსკოვის კომიტეტის და ცეკას წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 48 კაცმა, თავი შეიკავა 30 კაცმა. ოპოზიციის მომხრეები უმთავრესად საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში აღმოჩნდა.

მუშურ უჯრედებში კი მოსკოვის კომიტეტის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 3 კაცმა.

პარტორგანიზაციები მთლიანობის სადარაჯოზე

მოსკოვი, 13 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის საკავშირო კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების რეზოლიუციები, რომელნიც ჰკიცხავენ ოპოზიციის მუშაობას და იცავენ პარტიის რიგების მთლიანობას. ასეთი რეზოლიუციები გამოიტანეს: ბელოვო - ბიბიეიბათის ორგანიზაციის გაფართოებული რაიონული აქტივის კრებამ, რომელსაც 300 კაცი დაესწრო, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა, ახალგაზრდათა საკავშირო ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გაფართოებულმა პრეზიდიუმმა, „ზაპოროჟიის“ პარტაქტივის კრებამ, დნეპროპეტროვსკის გარნიზონის ყველა ნაწილების პარტაქტივის კრებამ, უკრაინის მთელ რიგ ორგანიზაციებმა—რომნის, ქალაქის ორგანიზაციამ და ლუგნის საოლქო პარტკომის პლენუმმა, პრილუკის ქალაქის აქტივმა და საოლქო პარტკომის ბიურომ, ტულჩინის საოლქო პარტკომის ბიურომ, მელიტოპოლის საერთო საქალაქო კრებამ, მარიუპოლის პარტორგანიზაციების აქტივმა და სხვ.

ოპოზიციის წინააღმდეგ

კიევი, 13 ოქტომბერი. კიევის გარნიზონის პარტაქტივის კრებამ, რომელსაც დაესწრო 1.215 კაცი, სავსებით უერთდება კიევის პარტკომის რეზოლიუციას ოპოზიციის გამოსვლისა და დისკუსიის შესახებ. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

პოლტორაცკი, 13 ოქტომბერი. ოპოზიციის გამოსვლების გამო პოლტორაცკის მთელ რიგ უჯრედებში მოეწყო პარტიული კრებები, რომელნიც სავსებით შეუერთდენ მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების დადგენილებებს.

კომკავშირი ოპოზიციას არ აჰყვება

ტაშკენტი, 12 ოქტ. ქალაქ ტაშკენტის კომკავშირის აქტივის კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია ოპოზიციის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან.

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის რეზოლიუციები, რომელნიც გაკიცხვას უცხადებენ ოპოზიციას. სტალინგრადში 12 ოქტომბერს შესდგა ქალაქის პარტორგანიზაციის აქტივის კრება. კრებამ განიხილა რა მოხსენება ოპოზიციის მოსკოვსა და ლენინგრადში გამოსვლების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას ოპოზიციის გამთიშავი მოქმედების წინააღმდეგ. ასეთივე დეპეშებია მიღებული ნოვგოროდიდან, ურალსკიდან, პენზიდან, ვიატკიდან, უფიდან და სხ. ადგილებიდან.

არ გვსურს დისკუსია

ხარკოვი, 12 ოქტ. ხარკოვის კომკავშირის აქტივის კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1.000 კაცი, ყველა ხმების დიდი უმრავლესობით წინააღმდეგ 17 ხმისა, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „აქტივი გადაჭრით აცხადებს პროტესტს ოპოზიციის მოქმედების წინააღმდეგ და კერძოდ დისკუსიის დაწყების ცდების წინააღმდეგ. კომკავშირის ორგანიზაცია სასტიკ პასუხს გასცემს ყველა იმას, ვინც პარტიაში და კომკავშირის რიგებში ცდილობს ფრაქციული მუშაობის წარმოებას“.

როგორ მიმდინარეობს ბიუროების არჩევნები

პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიის კომუჯრედში

ჩვენს უჯრედში ამ რამოდენიმე დღის წინ ჩატარდა ბიუროს ხელახალი არჩევნები. ბიუროს მუშაობის შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა უჯრედის მდივანი ამხ. საყვარელიძე.

უჯრედი ამჟამად 76 წევრსა და კანდიდატს აერთიანებს, საერთოდ ბიუროს მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა.

სწარმოებდა მუშაობა უჯრედის წევრთა პოლიტგანვითარების დონის ასაწევად, კარგად იყო დაყენებული ქალთა შორის მუშაობა, მჭიდრო კავშირი არსებობდა კომკავშირის უჯრედთან და სხვა.

ამჟამად უჯრედის წევრები და კანდიდატები მიმაგრებული არიან პოლიტწრეებზე და სკოლებზე. სწარმოებს [illegible] დელეგატ-ქალთა არჩევნებისათვის, რომელიც თბილისის ორგანიზაციაში ამ დღეებში უნდა დაიწყოს და სხ.

მოხსენების მოსმენასა და არჩევნებს კრებამ ორი სხდომა მოანდომა.

ახალ ბიუროს წევრთა არჩევნების დროს სავსებით იქნა გატარებული შინა-პარტიული დემოკრატია. ბიუროს შემადგენლობა ნაწილობრივ განახლებულია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გაწვევა

ქუთაისი, 13 ოქტომბერი. 1904 წელში დაბადებულთა გაწვევა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. გასაწვევ პუნქტ. გამოცხადება 90 პროც-ს აღემატება. გაწვეულთა სულიერი განწყობილება კარგია და დეზერტირობა არ არის შემჩნეული.

მზადება საკავშირო აღწერისათვის

ქუთაისი, 13 ოქტომბერი. ქუთაისის სტატისტიკური ბიურო ემზადება საკავშირო აღწერისათვის. მზადდება გეგმები ქალაქების: ქუთაისის, სამტრედიის და ხონის. სწარმოებს მაზრის რუქის გადაღება. დგება რეგისტრატორების და კონტროლიორების შტატი; კონტროლიორების რიცხვი გათვალისწინებული იქნება 56-დე და რეგისტრატორების—560-დე მაზრაში აღწერა დაიწყება 17 ოქტომბერიდან და ქალაქში 7 ოქტომბრიდან.

მოსავლის მოწევა

ოზურგეთი, 13 ოქტომბერი. წვიმიანი დღეების შემდეგ დადგა ნათელი და მზიანი ამინდი. მთელს გურიაში გლეხები შეუდგნენ სიმინდის, ბაღის კულტურების და ბოსტნების მოსავლის აკრეფას.

აღწერის წინ

ახალსენაკი, 13 ოქტომბერი. სამაზრო სტატისტიკური ბიურო შეუდგა პერსონალის შეგროვებას მაზრაში დემოგრაფიული აღწერის მოსახდენათ. საჭიროა 185 რეგისტრატორი მაზრისათვის, 16 ქალაქისათვის და 20 კონტროლიორი.

ლაგოდეხის გზაზე

სიღნაღი, 13 ოქტომბერი. ლაგოდეხის გზის მოსაკირწყლავათ მასალების დასამზადებლათ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს გლეხები სიხარულით გადიან სამუშაოზე.

აფხაზეთი

კაკლის დასამზადებლათ

სოხუმი, 13 ოქტომბერი. აფხაზეთის სასოფლო ბანკმა კაკლის დასამზადებლად კოოპერატივებს დაურიგა თანხები: ჯანდის კოოპერატივს — 6,000 მან., ავიგვარის—3,500 მან., და ატახვსკის—13,000 მანეთი.

სკოლის ასაშენებლათ და მალარიასთან საბრძოლველათ

სოხუმი, 13 ოქტომბერი. აფხაზეთის „თამბაქოს კავშირი“ დრანდის რაიონულ თამბაქოს კოოპერატივს აძლევს 1000 მანეთს სკოლის ასაშენებლათ სოფ. შაუმიანოვკაში და 1000 მან. მალარიასთან საბრძოლველად.

სოხუმის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში

სოხუმი, 13 ოქტომბერი. სოხუმის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში ადმინისტრატიულ-ეკონომიურ განყოფილების მაგიერათ, დაარსებულ იქნა ქიმიური განყოფილება.

სამხრეთ-ოსეთი

მერძევეთა არტელი

ცხინვალი, 13 ოქტომბერი. სოფ. წონის მერძევეთა არტელის მიღწევებმა გამოიწვია დიდი ინტერესი მესაქონლეობის რაიონში: დაარსებულია მერძევეთა ორი ახალი არტელი სოფ. ერწოში და ღიბგვნში. ზამთრის განმავლობაში მოსამზადებელი მუშაობა დასრულებული იქნება და გაზაფხულზე არტელი შეუდგება ყველის დამზადებას. სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა მისცა ახალ არტელებს თანხა საჭირო მოწყობილობის შესაძენად. სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა მისცა გლეხებს: ჯიოევს, თიდევს, ჯუსოევს ჯილდო ოსეთის ძროხის ჯიშის გაუმჯობესებისათვის.

წერილები

ბნელეთის მოციქულებს თავს გაუდით

ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებს პარტიისა და ხელისუფლებისაგან გარკვეული დირექტივა აქვთ მიცემული, რომ ეკლესია-ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა უმთავრესად სწარმოებდეს შთაგონების და აგიტაცია-პროპაგანდის გზით. ადმინისტრატიულ ჩარევას ეკლესიის შინაურ საქმეში ადგილი არ უნდა დაურჩეს.

ეს თავისთავად სწორი და მიზანშეწონილი დირექტივა აქა-იქ ისე გაიგეს, რომ ეკლესიის მსახურთა ცრუმორწმუნეობის წინაშე საჭიროა ფარხმალის დაყრა და მორწმუნეთა გამოფხიზლების საქმის ბუნებრივ მიმდინარეობისათვის მინდობა. ამან ისე გაათამამა ზოგიერთ ადგილზე სოფლის ბნელი ელემენტები, რომ ისინი აღარ სჯერდებიან არსებულ წესით ეკლესიისადმი მინიჭებულ უფლებით და პირიქით შეტევაზედაც გადმოდიან.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ამგვარ „მოღვაწეობას“ ეწევიან ძველი ქვეყნის მოციქულები, რომლებიც საკმაოთ არიან გაფანტული ჩვენ გლეხკაცობაში. ესენია: ვაჭრები, [illegible] ყოფილი თავად-აზნაურები, ბერ-მონაზვნები და სხვა ასეთი თექის ხალხი.

ისინი დადიან სოფლებში, ადგენენ სიებს, ჰკრეფენ შეწირულებებს, ემუქრებიან „ურჩებს და ურწმუნოებს“ ეკლესიის რისხვით, მრევლის ბოიკოტით და სხვა. ზოგჯერ ეს ბნელეთის კამპანია ცდილობს ჩაშალოს თემის ან სოფლის ერთსულოვანი დადგენილება საეკლესიო დღესასწაულის გაუქმების შესახებ.

ამას წინად „კომუნისტში“ დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო კორესპონდენცია სოფ. ცაიშიდან (ზუგდ. მ.), სადაც გლეხკორი იტყობინებოდა, რომ ვაჭარ-აზნაურების კომისიამ დაუარა სოფელს, შეჰკრიფა შეწირულებები „ღვთისმშობლო“ მარულას გასამართავად, შეადგინა „ღვთისმშობლე“ გლეხების სიები და თან მუქარასაც მიმართა იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ისურვა ძალათ მაცხონე სიაში ჩაწერილიყო. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა სათემო ყრილობას დადგენილი ჰქონდა აღარ ეუქმა გლეხის დამღუპველი და გამანადგურებელ „ღვთისმშობლობა“.

ალმასკომი მისჩერებოდა ვაჭარ-აზნაურების კომისიის თავხედურ გამოსვლას და თითსაც არ ანძრევდა მათ ასალაგმავათ. ამგვარ და ამის მზგავს მოვლენებს სხვაგანაც აქვს ადგილი. საჭიროა ჩვენმა ადგილობრივ ორგანოებმა ზღვარი დაუდონ სოფლის ბნელ ელემენტების ამგვარ გამოსვლებს. ეკლესიის შინაურ საქმეში არ ჩავერევით, მაგრამ არც უფლებას მივცემთ მღვდელ-მონაზვნებს „ღვთის რისხვის“ ტერორის ქვეშ დააყენონ გამოფხიზლების გზაზე მდგომი სოფლის თავისუფლება და ამით ხელი შეუშალონ სოფლის, ახალ ყოფა-ცხოვრების მშენებლობას.

ბ. არანელი.

წერილებიდან

ს. გუბი, (ქუთ. მ.)

ყოფ. თავად-აზნაურები ყაჩაღობენ. ხონის მცხოვრები გრიშა წულუკიძე და მალაქია მიშიკო ნიჟარაძე დახვდენ გზაზე მეურმეს, რომელსაც მიჰქონდა სხვისგან გატანებული 700 მან. ფული და გაძარცვეს. ყაჩაღები მილიციამ დააპატიმრა და გატაცებული ფულიც 24 მან. დაკლებით დააბრუნებინა. უსაქმოდ მოყიალე ყოფ. თავად-აზნაურობას ეხლა ეს ხელობა-ღა შერჩენიათ ხელში.

ი. ტ.

ყაზბეგი, (დუშ. მ.)

უქმი სამკითხველო. მალე ორი წელიწადი იქნება, რაც ქოხ-სამკითხველო გვაქვს. დაარსების დღიდანვე ჩვენი სამკითხველო ვერ დგას თავის სიმაღლეზე. კარები ხშირად გამოკეტილია, წიგნებს ცხრა-კლიტული ადევს. გაზეთებით ვერავინ სარგებლობს. ამნაირი სამკითხველო ვის რად უნდა?

ხალამური.

ვერსები მგზავრის მასწავლებელია

სამხედრო გზა. საქართველოს სამხედრო გზაზე სრულიად აცრილა ვერსები. მგზავრს ხშირად გზაში ღამდება. მან არ იცის სად და რა მანძილზე იმყოფება სადგურიდან. ეს მცირე ნაკლი დიდ გაჭირვებაში აგდებს სამხედრო გზით მოგზაურებს.

მური.

ლეხურის და მონასტრის რაიონები

თოვლმა დაგვღუპა. ჩვენი რაიონი მდებარეობს ოსეთის მთა ადგილებში. აქ გარდა ქერისა და კარტოფილისა არაფერი მოდის. მოსავალი იკრიბება ოქტომბერში. წელს სექტემბრის 19 მოვიდა თოვლი და მთლიანად გაანადგურა მოსავალი. თუ ამ რაიონის სოფლების ხელისუფლებამ დახმარება არ აღმოუჩინა გლეხებს, დიდ განსაცდელში ჩავარდებიან.

გ. ხუბაევი.

მუშათა ცხოვრება

საღამო-ზეიმი ნავთლუღის მუშათა კლუბში

(სურათები სინამდვილიდან)

ნავთლუღში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავია. მუშები ჯგუფ-ჯგუფად შეყრილან ბაქანზე და ბაასობენ სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

— ნეტავ, რა ამბავია აქ? ეკითხება ერთი ახალგაზრდა მუშას.

— დღეს ჯამაგირს გვირიგებენ ამხანაგო. იყო პასუხი. ფული უკვე მოიტანა მეარტელმა კლუბის ერთ-ერთ ოთახთან გაიმართა დიდი რიგი.

დაურიგეს ჯამაგირი.

ზოგი სახლისაკენ მიიჩქარება და ზოგი აპირობდა „სარდაფებში“ გამგზავრებას, მაგრამ ღვინის დალევის მაგიერ კლუბის კედლებში ამოყო თავი.

— ძალიან გამოცვლილა ეს კლუბი არა? ეკითხება ერთი თბილისიდან ჩამოსული მუშა ადგილობრივ მუშას.

— ეს კიდევ არაფერია. ამხანაგო! გარეგანი ფორმით ნუ დაკმაყოფილდებით. შიგნითაც დარბაზი გამშვენიერებულია; გამოყვანილია სინათლე, შევიძინეთ ახალი დეკორაცია, ახალი სკამები, ბუფეტი ამ საღამოსათვის და სხვა.

დაუკრა ზურნამ და სასულე ორკესტრმა. ყველა ახალგაზრდებია. საათმა დაჰკრა რვაჯერ. ხალხი შევიდა კლუბის დარბაზში. სიამოვნება ერთობ გაიზარდა. აიხადა ფარდა. სცენა მორთულია დროშებით და დიდი ოქტომბრის ბელადთა სურათებით.

— ამხანაგებო! ნავთლუღის რკინის გზის კლუბის საზამთრო სეზონის საზეიმო სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გაისმა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ჩარკვიანის ხმა.

მისალოცი სიტყვა ეკუთვნის საუბნო კომიტეტის სახელით ამხ. ნიკო ვაჭარაძეს.

მხურვალე სალამს უძღვნის ამხ. ვაჭარაძე ნავთლუღის რკინის გზის კლუბს.

წარმოსთქვეს აგრეთვე მისასალმებელი სიტყვები სხვა კლუბების გამგეობათა სახელით: ამხ. გ. ვაშაკიძემ, მემლაძემ, მებურიშვილმა, ლითანიშვილმა, ყაზახიშვილმა და თვით კლუბის გამგემ ამხ. კოსტა დემეტრაშვილმა.

ამხანაგები აღნიშნავენ კლუბის დიად მიღწევებს. ეს კლუბი ნავთლუღის მუშებს მოევლინა არაჩვეულებრივ კლუბად.

დაიხურა საზეიმო სხდომა. მაგრამ საღამოს პროგრამა მრავალფეროვანია. იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

აიხსნა ხელმეორედ ფარდა. სცენაზე დეკორაცია, მხატვრობა და შესაფერისი წესრიგი სუფევდა.

მამლების ყივილი, ძაღლების ყეფა, სასიამოვნო მუსიკა და სხვა არეულია ერთმანეთში; წარმტაცია ეს შთაბეჭდილება ჯერ კიდევ [illegible].

დაიდგა პიესა „მსხვერპლის“ პირველი მოქმედება. „საქო“-ს როლს თამაშობდა ახალგაზრდა სცენის მოყვარე ამხ. შ. გოცირელი.

მოხდენილია მისი თამაში. მისი ახალგაზრდობა იპყრობს აუდიტორიის მთელ ყურადღებას.

აგერ სცენაზე გამოტარა ორმა პატარა ბავშვმა პატარა ურემი. ამხ. ი. გორგაძემ შესძლო 5-6 წლის ბავშვების მომზადებაც კი, რაც მის უნარიანობას უნდა მიეწეროს.

თამაშობს აგრეთვე კლუბის გამგე ამხ. კოსტა დემეტრაშვილი, „გაბოს“ როლს. კარგია ესეც.

პატივს სცემენ და ეხმარებიან აგრეთვე სხვა კლუბების წრეები ნავთლუღის კლუბს. პლეხანოვის კლუბმაც შეიტანა თავისი წვლილი აქ და მით მისცა სულიერი საზრდო ნავთლუღის მუშებს.

დაიდგა ცოცხალი გაზეთი „პოლიტიკური მიმოხილვა“. აქ გამოყვანილია ცხოვრების ყველა დრომოჭმული ტიპები— ჩემბერლენი, ბრიანი და სხვა.

წარმტაცია ის სურათი, როდესაც ქალის როლს ასრულებს ამხ. გრიგოლ ნათაძე. მისი მიხვრა-მოხვრა და ქალის ტიპის განსახიერება შეუდარებელია. უკრავს სიმებიანი ორკესტრი და მღერის მომღერალთა გუნდი ლოტბარ ხვანიძის ხელმძღვანელობით.

საღამოს პროგრამაში დივერტისმენტიც შედის. ძველი მუშა ამხ. ი. დევიძე უკრავს სალამურს და კითხულობს საკუთარ ლექს „ზაჰეს“-ს.

გ. კოჩიაშვილი, სათანადო ტანისამოსში გამოწყობილია და კითხულობს მონოლოგს „ჰამლეტი“-დან. ი. გიორგაძე—„ბუდას“. გამოდის ძაძამია და კითხულობს იმერულ სცენებს და გოცირელი სომხურ სცენებს.

ხალხი უმართავს მათ ოვაციებს. ისვრის ყვავილებს სცენაზე ამხ. შ. გოცირელის საპატივცემოდ. განუწყვეტელი ზეიმია. ეტყობა [illegible] და კარგი პირიც უჩანს საზამთრო სეზონს. ვიმედოვნებთ მომავალშიაც აქ კულტმუშაობა უფრო გაძლიერდება.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

ჭიათურის დამზღვევ სალაროში

ზემო აღნიშნულ დაწესებულებაში როგორც თვით დამზღვევ სალაროს თავმჯდომარე ი. ჯაოშვილი, ისე მასთან ერთად ზოგიერთი მისი თანამშრომლები ძალიან უდიერად ეპყრობიან მუშებს, რომელთაც თავისი გაჭირვების გამო უხდებათ მათთვის მიმართვა.

არის ასეთი შემთხვევა: მუშა თვის პირველ რიცხვიდან თექვსმეტამდის იგზავნება კურორტ წყალტუბოში. ის დარწმუნებულია, რომ მას ერგება 13 დღის დღიური ხელფასი. დამზღვევი სალარო კი აძლევს მას თორმეტ დღის ქირას. როდესაც მუშა ეუბნება დამზღვევი სალაროს თავმჯდომარეს და მის თანამშრომლებს, რომ მას ერგება 13 და არა 12 დღის დღიური, იმის მაგივრად, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა მისცენ მას სათანადო პასუხი და გააგებინონ საქმე რაშია, ეუბნებიან: „ვაჭრობა საჭირო არ არის! აქ დუქანი არ გახლავთ!“ მუშები ძალიან კარგად არჩევენ ერთმანეთისაგან დუქანს და დამზღვევ სალაროს და არც გზა შეშლიათ, მაგრამ ბატონ ჯაოშვილს და მის თანამშრომლებს კი არ ეპატიებათ მუშებისათვის ასეთი პასუხების მიცემა.

შესაძლებელია მე ვსცდებოდი, მაგრამ მას მე ისეთ პირად კი არ უნდა ჩავეთვალე, ვითომდა მე დუქანს დამზღვევი სალაროდან ვერ ვარჩევდე და ასეთი შეურაცხყოფა კი არ უნდა მოეყენებია მუშისათვის, არამედ უნდა განემარტა თუ რაში იყო საქმე და მეც კმაყოფილი დავბრუნდებოდი უკან.

არის კიდევ ასეთი შემთხვევა: მოდის სოფლიდან დაღლილი - დაგლეჯილი ტანისამოსით დედაკაცი რაიმე საქმეზე. მას სანამ 3-4 საათი არ გაივლის, ყურადღებასაც არავინ აქცევს და ბოლოს, როდესაც კითხვას ინებებენ, შეამჩნევენ და გამოკითხავენ, თუ რაშია საქმე, იბარებენ მეორე დღისათვის. მეორე დღეს მოვა და მესამე დღისათვის იბარებენ და ვინ იცის, საცოდავ დედაკაცს, როდის აღირსებენ გადაწყვეტილ პასუხს. მას დაუსრულებელი წანწალი აღარ დასჭირდება მათთან.

უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ როდესაც ამავე დაწესებულებაში მიბრძანდებიან ლამაზ-ლამაზი ქალები, ან და კიდევ კოხტად ჩაცმული ინტელიგენტები, მათ ვინ აცდევინებს იქ! იმ წუთშივე დაკმაყოფილებულს ისტუმრებენ შინისაკენ.

ამასთანავე ერთად გასაკვირველი კიდევ ის არის, რომ ინტელიგენტკა და ინტელიგენტ ხალხისათვის ამ სალაროს რამოდენიმე კარები აქვს და მუშები კი, რომლებიც, რასაკვირველია, ისე კარგად ვერ არიან ჩაცმული, როგორც ზემოდაღნიშნული პირები, დგანან ერთ კარების წინ და იცდიან. ვინ იცის როდის მოუვათ ჯერი.

ხშირად კიდევ ასეთი შემთხვევებია: თვითონ „ბატონი“ ჯაოშვილი „დაბრძანებულია“, მუშები კი თავზე ადგანან და ელიან პასუხს თავ-თავიანთი საქმის შესახებ. იგი ამ დროს ტელეფონის საშუალებით ვიღაცას ეხუმრება, ვითომც აქ არაფერია, და თითქოს ვერც კი ამჩნევს, რომ რამოდენიმე მუშა მას თავზე ადგია სხვადასხვა საქმის გამო.

ფრიად სამწუხაროა, რომ დღევანდელ ხანაში ასეთები ხდება!

მტვირთველი მუშა ვ. ახანიძე.

მუშათა ქრონიკა

— **დამაკმაყოფილებლად სცნეს.** სამტრედიის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაამტკიცა ადგილკომის ორთვიური სამუშაო გეგმა.

— **სამდღიურის ჩასატარებლად.** თბილისის რკინის გზის ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ტუბდისპანსერის საბჭომ სამდღიურის ჩასატარებლად ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველად—გამოჰყო კომისია. 7 კაცის შემადგენლობით.

— **200.000 მანეთი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ტუბდისპანსერის შენობის ასაგებად გადადებულია 200.000 მან.

— **მეთვალყურეობის მიზნით.** ქუთაისის რკინის გზის ადგილკომმა შემნახველ სალაროს მეთვალყურეობის მიზნით გამოჰყო სათანადო კომისია. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

— **ექიმების საკითხი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ტუბდისპანსერს უწინ ემსახურებოდა 3 ექიმი, დღეს კი მუშაობს 6 ექიმი. ეს გამოწვეულია მუშაობის გაცხოველებით.

— **ბინის საკითხი დისპანსერში.** უწინ აქ იყო მხოლოდ 4 ოთახი; წელს დისპანსერს აქვს 18 ოთახი და შენდება აგრეთვე ახალი შენობა.

— **დამაკმაყოფილებლად.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ „შ. ს. კ.“-ს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და დაავალა, რათა მომავალში უფრო ენერგიულად დაიცვას მან მუშათა ინტერესები.

ინგლისელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

დელეგატებს სადგურზე შეხვდენ კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის წარმომადგენლები.

ურთიერთ მისალმების შემდეგ დელეგატები გაემგზავრენ მუშათა ახალ კლუბში, სადაც მიწვეული იქნენ ვახშამზე.

დელეგაციის შემადგენლობა

დელეგაციაში შედის 13 წევრი, მათ შორის ერთი ქალი; დელეგაციის წევრებიდან 1 კომკავშირელია, 5—ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან არსებულ ახალგაზრდათა კავშირის წევრი, 2—მუშათა პარტიის ახალგაზრდათა სექციის წევრი და 2 უპარტიო.

პროფესიის მიხედვით 3 საბთა-მადნო მუშაა, 2—ფეიქარი, 3—ხეზე მომუშავე, 2—მელითონე, 1—ელექტროწარმოების მუშა, 1—რკინისგზელი და 1—მოსამსახურე.

დელეგაციის თავმჯდომარეა— ვოზ ედგურდს—ელექტრო დარგის მუშა, დამოუკიდებელი მუშათა პარტიასთან არსებულ ახალგაზრდათა კავშირის საოლქო კომიტეტის წევრი, მდივნები: ჯეკსონ—[illegible] რკინისგზელი, მუშათა პარტიის ახალგაზრდათა სექციის ცენტრალურ კომიტეტის წევრი და [illegible]მიტ—ხეზე მომუშავე, ლონდონის რაიონულ პროფსაბჭოს მდივანი.

დელეგაციას ახლავს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი— [illegible] მაზუტი.

დელეგაცია ათი დღეა რაც ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. დელეგატებმა უკვე დაათვალიერეს ლენინგრადი, მოსკოვი და ბაქო.

თბილისში დელეგაცია დარჩება ორი დღე. დელეგატები დაათვალიერებენ ფაბრიკა-ქარხნებს, ზაჰესს, ქართული ჯარის ნაწილებს, გამასწორებელ სახლს და საუბარი ექნებათ მთავრობის თავმჯდომარესთან.

თბილისიდან დელეგატები გაემგზავრებიან დონის ბასეინში არტემოვსკის სარეწავების დასათვალიერებლად.



დელეგატების ერთი ჯგუფი, შუაში—დელეგაციის თავმჯდომარე ედვარდსი.

ვადერ-აბდულ-ვახაბ-ხანის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის დიპლომატიური კურიერი განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველი და განათლების მინისტრის შვილი—ვადერ-აბდულ-ვახაბ-ხანი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ბ. ვადერ-აბდულმა განაცხადა შემდეგი:

— მე თბილისში ჩამოვედი დასასვენებლად; დავრჩები აქ თვენახევარი. ამასთანავე მე განზრახვა მაქვს გავეცნო და შევისწავლო სახალხო განათლების საქმის დაყენება საქართველოში.

სპარსეთის ეხლანდელი მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს განათლების საქმეს; გაფართოებულია სკოლების რიცხვი და მიღებულია ზომები სპეციალური სასწავლებლების გასახსნელად.

უკანასკნელი დროის განმავლობაში გახსნილია 10 სკოლა ქალებისათვის და 10 სახელოსნო სკოლა თეირანში, რომლის მასწავლებლებად და ინსტრუქტორებად მოწვეული არიან გერმანელები და ფრანგები.

ამას გარდა, გახსნილია წერა-კითხვის სალიკვიდაციო 10 სკოლა მოზრდილთათვის; ამ სკოლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი სპარსეთში უდრის მოსახლეობის 85 პროც.

განათლების საქმის დაყენების გასაუმჯობესებლად ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვიყენოთ საბჭოთა სკოლების მიღწევები.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დაუდევრობაა თუ უცოდინარობა

განსაზღვრულ მუშაობის შემდეგ რკინის გზის ზოგიერთი წყალ საქაჩავი ირეცხება და რემონტიც უკეთდება. სამაგიეროდ მის მაგიერ მეორე სადგურის წყალ საქაჩავი მუშაობს, რომელიც იმყოფება მეზობლად. არის ისეთი სადგური, სადაც 1—3 წამის მეტად არ ჩერდება მატარებელი. ზოგიერთი მემანქანე აჩერებს მატარებელს 2—3 წამს და იღებს წყალს. მათი უმეტესი ნაწილი იღებს წყალს მხოლოდ იქ, სადაც აღნიშნულია მათთვის წყლის მიწოდება. რაც შეეხება ისეთი წყლის საქაჩავს, სადაც შეწყვეტილია წყალის მიწოდება, იმ სადგურის მოსამსახურემ უნდა აცნობოს ახლობელ წყალის საქაჩავ სადგურს, რომ ორთქლმავალი იქნეს წყლით დაკმაყოფილებული. სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება, და ზოგიერთი სადგურის აგენტის დაუდევრობით მატარებელი ჩერდება რამოდენიმე საათობით იქ, სადაც არა აქვს გაჩერების უფლება თანახმად თანრიგებისა 1—2 წუთზე ზევით.

მომყავს შემდეგი მაგალითი:

მატარებელ № 1-ს უნდა მიეღო წყალი სადგ. სანგაჩალში, მაგრამ წყლის საქაჩის მუშაობის შეწყვეტის გამო ორთქლმავალი გაბრუნეს უკან და მიაწოდეს წყალი სადგ. ალიათში. ეს იყო პირველ სექტემბერს.

ასეთი მაგალითები ხშირად ხდება რკინის გზებზე. ნუ თუ დროზე ვერ შეატყობინა სანგაჩალის სადგურის აგენტმა ალიათის სადგურს, რომ ორთქლმავალისათვის წყალი მიეწოდებინათ, რათა მთელი ორი საათი არ გაეჩერებინათ ჩქარი მატარებელი.

აქ ან დაუდევრობას აქვს ადგილი ან უცოდინარობას. როგორც არ უნდა იყვეს, არც ერთ ასეთ აგენტს არ უნდა ექნეს ადგილი სამსახურში. ამ დაუდევრობით რკინის გზა დიდათ ზარალობს.

ჭია ლევან.

მომჭირნეობა ჯანმრთელობის ხარჯზე

(თბილისის საუდი)

საუდის ადმინისტრაციას არა ერთხელ მიუმართია სალიანდაგო და შენობათა დარგის თბილისის უბნის უფროსისათვის, რომ მას შეეკეთებინა საუდის კანტორა და განსაკუთრებით კი ის ოთახი, სადაც 10—15 კაცია, რომლებსაც სიბნელის გამო დღე ელექტრო შუქით უხდებათ მუშაობა. უკვე ზაფხული გავიდა, მაგრამ უბნის უფროსს ყურიც არ გაუბერტყია შესაკეთებლად. მის მაგიერ, რომ ჭერი გაეჭრათ და აეშენებიათ ეგრედ წოდებული „ფანარი“ რომელიც უნდა ყოფილიყო შუშისაგან რათა სინათლე მისცემოდა ოთახს, მხოლოდ კედლები შეღებეს და ძველი სიბნელე ისევ აქ დარჩა.

ჩვენ, კანტორის მოხელეები, შევეკითხეთ ზედამხედველ ტეხნიკს, თუ რისთვის არ გასჭრეს ჭერი და არ ამოაშენეს „ფანარი“, რომ სინათლე ყოფილიყო ოთახში. პასუხად მივიღეთ—კრედიტი არა გვაქვს. ასეთი შეკეთებისათვის საჭირო თანხაზე მეტი ელექ. ენერგ. იხარჯება. ამას გარდა 15 მუშაკი სიბნელეში მუშაობს და ამის გამო ვერც საქმეს აკეთებენ ისინი როგორც წესი და რიგია.

ამით მეტი ზარალი მოსდის რკინის გზას, ვიდრე 200 მანეთის კრედიტის გახსნაზე—მოუვიდოდა, სადაც კი არ საჭიროებს იქ იფლანგება თანხა ათასობით. აქ კი „მომჭირნეობენ“.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება შრომის დაცვის ინსპექციამ და მომჭირნეობის კომისიამაც.

ლერძი.

მუშების ჩაბმა კამპანიაში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ხაზით გამოქვეყნდა ამხ. პირინგის და დოგადოვის მიერ ხელმოწერილი მიმართვა კავშირების ყველა გუბერნიო განყოფილებისა და რაიკომებისადმი, ტრესტების და სინდიკატების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიებისადმი.

მიმართვაში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში მუშათა მასების ჩაბმის მხრივ. საჭიროა სამეურნეო ორგანოების სარევიზიო კომისიების მუშაობა დაკავშირებული იქნეს საწარმოო თათბირებთან და ეკონომიურ კომისიებთან.

მოტო-გადარბენის შედეგები

მოტოციკლეტების გადარბენის მომწყობ ტეხნიკურმა კომისიამ მიუსაჯა პირველი ჯილდო „კალიასკებიან“ მოტოციკლისტების ჯგუფის მოტოციკლეტისტ ამხ. ჯავახიშვილის, რომელიც მოგზაურობდა 1926 წლის გამოშვების მანქანით „ჰარლეი დევიდსონ“ და თეიმურაზოვს, რომელიც მოგზაურობდა უკანასკნელი გამოშვების მანქანით „ინდიან“.

მეორე ჯილდო მიეცა მერაბიშვილს და მესამე ჯილდო მიეცა ათოევს, რომელმაც გზაში მიიღო მხოლოდ 12 დამაბრკოლებელი შენიშვნა. ერთეულა მოტოციკლეტისტებს შორის პირველი ჯილდო მიუსაჯეს ფედოროვს.

აქციზი ღვინოზე

ამიერ-კავკასიის ცაკმა მიანდო ა.-კ. ფინსახკომს გამოსცეს ინსტრუქცია ღვინოზე აქციზის დაწესების შესახებ. განზრახული აქციზა თითო ვედროზე გათვალისწინებული 64 კაპ. ანუ თითო ლიტრზე 5 კაპ. ღვინის სიმაგრე ამ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 14 გრადუსს.

ა.-კ. ცაკმა დაადგინა აგრეთვე გააუქმოს აქციზი ღვინის ძმარზე. და სამაგიეროდ ღვინის ძმარზე გაავრცელოს თვით ღვინოზე დაწესებული აქციზი.

ფიზკულტურის კვირეული

საქართველოს ცაკთან არსებულმა ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ჩაატაროს მთელ რესპუბლიკაში ფიზკულტურის კვირეული. კვირეული ჩატარდება კომკავშირის უშუალო მონაწილეობით.

ყველა სამაზრო ალმასკომებს დაეგზავნათ მიწერილობები ხელი შეუწყონ მაზრებში კვირეულის ჩატარებას. კვირეული დაიწყება 15 ნოემბერს და გაგრძელდება 20 ნოემბრამდე.

საბინაო აღმშენებლობა

შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ დაგზავნა ადგილებზე ცირკულიარი საბინაო აღმშენებლობისა და ძველი ბინების შეკეთების შესახებ.

ადგილებს წინადადება ეძლევათ ერთ კვირაში წარმოადგინონ ცნობები იმ სახლების შეკეთების შესახებ, რომელთა აღდგენაც შესამჩნევათ გაადიდებს საცხოვრებელ სივრცეს და არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს.

წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მასალისაგანაა აშენებული შესაკეთებელი სახლი, რამდენი რაოდენობის საცხოვრებელი სივრცეა ამჟამად გამცდარი და რა დაჯდება შეკეთება.

მთელი ეს ცნობები საჭირო გადამუშავებული სახით გამოიგზავნოს კომისარიატის კომუნალურ განყოფილებაში, რომელიც თავის მხრივ გაგზავნის საკავშირო კომუნალურ ბანკში, რომელიც შეუდგება კავშირის მასშტაბით სესხის განაწილებას საბინაო აღმშენებლობის ფონდიდან.

მაუდის ქარხანა

დიღმის მაუდის ქარხნის ასაგებათ საბოლოო გეგმის შემუშავება უკვე დასრულდა. გადაწყვეტილია მთავარი კორპუსი იქნეს 15.000 კუბიკური მეტრის მოცულობის და ერთსართულიანი, რაც გამოწვეულია მით, რომ ამ შემთხვევაში მზის სინათლე ქარხანას მიწვდება ზევიდან, რაც ქსოვის პროცესისათვის აუცილებელია.

ქარხნის შენობის საფუძვლები უკვე ჩაყრილია. ამჟამად ყოველდღიურად მუშაობს 150 მუშა. აგებულია მუშათა საცხოვრებელი ბინები, სასადილო, აბანო, საწყობები და სხვა.

ქარხნის ადგილას უკვე გაყვანილია რკინისგზის ლიანდაგი და ერთი გზა-ტკეცილი.

ახლო ხანში ქარხნის ასაგებათ მომუშავე მუშების რიცხვი აყვანილ იქნება 800 კაცამდე.

მატყლი

„ცეკავშირმა“ ა.-კ. კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირთან შეთანხმებით გადასწყვიტა დაამზადოს წელს 6.000 ფუთი შემოდგომის მატყლი. მატყლის დამზადება „ცეკავშირმა“ მიანდო ალგეთის, ახალქალაქის, დუშეთის და ახალგორის კოოპერატიულ ორგანიზაციებს. აღნიშნულ რაიონებში მატყლის დამზადება ენერგიულად სწარმოებს. მატყლის დასამზადებლად „ცეკავშირმა“ წინასწარ მისცა ავანსათ ზემო-აღნიშნულ კოოპერაციებს 50.000 მანეთი.

შეშა თბილისისათვის

თბილისის დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის საზამთროთ შეშის მომარაგების შესახებ სატყეო ტრესტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— შეშის მომარაგების საქმე წელს ძალიან ცუდათაა. საქმე იმაშია, რომ ბევრ დაწესებულებებს აქვთ დავალიანება შარშანდელის ზამთრიდან. ეს დავალიანება იმდენად საგრძნობია, რომ ამჟამად კრედიტების სიმცირე ნებას არ გვაძლევს ფართოდ მოვაწყოთ შეშის მომარაგების საქმე.

ზამთრის განმავლობაში თბილისისათვის საჭიროა 15—20 ათასი კუბ. ფუტი შეშა. ამჟამად ყოველდღიურათ ვღებულობთ მხოლოდ 30 ვაგონ შეშას და საჭიროა კი დღეში 50 ვაგონი.

თბილისის ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს უკვე მიცემული აქვთ წინადადება წარმოადგინონ მოთხოვნილება თუ რა რაოდენობის სათბობი მასალაა მათთვის საჭირო.

ამასთანავე შუამდგომლობაა აღძრული რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რომ შეშის ტვირთები გაატაროს საჩქაროთ და დაუბრკოლებლათ და დააწესოს შეშის გადასაზიდათ შეღავათები.

ტრესტის მიერ მიღებულია გადამწყვეტი ზომები ძველი დავალიანების ასაკრებათ, რაზედაც ბევრათაა დამოკიდებული შეშით თავის დროზე მომარაგების საკითხი.

საქონელი

ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმა საკავშირო რესპუბლიკებში სამრეწველო საქონლის შეზიდვის შესახებ 1926—27 წლის პირველ კვარტალში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება შალეულის ქსოვილი—1.400.000 მან., ტყავეულის საქონელი და ფეხსაცმელი—589.000 მან. ვაჭრობის სახ. კომისარიატს მიენდო დამატებით განიხილოს საკითხი ამიერ-კავკასიისათვის ლითონის საქონლის მიწოდების შესახებ.

მოსავლის დღე

მზადება გურიაში

ოზურგეთის სამაზრო აგრონომიულ განყოფილებამ დაიწყო სამზადისი მოსავლის დღის ჩასატარებლად. მაზრის ცენტრში მოეწყობა გამოფენა. დარიგდა ლიტერატურა სასოფლო მეურნეობის შესახებ. დასახლებულ პუნქტებში წაკითხულ იქნება ლექციები ვენახების, სუბტროპ. ნამყენების, სამინდვრე კულტურების მოვლა-მოშენების გაუმჯობესებულ საშუალებების შესახებ, აგრეთვე მესაქონლეობის და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესახებ.

სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის სამიწათ-მოქმედო განყოფილებამ გამოჰყო კომისია მოსავლის დღის ჩასატარებლათ. მაზრის 4 პუნქტში განზრახულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების და საუკეთესო მეურნეობათა პროდუქტების გამოფენის მოწყობა.

საუკეთესო მეურნეობებს მიეცემა პრემიები სათესლეს, სეპარატორების და ვერმოლელის აპარატების სახით. დღესასწაულის ჩასატარებელ მუშაობაში ჩაბმული არიან: აგრონომები, მასწავლებლები, ქოხ-სამკითხველოების გამგეები და წითელი არმიის ნაწილები. წითელი არმიელები აწყობენ ჯიშიანი ცხენების დოღს.

ა.-კ. თათბირი აღწერის საკითხებზე

გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრის—ამხ. კრასილნიკოვის მონაწილეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის თათბირი აღწერის საკითხების განსახილველად.

თათბირზე მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების უფროსები, დემოგრაფიის განყოფილებების გამგეები და თბილისის და ბაქოს ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროების გამგეები.

თათბირზე მოსმენილი იქნა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების უფროსთა მოხსენებები მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში; თათბირმა დაამტკიცა [illegible] რიგი დამატებები და ცვლილებები საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციაში და გამოიმუშავა სამუშაოების კალენდარული გეგმა.

თათბირმა აღწერის დაწყების დღით დანიშნა 17 დეკემბერი.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები

გასულ სასწავლო წელს მთელ საქართველოში, პოლიტგანათლების განყოფილების ცნობით, არსებობდა წ.-კ. უცოდინარობის 1.566 სკოლა.

წ.-კ. ისწავლეს

აღნიშნულ სკოლებში კურსი დაამთავრა 34.808 წ.-კ. უცოდინარმა. მათ შორის 26.813 მამაკაცია, 7.995 ქალი.

ეროვნების მიხედვით

ამ 26.813 კურსდამთავრებულთაგან ეროვნების მიხედვით: 19.401 ქართველია, 3.819 სომეხი, 1.214 თურქი, 661 რუსი, დანარჩენები—1.718.

პარტიული შემადგენლობა

კურსდამთავრებულთა რიცხვი პარტიულ შემადგენლობის მიხედვით ასეთია: 947 კომუნისტი, 3.323 კომკავშირელი და 30.538 უპარტიო. პროფკავშირის წევრია მხოლოდ 731 კურსდამთავრებული, დანარჩენი არაკავშირის წევრებია.

მარტო თბილისის მაზრაში

გასულ სასწავლო წელს არსებობდა 264 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომლებშიაც წ.-კ. ისწავლა 4.814 კაცმა, მათ შორის 674 ქალია.

სატყეო მრეწველობა

„აფხაზეთის ტყე“

საბოლოოთ შემუშავდა აფხაზეთის სატყეო სამმართველოს წარმოებათა მუშაობის ნაყოფიერება. 1926—27 წ—სათვის. სულ აფხაზეთის სატყეო ქარხნებში დამუშავებული იქნება 1 337.000 კუბიკური ფუტი ხის ნედლეული, აქედან გაგრის რაიონში 802.000 კუბ. ფუტი, ათონის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში—200.000, კოდორის სატყეო ქარხანაში—170.000, გუდაუთის ქარხნებში—135.000, გაგიდის სატყეო ქარხანაში—30.000. ბაზარზე გასასაღებლად დამზადებულია—5.500 კუბიკ. საჟ. წიფლის ტკეჩი, შირი—163.000 კუბ.

კრედიტი ღარიბ გლეხებს

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საბჭოთა კავშირის 1925-26 წლის საბიუჯეტო თანხებიდან მიიღო 260.000 მანეთი, რომელიც გაცემული იქნება კრედიტის სახით ღარიბ გლეხებზე.

ამ თანხის განაწილება მოხდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით; ეს უკანასკნელები თავის მხრივ კრედიტს მისცემენ 5 წლის ვადით ყველაზე უფრო ღარიბ მეურნეობებს.

ამას გარდა, ამხანაგობებმა წმინდა მოგებიდან ყოველწლიურად უნდა გადასდონ 10 პროცენტამდე სპეციალური ფონდის შესაქმნელად. ამ ფონდის დანიშნულებაა საკრედიტო ამხანაგობებში წევრათ შესვლის გაადვილება ღარიბ გლეხებისათვის.

მცხეთის ხიდის გამოცდა

კვირას, 17 ოქტომბერს საქართველოს გზატკეცილების სამმართველო მოახდენს ზაჰესის მიერ აგებულ მცხეთის გზატკეცილის ახალი ხიდის სტატიურ და დინამიურ გამოცდას.

სამმართველომ თავის წარმომადგენლებათ გამომცდელ კომისიაში დანიშნა სამუშაოების მთავარი ინსპექტორი ინჟ. სიმონსონი, ინჟ. დობროვოლსკი და ლეონტიევი.

ზაჰესის მხრიდან კომისიაში დანიშნულია ზაჰესის სამუშაოთა ხელმძღვანელი ბ. მიქელაძე და ტეხნიკური განყოფილების უფროსი—ინჟ. ჩიქოვანი.

ახალ ხიდს აქვს გაუმჯობესებული სავალი ნაწილი. რომელიც შესდგება ბეტონით ამოვსებულ ხოჩჩიან რკინისაგან და ღორღით დატკეპნილ ზედნაშენით.

ეს ხიდი ყველაზე დიდია ყველა იმ რკინის ხიდებში, რომლებიც აქამდი აგებული იყო კავკასიის გზატკეცილებზე.

ხიდის პროექტის ავტორია გზათა ინჟინერი ბერნაცკი.

ხიდის გამოცდა მოხდება „მანე-რაბიუ“-ს ახალი გაუმჯობესებული ხელსაწყოებით.

გზების შეკეთება

სამხედრო გზა

დამთავრდა მუშაობა ნახევრად-გვირაბ „მაიორშა“-ს ნაწილის ასაგებათ. „მაიორშა“ სავსებით დამთავრებული იქნება მომავალ წელში; მის გასაყვანით ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გადადებული იქნება საჭირო თანხა.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ფერდობების გასამაგრებლად. 1927 წელში განზრახულია ახალი დიდი ხიდის აგება სამხედრო გზაზე; ამასთანავე საფუძლიანად შეკეთებული ნახევრად გვირაბები, ფარდულები და გალერიები ჯვარის გადასავალზე.

თბილის-თელავის გზა-ტკეცილი

წარმატებით მიმდინარეობს კახეთის გზა-ტკეცილის ვაზიანის უბნის შეკეთება.

დეკემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდება ვაზიანის უბნის დატკეპნა 10 კილომეტრის მანძილზე.

ვაზიანის უბანი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სრულებით არ შეკეთებულა; ამ გზაზე გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო.

მუშაობას ხელმძღვანელობს კახეთის გზების დისტანციის უფროსი—ინჟ. გ. ი. ჩხეიძე.

სურამ-ძირულის გზა

ამაშუკეთ-ძირულას უბანში დამთავრდა შრომის საგზაო ბეგარით მუშაობა; შესრულებულია 1.200 კუბ. საჟ. მიწის სამუშაოები. გასულ და მიმდინარე წელში ფასიან მუშების მიერ 12.000 კუბ. საჟ. კლდოვანი და მიწის სამუშაოები.

ამჟამად 17 ვერსის მანძილზე სწარმოებს თავისუფალი მოძრაობა. მომავალ წელში განზრახულია კლდოვანი და მიწის სამუშაოების დამთავრება და საჭირო ხელოვნური ნაშენების აგება.

დღეს მიწას მიაბარებენ ვასო აბაშიძის ცხედარს

სიცილის ჯადოქარი დადუმდა



უმადურია მსახიობის ბედი, იტყვიან. მისი შემოქმედებიდან მომავალ თაობას არაფერი რჩებაო. ეს არ არის მართალი. ვერც ერთი შემოქმედი, ხელოვნების დარგიდან იქნება ის თუ მეცნიერების, ისე ახლო ვერ მიდის ხალხის გულთან, ისე მძაფრათ ვერ იკვლევს ხალხის სულიერ ცხოვრებაში გზას, ისე მკვიდროთ ვერ ისახება მის ცნობიერებაში, როგორც მსახიობი. ნიჭიერი მსახიობი, როგორც ჩვენი ვასო იქცევა ორ არსებათ. რჩება მათ, რაც არის და იქცევა მათ, რაც არ არის, იტოვებს თავის მე-ს, როგორც შემოქმედი და ჰქმნის სხვის მე-ს, როგორც შემოქმედების სახე. ამასთან ერთად, ის შემოქმედების მომენტშივე წარმოდგარია ამთვისებლის წინაშე, წარმოდგარია თავისი სულითა და ხორცით, ნერვებითა და აზრით, გონებითა და გრძნობით. ამიტომაა, რომ მსახიობი აუდიტორიებთან ერთიანდება სულიერათ, ახდენს მასზე ზეგავლენას და თვითონაც მოქცეულია აუდიტორიის ზეგავლენის ქვეშ. ამიტომ არის, რომ ხალხს უყვარს მსახიობი.

ვასო განსაკუთრებული ნიჭით მოევლინა ჩვენი სცენის სარბიელზე. ის სიცილის ჯადოქარი გახლდა, რომელმაც მხიარულება აღძრა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. თეატრის ისტორიამ იცის მრავალი ტრაგიკი, მაგრამ ის არ იცნობს მრავალ კომიკს. ვასოს კომიზმი ანარეკლი იყო მისი ბუნების ის არ იყო გაკეთებული, ის იყო პირდაპირი, ბუნებრივი, ცოცხალი და მარდი. ვასო თეატრის ფიროსმანია იმ განსხვავებით, რომ ფიროსმანი ვერ დავაფასეთ ღირსეულად და [illegible] უმადური სახელით განუტევა სული უდიდესმა მხატვარმა, რომელმაც იგრძნო—აღმოსავლური პრიმიტივი და გადაშალა ის საუცხოვო ფერადებში, ვასო კი, როგორც მსახიობი, პირველი მისი სიტყვიდან მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ და განახლებულმა საქართველომ მას სახალხო მსახიობის საპატიო სახელი უძღვნა.

ვიტიროთ დღეს ვასო? არა, არ შეიძლება ვასოს ტირილი. როცა სახელმწიფო კინო მრეწველობაში სიცილის ჯადოქარის დადუმების ამბავი გავიგეთ, პირზე ღიმილი მოგვადგა. მე ყველაზე მეტად აქ ვიგრძენი ვასოს ღირსება. მან ისე დაგვიპყრო სიცილით, რომ მისი სიკვდილიც ვერ იწვევს ჩვენში მწუხარებას.

ვასო შეიძლება ზეიმით, მხიარულებით მივაცილოთ მამა დავითის ქედს, როგორც სამაგალითო მსახიობი და მოქალაქე, როგორც საუკეთესო შემსრულებელი თავისი როლის სცენაზე და ცხოვრებაში, რომელმაც ღრმა მოხუცებულობაშიაც ღირსეულ შეინარჩუნა სიყვარული სიცოცხლისა და სცენისადმი. ჩვენს მეხსიერებაში ვერავინ წაშლის ვასოს და ჩვენს წინაშე კიდევ შეგვაძლია ცოცხალი ვასოს წარმოდგენა, რომელიც გადატანილია ჩვენი კინოს მიერ სათუთ ფირზე.

ს. ამაღლობელი.

არა, სიკვდილი არაა.

მოკვდა... ჩაესვენა... ველარ იხილავთ
წელში მოხრილს და სახე დამჭკნარს,
ჩაჰქრა... ჩაიფერფლა სიყვარულის ცეცხლი,
აღარ გვყავს ქართული თეატრის ქურუმი,
იალბუზის მწვერვალს მუდამ დათოვილს
გზნების სხივებით, გადაეფარა სიკვდილის შავი ღრუბელი.
მეცხრამეტე საუკუნე იყო მისი წვა
სცენის სიყვარულით.
სცენა და სიცოცხლე ეს იყო მისთვის
ერთი ცნება.
ის იყო შვილი და იმავე დროს მამაც
ქართული სცენის,
მეოცე საუკუნემ მიიღო ვასო ხელში
ჩირაღდნით,
რომელიც აშუქებდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუნჭულებს.
მშრომელმა ხალხმა შეიყვარა ქართული
სცენა,
შეიყვარა მისი ქურუმიც.
მაგრამ მონა ხალხი, საუკუნოებით ტანჯული და შებორკილი.
გულში ინახავდა ქართული სცენისა და
მისი სიამაყის სიყვარულს.
და როცა დაჰკრა საათმა ახალი ჟამის,
ხალხმა დალეწა ბორკილები მონობის
და მოიპოვა თავისუფლება,
მადლობა უძღვნა მას და თავის არტისტათ გამოაცხადა.
დღეს მას ვაბარებთ მშობლიურ მიწას.
მოკვდა. აღარა გვყავს!.
ვინ იტყვის, რომ მართალია მისი სიკვდილი?
სიკვდილია თუ სიცოცხლე?
სიცოცხლეა — სიცოცხლე!

სანდრო ჟურიძე

სახელოვანი ვასო

შენ მიერ აღზრდილი ამხანაგები, ჩვენი თეატრის ახალი თაობა და მთელი ხალხი დასტირის შენს ძვირფას ნეშტს.

მე მუშათა წრიდგან გამოსული, რომელიც გავყევ შენს კვალს სათეატრო ასპარეზზედ, არ გტირი, რადგან შენ დიდებულად შეასრულე შენი წმიდა მოვალეობა: ხალხს შეაყვარე თეატრი და ხალხმა შეგიყვარა შენ.

ლამაზი იყო შენი გზა
ქედს ვიხრი შენი დიდი მოღვაწეობის წინაშე

ნიკო გოცირიძე.

სამძიმრის დეპეშები

აჭარისტანის ხელოვნების მუშაკთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ქართული სცენის ვეტერანის, კავშირის უხუცესი წევრის, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო.

კავშირის თავმჯდომარე დიასამიძე.

ხოფ. საგარეჯოს სახალხო თეატრის დრამატიული დასი გამგეობითურთ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საქართველოს დიდებულ ხელოვანის ვასო აბაშიძის დაკარგვის გამო და ქართველ მასწავლებლის წინაშე მუხლ მოდრეკით ქედს იხრის.

დავალებით ალ. ბედიაშვილი.

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ დამსახურებულ სახალხო მსახიობის ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო.

ზესტაფონის რკინის გზის შვიდწლედის პედაგოგიური საბჭო.

თელავის განათლების განყოფილება მწუხარებას გამოსთქვამს ქართული სცენის სიამაყის სახალხო მსახიობ ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო.

თბილისის საუდის კანტორის მოხელეებ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ქართული სცენის სიამაყე ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო.

თბილისის საუდის კანტორის მოხელების მინდობილობით ლევან გუნია.

ჩვენს მწუხარებას უერთებთ ქართველ ერის მწუხარებას საყვარელი მსახიობის ვასო აბაშიძის დაკარგვის გამო.

ისააკი საბაშვილი, ვასო ციმაკურიძე, რუბენ მჭედლიძე, გიორგი თავართქილაძე და ნ. ბერიშვილი.

ვასო აბაშიძის სიკვდილით დამწუხრებულნი უერთდებით კახეთიდან სახალხო გლოვას.

პავლე იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, ამბროსი შანშიაშვილი.

ჩვენი სცენის სიამაყე

ვინ დარჩა საქართველოში, რომ ვასო აბაშიძის ხელოვნებით [illegible] არ ეგრძნოს?.. იქნება ვინმეს გონია, რომ ვასო ძალზე მოხუცებული იყო და სიკვდილი, წლების დაწოლამ დაარქვა?.. 72 წელიწადი...

ნუ თუ 72 წელიწადი საქართველოს მაგიანი ლაღი ბუნებისათვის წლების დაზიდვა არის?.. არა, ჩვენმა სინამდვილემ 150 წლიანი მოხუცები იცის, რომელნიც დღესაც ცხოვრობენ.

ვასო აბაშიძე დაიწვა ხელოვნების სამსხვერპლოზე, ვასო დაადნო უამრავ გრძნობათა გასცემამ... ჩვენი გონება ვერ შერიგებია ცნობას ვასოს სიკვდილის შესახებ...

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართული თეატრი ვასო აბაშიძის გარეშე...

მართალია, ვასო აბაშიძე უკანასკნელი წლების განმავლობაში ვეღარ ამშვენებდა ქართულ სცენას, მაგრამ ჩვენ მაინც ვგრძნობდით დიდი არტისტის არსებობას.

ვასოს გამოხედვა ჩვენი თეატრის ისტორიის მთლიანი გამოხედვა იყო...

ქართულ თეატრს ბევრი ყავს სულით და ხორცით განუყრელნი, მაგრამ ჩვენ სრული შეგნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვასო აბაშიძე მათში ერთი პირველთაგანი არის...

ვასო აბაშიძე ხალხის ნამდვილი შვილი იყო.. ის ზოგიერთებივით არ თაკილობდა გარე უბნებში მუშაობას და ყოველ დაძახებაზე ჩნდა. იყო ხალხისათვის სამსახური გაეწია... ვასო დიდ თეატრში, ვასო მუშათა უბნებში, ვასო საქართველოს ყველა პროვინციებში... ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, ვასო აბაშიძის მშრომელი კლასისადმი სამსახური სათანადოთ დააფასა და ცხოვრების უკანასკნელ წლებში უზრუნველჰყო.

ვასო აბაშიძე ძველი ქართული თეატრის წარმომადგენელი იყო... ვასო აბაშიძის სიკვდილით დასრულდა ამ თეატრის ისტორია...

ვასოს ძეგლი იმავე დროს, ჩვენი ძველი თეატრის ძეგლი იქნება...

ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიანათ შესცვალა ჩვენი ცხოვრების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები.

ქართული ხელოვნება დღეს სულ ახალი გზებით მიემართება...

რევოლიუცია შემდეგში ვეღარ შეურიგდება ძველი თეატრის გზებს, თანამედროვე საზოგადოება ახალი ტეხნიკისაკენ მიილტვის.. მაგრამ...

ქართული თეატრის ძველ მოღვაწეთა ეკლიანი გზა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ყოველთვის მაგალითი იქნება.

ვასო აბაშიძის ხსოვნას აწინდელი საუკუნეები ატარებენ. როგორც ძვირფას ძეგლის ხელოვნების სამსხვერპლოზე დამწვარ ადამიანისას...

შალვა გომართელი.

ლამაზი მოგონება

ოცდა ათი წლის წინად, სწორედ ამ დროს ქართულ თეატრში, რეპეტიციები მიდიოდა. სეზონისათვის ემზადებოდენ. პირველად გავაღე ქართული თეატრის კულისების კარები და პირველი, ვინც იქ დავინახე, იყო ვასო აბაშიძე.

— ვინ გინდა ქაჯან?

ვასო აბაშიძე!

— მე ვარ რა გნებავთ?

მე ცალი ხელით გავისწორე ძველი სოციალისტივით გრძელი და სქელი თმა და მომცინარე სახით მიუგე: სცენის მოყვარე ვარ გურიაში არტისტათ ცნობილი, დიდი სურვილი მაქვს ვისწავლო თქვენთან და თქვენ როგორც მფარველი ყველა ახალგაზრდების, მეც მინდა ვიყო თქვენი ოჯახის წევრი და და... დავაყარე გურულ სცენასავით... ამ დროს ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა... არ ვიცი, მას მოეწონა თუ არა ჩემი თქმა. დამიბარა საღამოს რეპეტიციაზე და დავიწყე მასთან მუშაობა...

რამდენიმე წელი მის თანაშემწეთ ვიყავი, უყვარდი და ძლიერ მენდობოდა...

დიდი ნიჭის პატრონი იყო, ერთ საათში პიესა მზად ჰქონდა და რეპეტიციაზე გამოდიოდა. უყვარდა თბილისი. ძნელი იყო მისი მოშორება, სადაც არ უნდა წაგვეყვანა, სულ თბილისზე ფიქრობდა, აქეთ ჰქონდა გული. გატაცებული იყო ანტონოვის და ცაგარელის პიესებით— იტყოდა რომელიმე მონოლოგს და იცინოდა. გადამდები იყო ეს სიცილი—ჩვენც ვიცინოდით... განვლო დრომ, დაიწვა ქართული თეატრი, ვასოზე საცოდავი არავინ იყო. როგორც ჭირისუფალი მოსთქვამდა დაკარგულ სამოთხეს... დრო მიდიოდა... ვეკითხები, როგორ ბრძანდებით, ვასილ ალექსეიჩ! გიხაროდეთ თეატრი შენდება! ეხ, ვასოჯან, მე კი შემაპაჩიკეს, მაგრამ თეატრის აშენებას არაფერი ეშველაო.

დრომ თავისი ქნა, დაბერდა ჩვენი ვასო, დაიღალა, მას როგორც ხალხის შვილს და სახალხო მოღვაწეს, „სახალხო არტისტის“ სახელი მიენიჭა... კმაყოფილი იყო::: წელს წაღვერში, ძლიერ კარგად გრძნობდა თავს... უნდოდა წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება—წვიმებმა შეგვიშალა ხელი. ჩვენი ვასო [illegible] იყო სანატორიუმში და დღე გამოშვებით მოდიოდა ჩვენთან, მის უმცროს ამხანაგებთან. ჩვენში უფრო კარგად გრძნობდა თავს. ეს სავსე იყო წარსულის მოგონებით და ოხუნჯობდა, როგორც ეს მას სჩვევია... იმედი ჰქონდა, რომ წყალტუბოს შემდეგ, კიდევ დიდ ხანს იცოცხლებდა... სიკვდილის ძლიერ ეშინოდა... მაგრამ, იმედი გაუცრუვდა.

მოკვდა დიდი კაცი—დიდი მასწავლებელი. მშვიდობით, მოისვენე მრავალ ტანჯულო სულო, შენ და შენი თეატრი არ მოკვდება.

ვასო ურუშაძე.

ბრძოლა მავნებლებთან

მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მიერ მიღებული ცნობით სოფლის მეურნეობის მავნებლებმა თავი იჩინეს რესპუბლიკის მთელ რიგ მაზრებში. განსაკუთრებით ზარალდება მავნებლებისაგან დუშეთის, ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის და სენაკის მაზრები. უკანასკნელად მავნებლები გაჩნდენ გურიაშიც.

სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მცენარეთა დაცვის განყოფილება უკვე შეუდგა მავნებლებთან ბრძოლას. დუშეთის მაზრაში უკვე გაიგზავნა სპეციალისტი ინსტრუქტორი საჭირო ხელსაწყო-წამლებით ბელლის ხოჭოებთან და თაგვებთან საბრძოლველად.

მიმდინარე სეზონში განზრახულია მავნებლებთან ბრძოლის კამპანიის ჩატარება სხვა მაზრებშიაც.

რკინისგზებზე

ხარჯთაღრიცხვა

12 ოქტომბერს ჯულფა-ნახიჩევანის გადასაბინაო დამხმარე კოოპერაციის ხარჯთაღრიცხვა, საბინაო მშენებლობაზე. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 8 ახალი სახლის აგება ა.-კ. რკინის გზელებისათვის.

დაჯახება

12 ოქტომბერს ჯულფა-ნახიჩევანის გადასარბენზე ტენდერიანი ორთქლმავალი დაეჯახა დატვირთულ ვაგონეტკას. ხალხი არ დაშავებულა. ორთქლმავალის ტენდერი გაფუჭდა.

გაწყვეტა

11 ოქტომბერს სად. დოლიარში მატარებელი № 192 უეცრად გაწყდა თვით-მუხრუჭების გამო. მოძრაობა შეწყდა ერთი საათით.

გაწყვეტა

12 ოქტომბერს მე-75 ვერსზე დამუხრუჭების დროს გაწყდა მატარებელი № 197; მარცხი არ მომხდარა. მოძრაობა შეწყდა 1½ საათით.

შავი ზღვის რკინის გზა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა შავი ზღვის სანაპირო რკინის-გზის სამუშაოთა უფროსი ინჟ. ს. ბასოვი, რომელმაც რკინის-გზის გასაყვანი მუშაობათა მიმდინარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— შავი ზღვის რკინის-გზას ამიერ-კავკასიისათვის და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსათვის ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. მარტო ის გარემოება, რომ გზა გადასჭრის დასავლეთ საქართველოს ახალ-სენაკიდან გაგრამდე, იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის უდიდეს კუთხეს საშუალება მიეცემა გაიტანოს თავისი სიმდიდრე ბაზარზე.

სენაკიდან გაგრამდე გზა წარმოადგენს ერთ საამშენებლო უბანს, რომელზედაც მუშაობს 2.000 კაცი. ამჟამად მოძრაობა სწარმოებს 41 კილომეტრზე და გზა ტვირთებით სრულიად დატვირთულია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გზა სულ მოკლე ხანში აანაზღაურებს მასზე გაწეულ ხარჯებს.

გზის სამუშაოთაგან აღსანიშნავია დიდი ხიდების აგება. უკვე დავასრულეთ ხიდების აგება მდ. ხობზე და ცივზე. ამჟამად ვაკეთებთ რამოდენიმე პატარა ხიდს და ერთ დიდ ხიდს მდ. ენგურზე. ამ ხიდს ექნება სიგრძე 450 მეტრამდე და იგი თავის სიდიდით დაიჭერს ერთ პირველ ადგილთაგანს საბჭოთა კავშირში. ხიდის აგება სწარმოებს კესონების საშუალებით და ყოველდღიურათ მუშაობს 450 კაცი.

სულ გზის აგება ჯდება 45 მილიონ მანეთამდე. თუ ხელი არ შეგვიშალა თანხების უქონლობამ გზას მოვათავებთ დაახლოებით 3 წელში.

მუშაობას შესამჩნევათ აბრკოლებს ავადმყოფობა. ყოველ დღე ჩვენს აღმშენებელთა რაზმს აკლდება რამოდენიმე ათეული მალარიით ავადმყოფებული.

წითელ ჯარში

უვადო შვებულებაში დათხოვნილ არმიის უფროს შემადგენლობის მოწყობა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. ს. ჯუღელი დავალებული ჰქონდა მოეგვარებია ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უვადო შვებულებაში დათხოვნილ ა.-კ.-ის წითელარმიის უფროს შემადგენლობის მოწყობასთან. ხსენებულ საკითხის უფრო წარმატებით გატარების მიზნით კომისიამ საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნას ქვეკომისია ამხ. კვირიკაძის, დუმბაძის და იაკობაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა: ა) მოაგვაროს სამაზრო აღმასკომებთან უფროს შემადგენლობის მოწყობის საკითხი და ბ) გამოარკვიოს რაოდენობა იმ უფროს შემადგენლობისა, რომელთაც არ იციან ქართული ენა.

1-ლ და მე-2-ე ქართულ მსროლელთა დივიზიის უფროსებს დაევალათ წარმოადგინონ სასწრაფოდ საბოლოო სია უვადო შვებულებაში დათხოვნილებისა, მათი კვალიფიკაციის აღნიშვნით.

კომისიამ დაამტკიცა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სია იმ დაწესებულებათა, რომლებშიაც უნდა მოეწყონ დათხოვნილნი. კომისიამ საჭიროდ სცნო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, შეტანილ იქნას ზემოხსენებულ დაწესებულებათა სიაში კოოპერატიულ-ორგანიზაციებიც.

რადგან მეტი წილი ჯარის ნაწილებისა დათხოვნილია ქ. ქუთაისში, დაარსებულ იქნა ქ. ქუთაისში სპეციალური კომისია აღმასკომის თავმჯდომარის (თავმჯდომარე), პროფესიონალურ და კომუნალურ განყოფილების წარმომადგენლების და მე-5-ე ქართულ მსროლელთა ნაწილის სამხედრო კომისიის თავმჯდომარის ამხ. უგულავას შემადგენლობით. ხსენებულ კომისიას დაევალა გამოარკვიოს დათხოვნილების საბოლოო რაოდენობა და აგრეთვე თუ რამდენ დათხოვნილების მოწყობაა შესაძლებელი ქ. ქუთაისში.

როგორ მიმდინარეობს გაწვევა

ახალსენაკში

ახალსენაკსა და მარტვილში მოწყობილია მიმღები პუნქტები. ახალწვეულნი დანიშნულ დროზე ცხადდებიან.

ოზურგეთში

1904 წ. დაბადებულთა გაწვევა, რომელიც ოზურგეთის უბანში 1 ოქტომბერს დაიწყო, უკვე დამთავრდა. პირველ დღეებში, ნიაღვარისა, გზების გაფუჭებისა და სხვა ასეთ დაბრკოლებათა გამო, გამოცხადებულთა რიცხვი 90%-ს უდრიდა, ხოლო შემდეგ, როცა ეს დაბრკოლებანი აღარ უშლიდენ ხელს, გამოცხადებულთა რიცხვმა 100-% მიაღწია.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა საკრებულო პუნქტებში კარგად არის მოწყობილი. არის ლენინის კუთხე, სადაც კითხულობენ ლექციებს, გაზეთებს, სწარმოებს კამათი და სხ. აქვეა მოწყობილი ცნობათა მაგიდა ახალწვეულებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სასიხარულო ფაქტი: გამოცხადებულთა შორის არც ერთი მთვრალი არ ყოფილა.

პროფკავშირებში

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის მეორე პლენუმი

მეოთხე სხდომა

გუშინ დილით პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიურ და კულტგანყოფილებების სამუშაო გეგმები, რის შემდეგ რკ. გზ. საფინანსო კონტროლის მუშაობის შესახებ, ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გააკეთა ამხ. ბზიავამ. თავის მოხსენებაში ამხ. ბზიავამ უპირველეს ყოვლისა აღნიშნა ამ ორგანოს დანიშნულება და ამოცანები ა.-კ. რკინის გზაზე. საფინანსო კონტროლი რკინის გზაზე არსებობს 1924 წლიდან. ამ ხნიდან მოყოლებული დღემდე ფინკონტროლის მუშაობას სათანადო ნაყოფი გამოუღია. ამ ხნის განმავლობაში მას ჩაუტარებია მთელი რიგი მუშაობა ფინანსიურ ანგარიშიანობის გამოკვლევის საქმეში. ამ მიზნით 1924—25 წელში საფინანსო კონტროლს ჩაუტარებია 104 რევიზია ა.-კ. რკ. გზაზე. უნდა აღინიშნოს რომ რევიზიის შედეგები, სამწუხაროდ, მეტად ჩამაფიქრებელი და სავალალოა. გამორკვეულა, რომ ყველა სამსახურების მიერ ხარჯები გადამეტებულია, ე. ი. სცილდება ხარჯთაღრიცხვის ნორმებს. არ სწარმოებს წინდახედული და გეგმიანი მუშაობა. ასეთი ხარჯების წყალობით 24—25 წელში რკ. გზ. გადამეტებული ხარჯები 8 მილიონ მანეთამდე აღწევს. ასეთი ხარჯების მდგომარეობა 1925—26 წელში ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, მაგრამ დაახლოებით იგი 3 მილიონს მანეთს უნდა აღწევდეს.

გადამეტებულ ხარჯებს ადგილი აქვს რკ. გზ. ყველა დარგებში ამით კი ტრანსპორტი ფინანსიურ გასაჭირში ვარდება. ამას გარდა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სპეცები შედარებით დიდ ჯამაგირებს გარდა, ღებულობენ სხვადასხვა სახის გასამრჯელოსა და ჯილდოებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ჯამაგირების რაოდენობას ბევრად აღემატება. მომხსენებლის აზრით ასეთ მოვლენას რკ. გზაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

გადამეტებული ხარჯები გამოწვეულია აგრეთვე ორთქლმავლების შეკეთებით, შპალების წარმოების მოუგვარებლობით და სათბობ მასალების უანგარიშო ხარჯვით. მომხსენებელმა საჭიროდ სცნო ამ მხრივ მიემართოს მდგომარეობის გამოსასწორებლად რკ. გზათა გამგეობის მთელი ყურადღება.

ამხ. ბზიავას მოხსენების გარშემო სხვათაშორის ილაპარაკა ამხ. ივანოვმა. მან აღნიშნა რომ გადამეტებული ხარჯები გამოწვეულია ა.-კ. რკ. გზ. თავისებური პირობებით და მდგომარეობით.

ამხ. ბზიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა გამოჰყო კომისია რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

მეხუთე სხდომა

გუშინ საღამოს შესდგა პლენუმის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განიხილეს გენერალურ ხელშეკრულების გაგრძელების საკითხი. ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა დაადგინა გაგრძელდეს კოლექტიურ ხელშეკრულების გავრცელება რკ. გზაზე ზოგიერთი შესწორებებით, რომელთა შეტანისათვის შუამდგომლობა აღიძრა რკინისგზელთა ცენტრ. კომ. წინაშე.

რეზოლიუციების დამტკიცების შემდეგ დაიხურა რკინის გზელთა საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი.

ქრონიკა

ხელისშეწყობა აღწერისათვის

გზათა სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველომ ამიერ-კავკასიაში წინადადება მისცა ყველა ხელქვეით ორგანიზაციებს, რომ მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სრულიად საკავშირო აღწერაზე მომუშავეებს.

აღმწერლებს ბილეთები ავტომობილებზე და რკინის გზის ტრანსპორტზე უნდა მიეცეს რიგს გარეშე; რიგს გარეშევე უნდა იქნეს გადატანილი აღწერასთან დაკავშირებული მასალები და ტვირთები.

პური

საქართველოს მებამბეობის კომიტეტი უკვე შეუდგა პურის მიწოდებას ბამბის რაიონებისათვის. ნაწილობრივ პურის შემოზიდვა უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით მიღებულია 26 ვაგონი პური. ამას გარდა ბორჩალოსა და ყარაიაზის საბამბო რაიონებში დარიგებულია 130.000 ფუთი პური. მებამბეებს ფუთი პური ეძლევათ 1 მ. 50 კაპეიკათ.

ამ დღეებში გადაწყვეტილია პურის მიწოდება სამტრედიის რაიონისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ ზაჰესის მაღალი ძაბვის სადგურებისათვის აღმასკომი ხსნის მონტიორების მოსამზადებელ კურსებს, რომელზედაც იმეცადინებს 50 კაცი.

◆ აბონენტების რიცხვი. ელექტრო-ენერგიის მომხმარებელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. სექტემბერში იყო 10.000 აბონენტი, პირველ ოქტომბრისათვის კი 10.198.

◆ საბურთალოს ქაობები. მიმდინარე წელში ქალაქის კეთილმოწყობის გეგმაში შეტანილი იქნა ახალი ხარჯთ-აღრიცხვა საბურთალოს ქაობების საბოლოოთ ამოსაშრობათ.

◆ სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტების და ხორბლის საწმენდ სადგურების შესაძენად მაზრაში, მიმდინარე წელში დაიხარჯება 21.244 მან.

◆ შუაბაზრისა და თავისუფლების მოედნის კუთხეში ახლო ხანში დამთავრდება ახალი 3 სართულიანი სახლის აგება. ამ ადგილზე წინეთ მდებარე სახლები და დარაბები დანგრეული იქნენ ქუჩის გაფართოების გამო.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში

◆ ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი კამოს ქუჩიდან გადავა ამ დღეებში პლეხანოვის ქუჩაზე № 39 ფართო ბინაში. ინსტიტუტთან მოეწყობა 30 ახალი საწოლი და ლაბორატორია.

◆ ხამალარიო ყრილობა. თბილისში გაიხსნება 20 ნოემბერს.

სხვადასხვა

◆ „საქართველოს ეკონომისტი“. გამოვიდა და იყიდება „საქართველოს ეკონომისტის“ 1-ლი ნომერი შემდეგი შინაარსით: ინჟ. ბ. ჭიჭინაძე—ჩვენი მრეწველობის განვითარების მთავარი გზები, ვ. ავაქოვი—ადგილობრივი მრეწველობის საკითხები, ინჟ. გ. წულუკიძე—საქართველოს მთა-მადნეულობის განვითარების პერსპექტივები, პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი—ქვიშბდავი მასალები და ტყავის მრეწველობა, ს. ჩომახიძე—ახალი ხაზი აბრეშუმის მრეწველობაში, ა. ერქომაიშვილი—შინა-ვაჭრობის მდგომარეობა ა.-კავკასიაში, ნ. ქოიავა—საქ. სახელმწიფო ფინანსები 1924-25 წ., ვლ. ორჯონიკიძე—საქ. ადგილობრივი ბიუჯეტი 1924-25 წ., პროფ. ი. ჯანდიერი—სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციის საკითხისათვის, ინჟ. ვ. კაკაბაძე—სასოფლო მეურნეობა და მისი განვითარების გზები ჩვენში, ე. კარბელაშვილი—მებაღეობის მორიგი საჭიროებანი საქართველოში. პროფ. ს. ქურდიანი—საქ. სუბტროპიკების ტყის მეურნეობის პერსპექტივები. ეკონომიური ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია.

განათ. კომისარიატში

◆ რუსული პროგრამები. პროფგანათლების მთავარმმართველობა იმუშავებს და ამ დღეებში ტეხნიკუმებს დაურიგებს რუსული ენის პროგრამებს.

◆ პროფგანათლების მთავარ მმართველობამ წინადადება მისცა ტეხნიკუმებს და მუშფაკებს, რომ ოქტომბრის დამლევამდე არ შეიძინონ რუსული ენის სახელმძღვანელო, ვინაიდან ამ დროისათვის გამოვა სპეციალურად შედგენილი სახელმძღვანელო.

შემთხვევები

ქურდების დაპატიმრება

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაპატიმრებულ იქნა პროფესიონალ-რეციდივისტების ჯგუფი, რომელთა გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა დიდძალი ნაქურდალი ნივთები, როგორც მაგალითად, ნოხები, ფარდები, კაცის და ქალის ტანისამოსები, ფეხსაცმელები და სხ.

პატრონებს სთხოვენ გამოცხადდენ სისხ. სამ. მილიციაში, ოთახი № 7.

ქურდი ქალები

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაპატიმრებულ იქნა ცნობილი ქურდი - ქალი მარიამ დგებუაძე და ს. სერინა. ამას წინეთ მათ გაუქურდავთ ორი ბინა იზმაილის ქ., № 51-ში.

გაჩხრეკისას მათ აღმოაჩნდათ სხვა ნაქურდალი ნივთებიც. პატრონებს შეუძლიათ აღნიშნული ნივთები მიიღონ სის. სამ. მილიციაში, ოთახი № 6.

◆ ცეცხლი. მე-18 შრომის სკოლას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

◆ შეპყრობა. დიდ ბაზარში ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ისაკ ახიხუჯანოვი.

— ამავე დღეს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს სურიკა აკოპიანი.

◆ ორბელიანისეულ აბანოში ეკატერინე მაკაევას მოჰპარეს ტანისამოსი.

◆ ქურდობა. კამოს ქ. № 93 გაქურდეს ავაკიმ ბაბაიანცის ბინა.

ხელოვნების ქრონიკა

რეჟისორ ეიხენვალდის ჩამოსვლა

ნიცადან სახელმწიფო ოპერის დირექციის სახელზე მიღებულია ანტონ ეიხენვალდისაგან დეპეშა, რომელშიაც იტყობინება, რომ 13 ოქტომბერს ის გამოემგზავრა პარიზ-ვარშავა-თბილისის გზით. თბილისში ეიხენვალდს მოელიან 25-26 ოქტომბერს. პირველად მის მიერ დადგმული იქნება ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“.

◆ აჭარისტანის ქარ. აკად. სახ. დრამის მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ნაწილის გამგედ, მოწვეულ არის აკაკი ფაღავა. რეჟისორად გერონტი ხელაია.

◆ ბათუმის ქარ. დრამის სეზონი დაიწყება პირველ ნოემბერს. რეპერტუარი განზრახულია თანამედროვე. თეატრთან ეწყობა სტუდიის სახელოსნო. განზრახულია თვეში მხოლოდ ოთხი მხატვრული წარმოდგენის გამართვა.

◆ საბალეტო სტუდია. პერინის ხელმძღვანელობით არსებული საბალეტო სტუდია მუშაობას განაახლებს ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

◆ მუშათა თეატრის რუსული დრამის სეზონი გაიხსნება შაბათს, 16 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება „ქარიშხალი“.

◆ მინიონში დაიწყო ახალი სურათის ჩვენება: „შავი ჯიმი“.

◆ ევგენი ონეგინ. 19 ოქტ. ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინ“. პირველად გამოდის თბილისში ამ ოპერაში ტენორი კალსბურგი.

სასამართლო

განაჩენი რკინისგზელთა საქმეზე

თხუთმეტი საათის თათბირის შემდეგ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი რკინისგზელთა საქმეზე.

არსენ ქავთარაძე—სად. თბილისის მოლარე დამნაშავეთ იქნა ცნობილი 7.457 მანეთის მითვისებაში და გაფლანგვაში და აგრეთვე იმაში, რომ ამ გაფლანგვის დაფარვის მიზნით შეადგინა ორი ყალბი ანგარიში. ამასთანავე იგი დამნაშავეთ იქნა ცნობილი მენიხრე გოლოვატისთან კავშირის დაჭერაში და ამ უკანასკნელისთვის ქრთამის მიცემაში.

ყველა ამ ბოროტ-მოქმედების გამო ქავთარაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 9 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა სასჯელის მოხდიდან 5 წლის ვადით.

მენიხრე მიხეილ გოლოვატი დამნაშავეთ იქნა ცნობილი მოლარე ქავთარაძესთან კავშირის დაჭერაში. სასამართლომ დაამტკიცა, რომ გოლოვატიმ გაატარა ქავთარაძის ორი ყალბი ანგარიში, მესამე ანგარიში კი, რომელიც უნდა განეხილა სხვა მენიხრეს, ამ უკანასკნელის შეცდომაში შეყვანის მიზნით გადაასწორა ციფრები. გოლოვატის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 4 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 2 წლით.

სად. თბილისის სამხედრო კასის მოლარე—ალექსანდრე ივანეს-ძე თევზაძე დამნაშავეთ იქნა ცნობილი 2.892 მანეთის მითვისებაში და გაფლანგვაში და ამ თანხის ყალბი საბუთების შედგენაში. სასამართლომ თევზაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 7 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 4 წლით.

ევგენია თეიმურაზის ასულ თოფურიას სისტემატიური სიყალბისა და 2.176 მანეთის მითვისებისა და გაფლანგვისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 6 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 4 წლით.

მეორე მოლარე-ქალი ნინა ბასიშვილი დამნაშავეთ იქნა ცნობილი 1.457 მანეთის გაფლანგვაში, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 4 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 2 წლით.

ყალბი საბუთების შედგენაში მოლარე თოფურიას დახმარებას უწევდა მოანგარიშე ფილარეტ ამაშუყელმა, რომელმაც, რასაკვირველია, სათანადო გასამრჯელო მიიღო დახმარებისათვის თოფურიასაგან. ამის გამო ამაშუყელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, მაგრამ ამნისტიის შეფარდების შემდეგ სასჯელი გაუნახევრდა.

ორი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება მიესაჯა მოლარე ხერგო დოლიძეს, რომელიც დამნაშავეთ იქნა ცნობილი 685 მანეთის მითვისებაში. დოლიძემ შეადგინა ამ თანხის ყალბი ანგარიში. დოლიძის მიმართაც სასჯელის ვადა განახევრებულია.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე, რათა აღნიშნულ ბრალდებულებზე არ გავრცელდეს მარტის ამნისტია.

ყველა მსჯავრდადებულთ ჩეეთვალა წინასწარი დაპატიმრება.

მენიხრე დავით ქლენტი, გაბრიელ კუპრაძე და გიორგი იაკობაშვილი დამნაშავედ იქნენ ცნობილი იმაში რომ ყალბი დოკუმენტების გატარებაში და სიყალბის დაფარვაში მიიღეს ქრთამი, რისთვისაც თვითეულ მათგანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით. ამნისტიის შეფარდების გამო სამივე ბრალდებული განთავისუფლებული იქნა სასჯელისაგან.

ბრალდებები, რომლებიც წაყენებული ჰქონდა ადოლფ დიკაპრილევიჩს და ნიკოლოზ ვარდანაშვილს, უზენაესმა სასამართლომ დაუმტკიცებლად სცნო და გაამართლა ორივე. ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, დეკაპრილევიჩი სამსახურის მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობის გამო პასუხისგებაშია მიცემული დისციპლინარული წესით.

ხულიგნების გასამართლება

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ა. თენეიშვილი, სახალხო მსაჯულები: ხანაურიძე და ცოჯაევა და პაპიანის მდივნობით ავლაბრის მუშათა კლუბში განიხილა საქმე მოქ. ჯამბაზოვის და ტოხსანოვის, რომელთაც ბრალდებოდათ ხულიგნობაში, რაც გამოიხატა მილიციელის შეურაცყოფაში და მოქალაქის უმიზეზოდ ცემაში.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულათ სცნო და მიუსაჯა ჯამბაზოვს, როგორც უკვე ცნობილ ხულიგანს, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ტახსანოვს რვა თვით გამსახლში მოთავსება.

ფეხბურთი

შემოდგომის სეზონის გახსნა

გუშინ გაიხსნა ფეხბურთის შემოდგომის სეზონი. ჯერ-ჯერობით სწარმოებს პირველობის გათამაშება პროფკავშირების გუნდებს შორის.

„დინამო“—„ავტო კლუბ“

კვირას, 17 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელთა გუნდების „დინამო“-ს და „ავტო-კლუბი“-ს შეჯიბრი. დასაწყისი 4 საათზე.

„რკინის გზა—„კრასმოლ“

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება რკინის გზის ფეხბურთელთა გუნდის და „კრასმოლ“-ის შეჯიბრი. დასაწყისი 4 ს.

ა.-კ. ნაკრები გუნდის დაბრუნება

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ფინეთიდან უკვე დაბრუნდა ლენინგრადში.

გუნდი ამ დღეებში ჩამოვა თბილისში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობის 1926 წ. საკავშირო აღწერის შესახებ

მოსახლეობის რაოდენობის, მისი ეროვნული, სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობის აღრიცხვის მიზნით საბჭ. რესპუბლ. საკავშირო ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1) 1926 წ. დეკემბერში მოხდეს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა.

2) სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარება დაევალოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატ. სამმართველოს და მიენდოს მას დაუყოვნებლივ შეუდგეს აღწერისთვის მოსამზადებელი მუშაობას.

3) აღწერის დაწყების და დამთავრების დღეს და დღეს რომელსაც უნდა დაედაროს მოსახლეობის აღრიცხვა, საბჭოთა კავშირში, ნიშნავს ს. ს. რ. კავშირის ცენტრ. სტატ. სამმართველო.

4) საბჭოთა კავშირის სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიენდოს:

ა) გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, აღწერის დრო რკინ. გზის მატარებლებში და გემებში მყოფ მოქალაქეთა აღწერის წესი.

ბ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატთან შეთანხმებით უცხოელთა აღწერის წესი, რომელნიც ცხოვრობენ უცხოელთა საელჩოებში, წარმომადგენლობაში, მისიებში და საკონსულოებში.

5) აკრძალულ იქნეს 1927 წ. 1 თებერვლამდე მოსახლეობის აღრიცხვასთან დაკავშირებული აღწერითი ტიპის ყოველგვარი მასიური სტატისტიკური მუშაობათა წარმოება.

6) აიკრძალოს 1926 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1927 წ. 1-ლ მარტამდე ყოველგვარი ადმინისტრატიულ, ტერიტორიალურ ერთეულების საზღვრების შეცვლა გარდა ისეთ ერთეულების საზღვრების, რომელნიც თემის (რაიონის) საზღვრებში შედიან, აიკრძალოს აგრეთვე საკავშირო რესპუბლიკათა შორის საზღვრების შეცვლა.

7) ს. ს. რ. კავშირის ცენტრ. სტატ. სამმართველოს ენიჭება უფლება, სათანადო უწყებასთან შეთანხმებით, მოიწვიოს აღწერის სამუშაოზე სხვა უწყებათა სტატისტიკური ორგანიზაციების და სხვა კატეგორიები მომუშავეთა დამატებითი ხელფასის მიცემის პირობით. მიუხედავად იმ ხელფასისა, რომელსაც ეს მომუშავენი იღებდენ თავის ძირითად თანამდებობის მიხედვით.

8) დაევალოს ს. ს. რ. კავშირის ხელისუფლების ორგანოებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარებას.

9) მიენდოს საკავშირო რესპუბლიკების მთავრობათ, გამოსცენ დადგენილება ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების მიმართ, რათა ხელი შეუწყონ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერას.

10) ინსტრუქცია ამ დადგენილების ჩატარებისთვის უნდა გამოსცეს ს. ს. რ. კავშირის სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მიერ.

ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.

ს. ს. რ. კავშირის სახ. კომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ი. რუდზუტაკ.

ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. მდივანი: ა. ენუქიძე.

მოსკოვი-კრემლი

დადგენილება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

იმ ღონისძიებათა შესახებ. რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებას

სხრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1926 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მოხდენის შესახებ“ 1926 წ. სექტემბრის 3-ს თარიღით გამოცემული დადგენილების („იზვესტია“-ს 206 №-რი 1926 წ. სექტემბრის 8-სა) შესასრულებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს აზერბეიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ამ უკანასკნელთა ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ საქვემდებარეო ტერიტორიაზე მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერას, კერძოდ უზრუნველჰყონ აღწერა: საჭირო მომუშავეთა კადრით; მასალების შენახვისა და შემუშავებისათვის საჭირო სადგომებით; ზიდვის საშუალებით. სამუშაოდ წარვლენ მომუშავეთათვის საჭირო დროებითი სადგომებით.

2. დაევალოს სხრკ გზათა სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა. კფსხრ-ში—უზრუნველჰყონ ყველა ის, ვინც კი აღწერაზე მუშაობს, მით, რომ რკინისგზების სადგურებზე, წყალსავალ გზების ნავთსადგურებზე და შარაგზების ტრანსპორტზე ბილეთები რიგს გარეშე მიეცეთ ხოლო და შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოიყენონ კავშირგაბმულობის საშუალებანი—გადასცენ დეპეშები, ილაპარაკონ სამაზრო და საქალაქთაშორისო ტელეფონით, გაგზავნონ ფოსტით პაკეტები და ამანათები, აგრეთვე რკინის გზით, წყალსავალი გზით და შარაგზის ტრანსპორტით—რიგს გარეშე და დაუბრკოლებლად.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსხრ შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს—მიიღონ მათ თავიანთ უახლოეს ზედამხედველობის ქვეშ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მუშაობა და პირადი განკარგულებით ააცილონ ხოლმე ამ საქმის ყოველგვარი დაბრკოლება, რათა აღწერა წარმოებით და თავის დროზე იქნეს განხორციელებული.

4. რათა ყოველი ღონისძიება სასწრაფოდ იქნეს განხორციელებული და ყველა (ცალკე უწყებისა და დაწესებულების მოქმედება. რაც კი აღწერისათვის ხელის შესაწყობად იქნება მიმართული, ერთი-მეორის შეუკავშირდეს. წინადადება მიეცეს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ იმ ჩინის განმავლობაში მოქმედებისათვის, რაც აღწერა იწარმოებს. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის ხელისშემწყობი რესპუბლიკანური სამეულები, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა, ადგილობრივი პროფესიონალ. კავშირ. წარმომადგენელთა და იმ სტატისტიკო ორგანოების მმართველთა შემადგენლობით, რომელნიც აღწერას აწარმოებენ.

5. მიენდოს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს აწარმოონ. სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების მეშვეობით და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ორგანოების მონაწილეობით, სააგიტაციო კამპანია მოსახლეობის მომზადებისა და მისთვის სრულიად საკავშირო აღწერის მიზნებისა და წარმოების წესის გაცნობისათვის.

6. წინადადება მიეცეს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააკისრონ იმ დაწესებულებებს, რომელთაც საერთო-საცხოვრებელი ადგილები აქვთ (საპატიმრო, საავადმყოფო, დასვენების სახლი, თავშესაფარი და სხვ.), აღწერა ამ საერთო-საცხოვრებელ ადგილებში მოახდინონ ხსენებულმა დაწესებულებებმა, რისთვისაც ეს დაწესებულებანი საჭირო პერსონალს თავიანთ მოსამსახურეთა შემადგენლობიდან გამოჰყოფენ. აღწერის წესი ასეთ საერთო-საცხოვრებელ ადგილებში განისაზღვრება სტატისტიკის ორგანოს შეთანხმებით სათანადო დაწესებულებასთან.

7. რათა აღწერის საქმე უზრუნველყოფილ იქნეს მომუშავეთა საჭირო კადრით, წინადადება მიეცეს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების მეშვეობით, განკარგულება მოახდინონ განათლების სახალხო კომისარიატების ქვემდებარე ორგანოების მიმართ, რომ საღწერო მუშაობაში ჩაბმული მასწავლებელთა პერსონალი განთავისუფლებულ იქნეს თავის პირდაპირი მოვალეობისაგან საღწერო პერიოდის განმავლობაში—1926 წლის დეკემბრის 15-დან 31-მდე.

ამავე მიზნით წინადადება მიეცეს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტებს—ვალდებულჰყონ ყველა დაწესებულება გაანთავისუფლოს ხოლმე საღწერო პერიოდის განმავლობაში სტატისტიკის ორგანოების მიერ გაწვეული ყველა მოსამსახურე, რომელსაც აქვს სასტატისტიკო განათლება და რომელიც სურვილს განაცხადებს მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობა მიიღოს.

8. საღწერო კრედიტები გახსნილ უნდა იქნეს როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, რიგს გარეშე და იმ ვადებზე, რასაც ცენტრისათვის ა.-კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო დააწესებს, ხოლო რესპუბლიკებისათვის—რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები.

წინადადება მიეცეს ა.-კფსხრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ვალდებულჰყონ რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატები—მიიღონ მათ თავის დროზე სათანადო ღონისძიება, რათა ადგილობრივ (სამაზრო) ხაზინებს საკმაო ფულადი სახსარი ჰქონდეთ აღწერის საჭიროებისათვის. ამასთანავე ერთად განკარგულება უნდა მიეცეთ სამაზრო საფინანსო განყოფილებათ—დაუყოვნებლივ გაასწორონ ხოლმე ადგილობრივ ანგარიშები და რომ საღწერო სახსარი სხვა საჭიროებაზე არ იხარჯებოდეს.

9. ა.-კფსხრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქე მოვალეა მისცეს ხოლმე აღწერის რეგისტრატორს ნამდვილი ცნობა ყველა საღწერო კითხვის გამო. ის, ვინც თავს აარიდებს ცნობების მიცემას. პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის.

10. საღწერო ფორმულიარში აღნიშნულ კითხვებზე მისაცემი პასუხის გამოყენება სხვა რაიმე მიზნისათვის, გარდა იმისა. რაც საჭიროა სტატისტიკური ცხრილის შედგენისათვის,—აკრძალულია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შაჰირდოვი.**

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმებთან ერთად

დღის წესრიგშია საკითხი

„საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მდგომარეობის და ამოცანების შესახებ“

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების და რაიკომთა პლენუმების დასწრება.

თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები დარბაზში შედიან თავისი მანდატებით, რაიკომების წევრები და კანდიდატები კი—შესასვლელი ბილეთებით, რომელთაც იძლევიან რაიკომები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საკულტურო საბჭოს სხდომა შესდგება შაბათს, 16 ოქტომბერს, დღის 1 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში მოწვეულია ქალაქის და სოფლის კავშირის საბჭოს ქალაქის რაისაბჭოს სხდომა, საზოგადოების ადგილობრივ უჯრედების წარმომადგენლების თანდასწრებით.

დღეს, 14 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქალ. თბილისის პიონერ-მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება.

დღის წესრიგი: მოხსენება ახალგაზრდა პიონერთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმის შედეგების შესახებ.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალ. ქ.-განყ. სთხოვს ამხ. გოგიშვილს (მეცხვარეთა კოოპერ. ამხანაგ. „მწყემსის“ გამგეობის თავმჯდომარე) სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკაში.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ლენინის რაიონის პედაგოგთა № 24 კომუჯრედის ღია კრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. გაბრიელ კიროლაშვილს გამოცხადდეს 15, 16, 18, 19 ოქტომბ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 9.

საქ. ახალ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმდებ კომისიის სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, დღის სრულ 1 საათზე.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი დიდი მწუხარებით აღნიშნავს რესპუბლიკის სახალხო-მსახიობის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას ამა ოქტომბრის 9-ს.

ნ. 59

კორპორაცია „დურუჯი“ მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ქართული თეატრის ბუმბერაზის რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. 2—2 ნ. 50

სახელმწიფო დრამის მსახიობნი და მუშა-მოსამსახურენი, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქართული თეატრის მამა-მთავრის—სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. 2—2 ნ. 49

ვალერიან გუნია მწუხარებით აუწყებს საქართველოს საზოგადოებას დიდებული მასწავლებლის და თანამოსაგრის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, მთაწმინდაში. ნ. 38

თბილისის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომლები, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას სახალხო მსახიობის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება, 14 ოქტომბერს. ხელოვანთა სასახლიდან. 189

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი და ხელოვნების სასახლე, მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს და საზოგადოებას რომ ოქტომბრის 9-ს გარდაიცვალა ქართული სცენის ბუმბერაზი, სახალხო არტისტი

ვასო აბაშიძე

სამოქალაქო პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათიდან ხელოვნების სასახლეში ივ. მაჩაბლის ქ. № 13 გამოსვენება ხუთშაბათს, ოქტომბ. 14 ნაშუადღევის 2 საათზე 3—2 ქ. 148

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამავე კავშირის წევრის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

დაკრძალვის დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი. გამოსვენება მოხდება ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13). ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვა მამა-დავითზე. ნ. 56

საქართველოს სახკინმრეწველობის გამგეობა, სამხატვრო საბჭო, სარევიზიო კომისია, მუშები და მოსამსახურენი იუწყებიან სახალხო მსახიობის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. ნ. 37

სახელმწიფო აკადემიური თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალების შესახებ. დასაფლავება ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, ნაშუადღევის ორ საათზე. ცხედრის გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქ.) მთაწმინდაზე. ნ. 54

თანამედროვე რევოლიუციონური თეატრი-სტუდია იუწყება ღრმა გულის ტკივილით ძვირფასი ძმის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, დღის 2 საათზე, ხელოვანთა სასახლიდან, დაკრძალვა მთაწმინდაზე. 180

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკ. გ. მუშათა კლუბის გამგეობა და კლუბთან არსებული ქართული მუშათა დრამატიული წრე მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქართული სცენის სიამაყის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. 177

ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის თანამშრომელნი და მოწაფენი მწუხარებით აღნიშნავენ ქართულ თეატრის ქურუმის, ძვირფას

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. ნ. 60

ჭიათურის აკადემიური თეატრის დასის მსახიობნი და ტეხნიკური შემადგენლობა გულითად მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქართული თეატრის დედა-ბოძის სახალხო არტისტი

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ჭიათურაში 14 ოქტომბერს, აკადემიურ თეატრში საღამოს 4 საათზე. 178

ფოთის დრამატიული დასი დიდ მწუხარებას გამოსთქვამს დიდი არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალების გამო. კვირას გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ადგილობრივ თეატრში დღის 12 საათზე.

სამტრედიის რკ. გზის კლუბის გამგეობა, მასთან არსებული დრამ-წრე და მსახიობი იოსებ თარალაშვილი აუწყებს ყველას, რომ ქართული თეატრის ქურუმი, დიდი მასწავლებელი და სახალხო არტისტი

ვასო აბაშიძე

გარდაიცვალა. 184

სოხუმის აკადემიური დასის მსახიობნი და გამგეობა გულის ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ქართულ თეატრის ვეტერანის, რესპუბლიკის სახალხო მსახიობის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, გამოსვენება შუადღის 2 საათზე, ქართველ ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბლის ქუჩა, № 13). 183

სახელმწიფო ოპერა

16 ოქტომბერს სეზონის გახსნა აბესალომ და ეთერი
17 ოქტომბერს აიდა
19 ოქტომბერს ევგენი ონეგინი
20 ოქტომბერს ფაუსტი
21 ოქტომბერს რიგოლეტო

პირველ სახელმწიფო სამუზიკალურო კურსებზე

გრძელდება ჩაწერა მესამე ჯგუფში. სწავლა დაიწყება 18 ოქტომბერს. კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიქოვის) ქ. № 12

3—1 კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი

განათლების განყოფილებების, შრომის სკოლის გამგეების და მასწავლებელთა საყურადღებოდ

ს.ს.ს.რ. განათლების კომისარიატი და სახელმწიფო გამომცემლობა ამით აცხადებენ, რომ ქვემოხსენებული

სახელმძღვანელოები იბეჭდება და გამოვა 15 ოქტომბრიდან ნოემბრის 20-მდე

1. ნ. ძიძიგური და აფხაიძე—„ჩიროლდანი“—მეორე ჯგუფის სამუშაო წიგნი 20 ოქტ.
2. ს. იაშვილი—ს.ს.რ.კ. და ევროპის სახელმწიფოები—5—6 ჯგუფი 30 ოქტ.
3. მასწ. ჯგუფი „ჩვენი მხარე“ მესამე ჯგუფის სამუშაო წიგნი 20 ნოემბ.
4. დ. დონდუა—„წყარო“—გეოგრაფ. და ბუნებისმეტყველ. სახელმძღ. 4 ჯგ. 15 ნოემბ.
5. ძიძიგური, პ. აფხაიძე და გობრონიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“ 4 ჯგ. 15 ნოემბ.
6. თ. ჭუმბურიძე „საზოგადოებათმეცნიერება“ ნ. 1. 5—6 ჯგ. 5 ნოემბ.
7. „ „ „ „ ნ. 2. 7 ჯგ. 15 ნოემბ.
8. მასწ. ჯგუფი—„ფიზიკა“—სასოფ.-სამ. საფუძველზე აგებულ სოფ. ახალგ. სკოლ. 15 ნოემბ.
9. მასწ. ჯგუფი. „სამუშაო წიგნი მათემატიკაში“ 6 და 7 ჯგ. 20 ნოემბ.

აღნიშნულ წიგნების გამოსვლამდე მასწავლებლებმა მუშაობა უნდა აწარმოონ ძველი წიგნების, ცოცხალ საუბრის და სხვა საშუალებებით. სხვა რომელიმე წიგნით ზემოდჩამოთვლილ სახელმძღვანელოების შეცვლა **დაუშვებელია.**

სახალხო განათლების კომისარის მოადგილე მარ. ორახელაშვილი.

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ბ. ბიბინეიშვილი.

სასკოლო განყოფილების გამგე გ. გოგუაძე.

ამოდის არვასხო სოლეი

დიდი წარმატების გამო კინო- თეატრებში: „არფახტი“, „აპოლო“ გაგრძელებულია სურათ

„ხანუმა“-ს (ქეთო და კოტე) ჩვენება

რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ს. პ. ზაბოზლაევი. სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.

პრემიერა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

„ცნობილი უცხოელი“

2 სერიათ 12 ნაწ. მთავარ როლში—ბარრი პილ ორივ სერია ერთად. სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღ.

ანონსი: ჩქარა „აპოლოში“—„ბრეკ-ზაური“.

„ამფასტორი“ და „კოლიზეი“ „პროცესი 3 მილიონის შესახებ“. 1833 0—12.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა (საბუხჰალტრო)

═ კ უ რ ს ე ბ ი ═

დაიწყო მეცადინეობა, გრძელდება მსურველთა მიღება, ახალ ჯგუფებში სალ. 5—6 საათამდე. 181

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს 3 საათზე სასახლის ქ. № 3, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლათ. გაიყიდება ხალიჩები, ბუფეტები, გარდეროებები, სარკეები, კედლის საათები, კამოდები, და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 61

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

0—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება სალ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი **გ. ნ. ონანოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 348 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი-ქალი **თოფურიძე-ფანიევა**

იღებს ქალთა და სახეზე სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

კბილის ექიმი **ა. გ. სოლოდაშვილი**

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი**

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი **ნ. პ. ფალიაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება. ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი **ნ. მელიქიშვილი**

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—

ექ. **კ. ტუღუშლაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 1—25

დაკარგულია მეტრიკული მოწმობა, გაცემული ევგენია ვარლამის ასულის მახარაძის სახელზე, № 509, 1918 წ., ჩ. გ. 190

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 6066 მიხეილ ბასიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 187

დაკარგე სახლის ნასყიდობის სიგელი, შედგენილი ქალაქ ზუგდიდი საუბნო სასამართლოს მიერ, ნიკოლოზ ბიჭიას-ძე რეხვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 18

დაკარგე მოწმობა № 2647, მოცემული ახალ-სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან, აქსენტი ცირდავას სახელზე, ჩ. გ. 19

დაკარგე კამეჩის საკუთრების მოწმობა № 1077, გაცემული სოფ. საჯიჯაოს თემის აღმასკომის მიერ, არჩილ კოსტას-ძე შაბათავას სახელზე ჩ. გ. 19

დაკარგე მოწმობა ხონის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების, ალექსანდრე ქვათელაძეს სახელზე, ჩ. გ. 19

დაკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის სალ ქციო წიგნაკი № 464, ილია აბრამის-ძე ტურაშვილის სახელზე. ჩ. გ. 18

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი და შეიდწლედის დამთავრების მოწმობა № 42, ქსენია მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 164

დაკარგე ა/კ. რკ. გზ. ფასიანი ქაღალდი № 293, 26 მან. 43 კ. თანხისა, პორტფელი 170 მანეთის საბუთებით გრიგოლ კონსტანტინესძე მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 179.

დაკარგე პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი № 38228 და დამხლვევ სალაროს წიგნაკი № 870, ცოლაკ დერემიკასძე ზაცაკიანცის სახელზე, ჩ. გ. ქ. 187

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 49, გაცემული დიდუბე - ნაძალადევის მაჩჩის განყოფილების მიერ, სუ... ლავას სახელზე, ჩ. გ. ქ. 186

დაკარგე ქ. ხონის სახელოსნო კლასის მოწმობები შალვა მუშკუდიანის სახელზე. ჩ. გ 18

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68